

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკად. გ. ჯერეთელის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

მასლოგელი აღმოსავლეთის
ქვეყნების ახალი და უახლესი
ისტორიის საკითხები



„მეცნიერება“
თბილისი
1975

9 (115)
9(4/9—11)+9(470:56)
მ 445

კრებულში მოთავსებულ სტატიებში გაშუქებულია ირანისა და თურქეთის ახალი და უახლესი ისტორიის ზოგიერთი საკითხი. კრებულში შესულია აგრეთვე სტატიები, რომლებიც ეხება ირანის დემოგრაფიას და რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობის ისტორიის წყაროებს.

რედაქტორი ო. გიგინეიშვილი

ბ. ზიკაშვილი

აბრარული გარდაქმნები და მათი სოციალურ- ეკონომიური შედეგები ირანში

ირანის სოფლის მეურნეობაში, ისევე როგორც ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სხვა დარგში, უკანასკნელ დრომდე იგრძნობოდა იმპერიალისტური ქვეყნების ზანგრაჟივი ბატონობის შედეგები. კაპიტალისტური ქვეყნების მძარცველური პოლიტიკის გამო, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დამდეგს ირანის სოფლის მეურნეობა საგარეო კაპიტალისტური ბაზრის გავლენას და უშუალო კონტროლს დამოორჩილა. უცხოურ კაპიტალთან უთანასწორო კონკურენციის პირობებში ეროვნული მრეწველობის განვითარებას გზა დაეხშო, ამავე დროს უცხოეთის ბაზარზე სწრაფად იზრდებოდა მოთხოვნილება ირანის სოფლის მეურნეობის პროდუქტიაზე. ამან განაპირობა ეროვნული სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის თანდათანობითი გადასვლა სოფლის მეურნეობის სფეროში. ბევრი ყოფილი მეწარმე და ვაჭარი მიწის მესაკუთრე გახდა. ისინი თავიანთ მეურნეობებში, ექსპლოატაციის ძველი მეთოდების გამოყენებით, უპირატესად ტექნიკური კულტურების წარმოებას ავითარებდნენ. ამიტომ მათი ინტერესები თავისებურად დაუახლოვდა და გადაეხლართა ნახევარფეოდალ მსხვილ მემამულეთა ინტერესებს. ამრიგად, ირანის ეროვნული ბურჟუაზია, რომლის ისტორიულ მისიას ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი დამხობა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისათვის გზის გაწმენდა შეადგენდა, თავისი პოტენციური მოწინააღმდეგის მოკავშირე გახდა. ამ გარემოებამ, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ნახევარფეოდალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესის კონსერვაციას და, მეორე მხრივ, გააძნელა ირანელი მშრომელებისა და სხვა დემოკრატიული ძალების ანტიფეოდალური და ანტიიმპერიალისტური ბრძოლა; ვინაიდან ამ ბრძოლაში ბურჟუაზიის გარკვეული ნაწილი არა თუ მერყეობასა და არათანმიმდევრო-

ბას იჩენდა, არამედ, არც თუ ისე იშვიათად, ნახევარფეოდალური აგრარული წყობის შენარჩუნებასაც კი უჭერდა მხარს.

მაგრამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ და განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერსიის ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების და, პირველ რიგში, ეროვნული მრეწველობის შექმნისა და განვითარების ინტერესები შეუთავსებელი აღმოჩნდა ირანის სოფელში გაბატონებულ შუასაუკუნეობრივ აგრარულ ურთიერთობებთან. ნახევარფეოდალური ურთიერთობანი აფერხებდა საწარმოო ძალების განვითარებას, კვეცავდა სასაქონლო წარმოების სფეროს, სასურსათო სიძნელების წინაშე აყენებდა ქვეყანას და მინიმალურადაც ვერ უზუნველყოფდა ეროვნული მრეწველობის წარუ მოახოვნილებას სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე. ამასთან ერთად, ირანელი მსხვილი მიწათმფლობელები თავიანთი უქმი ცხოვრების უზრუნველსაყოფად, მიწის რენტის გადიდებით და გარეეკონომიური იძულების მეთოდების ფართო გამოყენების გზით, სულ უფრო აძლიერებდნენ გლეხობის ჩაგვრას. ეს ამწვა-ვებდა სოციალურ წინააღმდეგობებს ირანის სოფელში, რაც ხშირად მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლებში იჩენდა თავს.

ასეთ პირობებში ირანის მმართველი წრეების შედარებით საღად მოაზროვნე წარმომადგენლები თანდათანობით მიდიოდნენ იმ დასკვნამდე, რომ სერიოზული აგრარული გარდაქმნების გარეშე შეუძლებელი იყო ქვეყნის ეკონომიკის განვითარება. ამასთან მიწის რეფორმა მიაჩნდათ „ფუნდამენტალურ საჭიროებად და წინაპირობად საერთო პოლიტიკური რეფორმებისათვის“¹.

ირანის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ჰასან არსანჯანმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში პირდაპირ განაცხადა: „აღარ შეიძლება გაგრძელდეს ამ შუასაუკუნეობრივი სისტემის არსებობა. მიწის რეფორმის გატარების საქმეში ჩვენ ვაწყდებით რეაქციონერთა ფრონტს, რომელიც დასუსტდა პარლამენტური წყობის არსებობის 50 წლის მანძილზე და ახლა „წითელი“ ან „თეთრი რევოლუციის“ წინაშე დგას. თუ მდგომარეობა გაგრძელდა ისე, როგორც ახლა არის, ქვეყანა აუცილებლად იფეთქებს“².

¹ A. K. S. Lambton, The Persian land reform 1962—1966. Clarendon Press. Oxford, 1969, p. 61—62.

² Iran Almanac and book of facts. Eco of Iran; Tehran, 1963. p. 388.

შექმნილ სიტუაციაში ირანის შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევდი, რომელიც ირანის ყველაზე დიდი მემამულე იყო. იძულებული გახდა, რომ 1951 წლის 27 იანვარს გამოეცა ბრძანებულება თავის საკუთრებაში არსებული 2000-ზე მეტი სოფლის მიწების გლეხებზე მიყიდვის შესახებ³. საყურადღებოა ისიც, რომ შაჰის მიწების გლეხებზე მიყიდვის განხორციელება თითქმის ორ ათეულ წელიწადს გაჭინურდა და ამ დროის მანძილზე სამეფო მამულების მესამედი ნაწილიც კი არ მიყიდა გლეხებს⁴. 1955 წელს გამოიცა კანონი სახელმწიფო (ხალესე) მამულების დანაწილებისა და გლეხებზე მიყიდვის შესახებ, მაგრამ ამ კანონის განხორციელებას მხოლოდ 1958 წლიდან შეუდგნენ⁵. ამასთან ერთად, ირანის მთავრობა დროდადრო აქვეყნებდა სხვადასხვა კანონებსა და დადგენილებებს სოფლის კეთილმოწყობის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და მემამულის და გლეხის საწილადო საიჯარო ურთიერთობის მოქესრიგების შესახებ. ამ ღონისძიებათა მიზანი იყო შეექმნათ ილუზიები თითქოს მთავრობა დაინტერესებული იყო გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებით და ამით ჩამოეშორებინათ მათი ყურადღება სოციალური ბრძოლისაგან. მაგრამ მსხვილმემამულური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის არქაული ფორმების ლიკვიდაციის გარეშე სოფლის მწვევე სოციალური და ეკონომიური პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელი იყო.

1959 წლის დეკემბერში მთავრობამ მეჯლისში წარადგინა მიწის რეფორმის კანონის პირველი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მემამულეთა მიწათმფლობელობის შეზღუდვას 300 ჰექტარამდე სარწყავ და 600 ჰექტარამდე ურწყავ მიწებზე⁶. მაგრამ მეჯლისის კომისიებში, სადაც მემამულეების წარმომადგენლები ისწდნენ, კანონპროექტს არსებითად შეუცვალეს პირვანდელი სახე და 1960 წლის 17 მაისს მიღებული იქნა კანონი, რომლის საფუძველზე დადგენილი იყო მიწათმფლობელობის კიდევ უფრო გა-

اعلیٰ حضرت همايون محمد رضا شاه بهلوی اریا مهر شاهنشاه
ایران، اعلام سفید، تهران، ۱۳۴۶، ص ۴۱ «تہتری رےولوشیا»
შემდეგში

روزنامه مردم، آ بان ماه، ۱۳۵۰ شماره ۷۵

³ „თეთრი რევოლუცია“, გვ. 41. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, სახელმწიფო მიწები 3 ათასზე მეტ სოფელს მოიცავდა.

⁴ روزنامه اطلاعات، 1959 წლის 6 და 7 დეკემბერი: (შემდეგში „თელათი“).

ზრდილი ნორმები — 400 ჰექტარი სარწყავ და 800 ჰექტარი ურწყავ მიწებზე⁷. შემდეგში, ახასიათებდა რა ამ კანონს, ჰასან არსანჯანი ამბობდა: „მას მიწის რეფორმის კანონი უწოდეს, თუმცა იგი არც მემამულეს ეხებოდა სათანადოდ და არც გლეხს. ყველა ირანელი მემამულე ამ კანონის მომხრე იყო. ასი წელიც რომ გასულიყო, მისი განხორციელება არ მოხერხდებოდა“⁸.

1962 წლის 9 იანვარს მთავრობამ მიიღო ამ კანონის შესწორება⁹, რომელიც ფაქტიურად ახალ კანონს წარმოადგენდა და უკანასკნელ ათწლეულში ქვეყანაში გატარებული აგრარული გარდაქმნების მთელი სისტემის საფუძველი გახდა. მიწის რეფორმის ახალი კანონის საფუძველზე მემამულეთა მიწისმფლობელობას ნორმად ერთი მთლიანი სოფელი წესდებოდა. მემამულეებს შეეძლოთ საკუთარი მამულებიდან, თავისი სურვილის შესაბამისად, აერჩიათ ერთი სოფელი, დანარჩენი კი სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ სასოფლო-სამეურნეო ბანკის საშუალებით. მიწის რეფორმას არ ექვემდებარებოდა და კვლავ მემამულეთა საკუთრებაში რჩებოდა ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, ხეხილის ბაღები, სანერგეები და მექანიზებული წესით დამუშავებული მიწები, რომლებზეც სასოფლო-სამეურნეო მუშების დაქირავებული შრომა აქნებოდა გამოყენებული. მემამულეების ე. წ. „ზედმეტ“ მიწებს სახელმწიფო ანაწილებდა სამეურნეო დასაყის¹⁰ მფლობელ გლეხებზე, რომლებიც ამ მიწებს წინათ საწილად იჯარის საფუძველზე ამუშავებდნენ. მიწების ღირებულებას ადგენდა სპეციალური სახელმწიფო კომისია უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ამ მიწებიდან მემამულეების მიერ გადახდილი გადასახადის საფუძველზე. მიწა გლეხებს მიეყიდებოდა 15 წლის განვადებით სათანადო კომისიის მიერ დადგენილ ფასს პლუს 10 %-ის ანგარიშით. კანონი მე-

⁷ Land Reform in Iran, London, 1966. p. 7.

⁸ مجله تهران مصور. 1966 წლის 28 იანვარი, № 1169, გვ. 20. (შემდეგში: თეპრან მოსაერ)

⁹ قوانین و مصوبات درباره اصلاحات ارضی تعاون روستائی و سایر ۲۰۴ مقررات مربوط تا تیر ماه ۱۳۲۹، تهران، ص ۲۰۴ (შემდეგში: კანონები და დადგენილებები მიწის რეფორმისა და კოოპერატივების შესახებ.....)

¹⁰ დასაყი (نسق). სოფლის მიწების ფარგლებში მდებარე მინდორი. დასაყი ჩვეულებრივ უწოდებდნენ სოფლის მიწებიდან გამოყოფილ სახნავ ნაკვეთს, რომელსაც გლეხი ან გლეხები საწილად იჯარის საფუძველზე ამუშავებდნენ.

მაგრამ დასაშვებად თვლიდა, რომ გლეხთან შეთანხმებით შეესყიდნა მისი, როგორც მოწილადე გლეხის, მუდმივი იჯარის უფლება¹¹, რის შედეგად გლეხს სოფელი უნდა დაეტოვებინა.

კანონი ადგენდა, რომ გლეხს მიწა მიეცემოდა იმ პირობით, თუ იგი წინასწარ შევიდოდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში, რომელიც მოცემულ სოფელში შეიქმნებოდა¹². სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის, როგორც ირანის პრესა აღნიშნავდა, უნდა შეეცაო ის ვაკუუმი, რაც სოფლიდან მემამულის წასვლის შემდეგ დარჩებოდა. კოოპერატივებს ევალებოდათ: წესრიგში მოეყვანათ სოფლის სარწყავი მეურნეობა, განეხორციელებინათ სოფლის კეთილმოწყობის ერთობლივი სამუშაოები, მოეწყოთ გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების კოლექტიური გამოყენების ორგანიზაცია, მცენარეთა და ცხოველთა დაცვა, გლეხები მოემარაგებინათ გაუმჯობესებული თესლით, ნერგებით, ქიმიური სასუქებით, შხამქიმიკატებით და პირველი მოთხოვნილების საგნებით, შესაძლებლობის მიხედვით შეესყიდათ და გაესაღებინათ გლეხების პროდუქტები, გლეხებისათვის მიეწოდებინათ იაფი კრედიტი და სხვ.

ცხადია, არსებულ პირობებზე მიწის რეფორმის კანონი იყო წინგადადგმული ნაბიჯი ფეოდალიზმის ძლიერი ნაშთების დაძლევის გზაზე. იგი იყო ერთგვარი დათმობა მმართველი კლასების მხრივ, იმისათვის, რათა შეეჩერებინათ გლეხების რევოლუციური ბრძოლა და დაექსაქსათ მათი ენერჯია. მაგრამ მას აშკარად ორჭოფული ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან, ჯერ ერთი, იგი გარკვევით არ განსაზღვრავდა მემამულეთა მიწის საკუთრების ჰერს და მის ნორმად იღებდა ერთ ექვს დანგიან აბსტრაქტულ „მთლიან სოფელს“¹³. მეორე, კვლავ ძალაში სტოვებდა მსხვილმემამულურ მიწათმფლობელობას იმ მიწებზე, რომლებზეც გაშენებული იყო ბაღები და პლანტაციები ან ისეთ მიწებზე, რომლებიც მექანიზებული წესით მუშავდებოდა. მესამე, გლეხების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც მემამულეთა საკუთრებაში დატოვებულ მიწებზე მუშაობდა,

¹¹ მუდმივი იჯარის ან ფუძის უფლება—„ჰაყ-ე რიში“ (حق راجع) ნიშნავდა მიწაზე უფლების მოპოვებას მისი დამუშავებით.

¹² კანონები და დადგენილებები მიწის რეფორმის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, გვ. 13.

¹³ დანგი (دانگ) —მეექვსედი ნაწილი. ირანში ყოველგვარი უძრავი ქონება ექვსი დანგით იზომება. ფართობის მიუხედავად, თეთიული სოფლის მიწა ექვს დანგს შეადგენს.

კვლავ უმიწაწყოლოდ რჩებოდა. მეოთხეც, გლეხები, რომლებიც მიწას მიიღებდნენ, იძულებული იქნებოდნენ წლების მანძილზე ეხადათ მიწის მძიმე გამოსასყიდი. „აგრარული გარდაქმნა გლეხებს მხოლოდ მაშინ მოუტანს რამდენადმე სერიოზულ სარგებლობას, — წერდა ვ. ი. ლენინი — თუ ისინი მიწას მიიღებენ გაამოუყიდავად. გამოყიდვა ახალი მარყუჭი იქნებოდა გლეხის კისერზე, აუტანლად მძიმე ხარკი...“¹⁴.

მიწის რეფორმის 1962 წლის 9 იანვრის კანონის ის დებულება, რომ მსხვილმემამულეთა მიწის მფლობელობის ჯერი ერთი ექვსდანგიანი სოფლის მიწებით განსაზღვრულიყო, საფუძვლად დაედო ირანის მმართველი წრეების მიერ ოფიციალურად გამოცხადებულ მიწის რეფორმის განხორციელების პირველ ეტაპს, რომლის დამთავრება თავდაპირველად ნავარაუდევია იყო 1963 წლის სექტემბრისათვის.

მაგრამ საკუთრების მაქსიმალური ნორმის ერთი სოფლით განსაზღვრა დიდ გაურკვევლობას იწვევდა თვით მიწის რეფორმის გამტარებელ მოხელეთა შორისაც კი. ამასთან დაკავშირებით ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოიქვეყნა. ამიტომ მთავრობა იძულებული გახდა შეემუშაებინა და 1963 წლის 17 იანვარს გამოეცა მიწის რეფორმის კანონის ხუთი დამატებითი მუხლი, რომლის საფუძველზე, პროვინციების მიხედვით და მიწების ნაყოფიერების, სარწყავების მოხერხებულობისა და კულტურების გათვალისწინებით, 50-დან 200 ჰექტრამდე განისაზღვრა მიწის მფლობელობის მაქსიმუმი¹⁵. 1964 წლის 25 ივლისს გამოიცა მიწის რეფორმის კანონის დამატების განხორციელების ვრცელი ინსტრუქცია, რომელშიც ბევრი ახალი დებულება იქნა ჩამოყალიბებული¹⁶. კანონის დამატებით მუსლებსა და მისი განხორციელების ინსტრუქციაში შემამულებებს ეძლეოდათ ხუთი არჩევანი იმ მიწებზე, რომლებიც მათ მფლობელობის დაწესებული მაქსიმუმის ფარგლებში რჩებოდათ:

1. მიწები შეეძლოთ გაეცათ გლეხებს ფიქსირებული იჯარის საფუძველზე 30 წლით, ყოველ ხუთ წელიწადში საიჯარო შეთან-

¹⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ. 4-ე გამოც., ტ. 12, გვ. 353.

¹⁵ კანონები და დადგენილებები მიწის რეფორმისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, გვ. 20—22.

¹⁶ იქვე, გვ. 27—42.

სმების გადასინჯვის პირობით. ასეთივე არჩევანი ეძლეოდა კერძო ვაყფის მფლობელებს, ხოლო საზოგადოებრივი ვაყფის მზრუნველს მიწა შეიძლება გაეცა 99 წლის იჯარით¹⁷;

2. თავისი სახნავეები მიეყიდათ მოიჯარე გლეხებისათვის ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე;

3. სარწყავი და ურწყავი მიწები დაეყოთ მემამულესა და გლეხებს შორის ტრადიციული საწილად იჯარის პროპორციულად წყლით სარგებლობის შესაბამის უფლებასთან ერთად¹⁸;

4. სოფლის გლეხებისა და მემამულეების უმრავლესობის შეთანხმების შემთხვევაში სოფელში შეექმნათ სამეურნეო სააქციო ერთეული, რომელსაც მართავდა სამი კაცისაგან შემდგარი გამგეობა. აქედან ერთი იქნებოდა გლეხების, ხოლო მეორე მემამულეების წარმომადგენელი. მესამეს კი ურთიერთ შეთანხმებით აირჩევდნენ¹⁹;

5. იმ შემთხვევაში, თუ მემამულის მიწა კანონით დაწესებულ მაქსიმუმს არ აღემატებოდა, მას შეეძლო გამოეყენებინა მიწის რეფორმის კანონის 22 მუხლი და გლეხთან შეთანხმებით შეესყიდა გლეხის უფლებები („პაყ-ე რიშე“) მუდმივ იჯარაზე და იგი გამოეყენებინა, როგორც დაქირავებული მუშა ან სოფლიდან გაესტუმრებინა²⁰.

ყველა ეს დებულება შემდეგში გამოცხადებულ იქნა, როგორც მიწის რეფორმის განხორციელების მეორე ეტაპის ძირითადი ღონისძიებები. ამ ეტაპის განხორციელების დამთავრებას 1966 წლის თებერვალში ფიქრობდნენ.

1966 წლის დამდეგს, მიწის რეფორმის მეოთხე წლისთავზე, გამოცხადებული იქნა რეფორმის მესამე ეტაპის განხორციელების ოცუნიქტიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა სასოფლოსამეურნეო წარმოების ამაღლებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ ისეთ ღონისძიებათა გატარებას, როგორცაა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საირიგაციო სისტემის სრულყოფა და ახალი მეთო-

¹⁷ ვაყფი (وقف)—წმინდანთა სამარტვილობისა და მუსლიმანური წოდების მფლობელობაში არსებული მიწები. არსებობდა კერძო ანუ საოჯახო და საზოგადოებრივი ვაყფები. ირანში ვაყფების 6 ათას სოფელზე მეტს ითვლიდნენ.

¹⁸ კანონები და დადგენილებები მიწის რეფორმისა და კოოპერატივების შესახებ, გვ. 21.

¹⁹ იქვე, გვ. 33.

²⁰ იქვე, გვ. 41.

დების დანერგვა, მინერალური სასუქების წარმოებისა და გამოყენების გადიდება, სტიქიურ უბედურებასთან და სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და მსხვილი საწარმოო ერთეულების ქსელის განმტკიცება და გაფართოება, კერძო კაპიტალდაბანდებათა წახალისება მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში, სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო საზოგადოებების შექმნა. სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამების შეთანხმება ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების გეგმებთან და სხვ.²¹

მიწის რეფორმის მესამე ეტაპი ფაქტიურად დაიწყო 1967 წლის მარტში, როცა ოფიციალურად გამოცხადდა მეორე ეტაპის განხორციელების დამთავრება, მაგრამ სინამდვილეში რეფორმის პირველი და მეორე ეტაპების განხორციელება წინასწარ დადგენილ და ოფიციალურად გამოცხადებულ ვადებში არ დამთავრებულა და გრძელდებოდა მესამე ეტაპის პარალელურად. ეს იმას ნიშნავს, რომ მიწის რეფორმამ თავიდანვე მიიღო გაქიანურებული, ზანგრძლივი ხასიათი, რაც გამოწვეული იყო მმართველი მემამულურ-ბურჟუაზიული წრეების მერყეობითა და არათანმიმდევრობით, იმ განზრახვით, რომ არა თუ რამდენადმე არ შეეღაბათ მსხვილ მემამულეთა ინტერესები, არამედ მათ სასარგებლოდ გადაეწყვიტათ სოფლის მწვავე ეკონომიური და სოციალური პრობლემები, თანდათანობით შეეგუებინათ ისინი აგრარული გარდაქმნების მსვლელობაში სოფელში და ქალაქში კაპიტალისტური განვითარების მიმდინარე პროცესისადმი.

ირანის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, რეფორმის წინ ქვეყანაში არსებული ყველა სოფლიდან²² 26 ათასი სოფელი ეკუთვნოდა ისეთ მემამულეებს, რომელთაგან თვითეული ერთზე მეტ სოფელს ფლობდა²³. აქედან, მხოლოდ 17 ათას სოფელს უნდა შეხებოდა მიწის რეფორმის პირველი ეტაპი²⁴. უფრო მოგვიანებით

مرحله سوم اصلاحات ارضی یا افزایش تولید محصولات کشاورزی، سبهد ریاحی، تهران ۱۳۴۵، ص ۴۲. (შემდეგში: რიპი).

²² ირანში სოფლების რაოდენობა დაზუსტებული არ არის. ზოგი წყარო 50 ათას სოფელს ასახელებს, ზოგიც 54 ათასს. უკანასკნელი გამოანგარიშებით, სასოფლო დასახლებული პუნქტების რიცხვი 60 ათასამდეა.

²³ ۲۴ ص ۱۳۴۱، تهران، ایران، در ارضی

²⁴ Бадн, Ш. М. Земельная реформа в Иране, в сб.: «Иран», М. 1963, стр. 36.

გამოცხადდა, რომ რეფორმის პირველი ეტაპზე კანონის დებულებები 13,904 სოფლის მიწებზე გავრცელდებოდა²⁵. ასეთი შეუთავსებლობა გამოწვეული იყო ირანის სტატისტიკის საერთო მოუწესრიგებლობით და, რაც მთავარია, იმით, რომ რეფორმისათვის მზადების პერიოდში მსხვილმა მემამულეებმა მოასწრეს თავისი „ზედმეტი“ მიწების მნიშვნელოვანი ნაწილის მემკვიდრეებსა და ნათესავებზე გადაცემა — გასაჩუქრება. გარდა ამისა, ისინი ზშირად რამდენიმე სოფელს რეგისტრაციაში ატარებდნენ, როგორც ერთ სოფელს. მიწის რეფორმის ორგანიზაციაში²⁶ შეიმუშავა პროგრამა, რომელშიც მიწის რეფორმის განხორციელების დაწყება და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული საზოგადოებების დაარსება თავდაპირველად წინასწარ შერჩეულ რაიონებში გაითვალისწინეს. 1942 წლის 16 იანვარს ირანის აზერბაიჯანის მარალის შაჰრესთანის (პროვინცია) მსხვილ მემამულეებს მითითება მიეცა, რომ კანონის საფუძველზე განცხადება გამოექვეყნებინათ მფლობელობის შესახებ. მალე პრაქტიკულად შეუდგნენ მათი მიწების შესყიდვას და გლეხებს შორის დანაწილებას. ამით საფუძველი ჩაეყარა მიწის რეფორმის პირველი ეტაპის დაწყებას²⁷.

მარალაში მიწის რეფორმის პირველი ხნულის გატანა შეპირობებული იყო იმით, რომ, 1) აქ ჯერ კიდევ 1945—1946 წლებში ირანის აზერბაიჯანში დემოკრატიული მმართველობის დროიდან, მნიშვნელოვნად შეილახა მსხვილი მემამულეების ავტორიტეტი და გავლენა. წლების მანძილზე ადგილი ჰქონდა გლეხების აქტიურ გამოსვლებს მემამულეების წინააღმდეგ. 2) მარალა არის ერთ-ერთი უხვმოსავლიანი რაიონი მთელს ირანში, რასაც ხელს უწყობს ბუნებრივი პირობები და სარწყავი წყლების არსებობა. ეს საშუალებას იძლეოდა დანაწილებულ მიწებზე მეურნეობის განვითარებისათვის, რასაც მთელ ქვეყანაში რეფორმის იდეების პროპაგანდისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მარალა რაიონის სოფლებში 250 მემამულე ექვემდებარებოდა მიწის რეფორმის

²⁵ ۱۷۵ ص ۸-۷ شماره ۱۳۴۳، مجله تحقیقات اقتصادی

²⁶ კანონის საფუძველზე, ქვეყანაში მიწის რეფორმის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის მიზნით მიწის რეფორმის ორგანიზაცია შეიქმნა 1962 წლის იანვარში. იხ. تهران اکونومیست مجله 1966 წლის 23 ივლისი, № 644, გვ. 28 (შემდეგში: “თეჰრან ეკონომისტი“)

²⁷ روزنامه کیهان، 1962 წლის 8 მაისი.

პირველ ეტაპს. შემდეგში მათ დაემატა კიდევ 40 მემამულე, რომლებმაც თავისი მიწები სახელმწიფოს მიყიდეს მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 1 მარტის დადგენილების საფუძველზე²⁸. მარალელი მემამულეების დიდი ნაწილი, 206 კაცი, თავის სამფლობელო სოფლებში არ ცხოვრობდა. ისინი მუდმივად იმყოფებოდნენ თავრიზში, თეირანში ან საზღვარგარეთ და ფეოდალური მიწის რენტის ხარჯზე პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდნენ. ზოგიერთს ექირა სამხელეო თანამდებობა, იყო ვაჭარი ან რაიმე სპეციალისტი (ექიმი, ინჟინერი, იურისტი და სხვ.). 238 მათგანმა ე. ი. 80%-მა თავის საკუთრებაში დაიტოვა ერთი მთლიანი სოფელი, ხოლო დანარჩენმა სახელმწიფოს მიყიდა ყველა თავისი მამული. ამ პროცენტის 345 სოფლიდან მიწის რეფორმის პირველ ეტაპს 107 სოფელი ანუ ერთ მესამედზე ნაკლები დაექვემდებარა²⁹.

მარალის განაწილებულ სოფლებში 55 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი შეიქმნა 29,529 წევრით და 16.853.350 რიალი კაპიტალით³⁰. მთავრობის გადაწყვეტილებით მარალის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების კავშირს გამოეყო 50 ტრაქტორი იმ 250 ტრაქტორიდან, რომელიც საბჭოთა კავშირიდან იქნა შეტანილი³¹.

ამის შემდეგ მიწის რეფორმის განხორციელებასა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნას ხელი მოკიდეს შაჰინ დიზჰის, თიქაბის, მიანდოაბის, შაჰრუდის, ყაზვინის და სხვა რაიონებში³².

პირველ ეტაპზე რეფორმის განხორციელების მსვლელობაში ბევრ სოფელში იქმნებოდა ისეთი მდგომარეობა, როცა მიწების ერთი ნაწილი გლეხებს საკუთრებაში გადაეცემოდა, ხოლო მეორე ნაწილი კვლავ მემამულეს რჩებოდა და მათ მძიმე პირობებში იჯარის ძველებური წესით ამუშავებდნენ იმავე სოფელში მცხოვრები უმიწაწყლო გლეხები. ეს ხელს უწყობდა გლეხების უკმაყოფილებასა და მღელვარებას. ხშირი იყო შემთხვევები, როცა გლეხე-

²⁸ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის პირველი მარტის დადგენილების თანახმად, მემამულეებს შეეძლოთ საკუთრებაში დარჩენილი ერთი ექვსდანგის სოფლის მიწები მიეყიდათ სახელმწიფოსათვის გლეხებს შორის დასანაწილებლად.

²⁹ „ეთელათი“, 1962 წლის 21 იანვარი

³⁰ محمد علی عبادی، اصلا حات ارضی در ایران، تهران ۱۳۴۱، ص ۲۴
იხ. აგრეთვე ე. ლამბტონი. დასახ. ნაშრომი, გვ. 90—91.

³¹ „ეთელათი“, 1962 წლის 28 აგვისტო.

³² ე. ლამბტონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

ბი მემამულეს არ აძლევდნენ ნაწილს მოსავლიდან და ზოგჯერ მთლიანად ეუფლებოდნენ მის მიწას. იმისათვის, რათა ამ ნიადაგზე წარმოშობილი გლეხების უკმაყოფილება რამდენადმე აღეკვეთა და მემამულეთა ინტერესებისათვისაც ზიანი არ მიეყენებინა, ირანის მთავრობამ ჭერ კიდევ 1942 წლის პირველ მარტს მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზე სახელმწიფოს შეეძლო შეღავათიან პირობებში შეესყიდა იმ მემამულეთა მიწები, რომლებიც ერთ სოფელს არ აღემატებოდა, თუ მფლობელი ამის სურვილს გამოთქვამდა. ეს დებულება შემდეგში განვითარებულ იქნა მიწის რეფორმის კანონის დამატების 1964 წლის 25 ივლისის ინსტრუქციის 14-ე მუხლში³³. მასში აღნიშნული იყო, რომ ის მემამულეები, რომლებიც 1964 წლის 22 ნოემბრამდე მთავრობას შესთავაზებდნენ დადგენილი ნორმის ქვევით არსებულ თავიანთ მიწებს, მაშინვე ნაღდი ანგარიშით მიიღებდნენ გადაცემული მიწის ფასის 95%-ს იმ პირობით, თუ მისი ფასი ნახევარ მილიონ რიალს არ აღემატებოდა. დანარჩენი თანხა მიეცემოდათ თორმეტი წლის მანძილზე 6%-ის დარიცხვით. იმ შემთხვევაში, თუ მემამულის მიწის ფასი ნახევარ მილიონ რიალს გადააჭარბებდა, ნახევარ მილიონ რიალს ნაღდად მიიღებდნენ, ხოლო დანარჩენს ზემოაღნიშნული წესით გადაუხდიდნენ³⁴.

ფინანსური კრიზისის პირობებში მთავრობას უჭირდა თანხების გამოყოფა მიწის რეფორმის განხორციელებისათვის. ამიტომ მან გამოაცხადა სახელმწიფო სამრეწველო საწარმოების საჯარო გაყიდვა და მოუწოდა მსხვილ მემამულეებს, რათა ამ საწარმოთა აქციები შეეძინათ. ირანის შაჰი წიგნში „თეთრი რევოლუცია“ განმარტავდა, რომ სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა აუქციონით გაყიდვა ფაქტიურად მიწის რეფორმის სრულყოფის ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენდა. მისი ძირითადი მიზანი ის იყო, რომ მიწის რეფორმის განხორციელებისათვის საჭირო კრედიტის ნაწილი უზრუნველყო. მაგრამ, ამასთან ერთად, მას ჰქონდა სხვა მნიშვნელობაც, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მიწის გაყიდვით შეძენილი კაპიტალი მემამულეს სამრეწველო წარმოებაში დაეხმარებინა და გუშინდელი მემამულე მეწარმე-კაპიტალისტი გამხდარიყო. შაჰი იქვე აღნიშნავდა, რომ მიწის რეფორმის საკომპენსაციოდ სა-

³³ კანონები და დადგენილებები მიწის რეფორმისა და კოოპერატივების შესახებ, გვ. 31—32.

³⁴ იქვე, გვ. 32.

ხელმწიფო სამრეწველო საწარმოების აქციების გაყიდვის შესახებ მიღებული კანონის თანახმად, გათვალისწინებული იყო ეკონომიკის სამინისტროს განკარგულებაში არსებული 55 ისეთი საწარმოს გაყიდვა, როგორცაა შაქრის, საფეიქრო, სამშენებლო მასალების, ბამბის, ზეთის, ქიმიური და კვების მრეწველობის ფაბრიკები და ქარხნები³⁵.

მაშასადამე, სახელმწიფო სამრეწველო საწარმოების გაყიდვით მმართველი წრეები ორ ძირითად ამოცანას ისახავდნენ: ჯერ ერთი, მიღებული თანხებით მიწის კომპენსაცია გადაეხადათ მსჯეილო ექსპლუატებისათვის და ამით თავიდან აეშორებინათ მათი მისალოდნელი უკმაყოფილება მიწის გამოსაყიდი თანხების გადახდის დაგვიანებისა და გაჭიანურების გამო. მეორე, მემამულეთა მიწების გაყიდვით მიღებული კაპიტალი დაეძრათ მკვდარი წერტილიდან და ვზა მიეცათ წარმოებისაკენ. ამით ყოფილი ნახევარფეოდალი მემამულე შეეგუებინათ ახალი ვითარებისათვის, გადაექციათ იგი მრეწველ კაპიტალისტად. ამაში აშკარად გამოვლინდა ირანის მმართველების სოციალური ბუნება. ცხადია, რომ ამ და მსგავსი ღონისძიებების გატარებით მთავრობას მიწის მძიმე გამოსასყიდის გადახდისაგან გლეხების განთავისუფლება ანდა მათი ამ დიდი ტვირთის შემსუბუქება როდი სურდა. მთავრობა ვარაუდობდა, რომ კოოპერატიული საქმიანობის თანდათან გაფართოებით ახალი მესაკუთრე გლეხები გაადიდებდნენ შეძენილი მიწების რენტაბელობის დონეს და დროთა განმავლობაში შეძლებდნენ დაეთარათ მიწის განვადებით შესატანები. მიწის რეფორმის კანონი არა თუ შელავათებს ითვალისწინებდა გლეხების მიმართ, არამედ მაიძულებელ ღონისძიებებსაც კი მიმართავდა. მასში საგანგებოდ იყო მითითებული, რომ თუ გლეხი სასოფლო-სამეურნეო ბანკში სამჯერ ზედზედ ვერ შეიტანდა მიწის განვადებით გამოსასყიდს, მას ჩამო-

³⁵ «თეთრი რევოლუცია», გვ. 80. სამრეწველო საწარმოების აქციების გაყიდვის ორგანიზაციის მოსაწყობად შეიქმნა „სახელმწიფო სამრეწველო საწარმოების სააქციო საზოგადოება“, რომელიც სააქციო კომპანიის სახით მოქმედებდა. გასაყიდად გამოცხადებული 55 სამრეწველო საწარმოს ფასი 7,7 მილიარდ რიალს შეადგენდა, რაც მემამულეთა მიწების საკომპენსაციო თანხის თითქმის 80% იყო. აღნიშნულმა საზოგადოებამ, საგვგომ ორგანიზაციასთან ერთად, მიიღო ზომები წარმოების გასაღივად. მარტო შაქრის ქარხანამ შაქრის წლიური წარმოება 80 ათასიდან 140 ათას ტონამდე გააძიდა. იქვე, გვ. 81.

ერთმეორდა მიწის ნაკვეთი და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაუბრუნდებოდა სხვაზე გადასაცემად³⁶.

1963 წლის შემოდგომისათვის, როდესაც რეფორმის პირველი ეტაპის განხორციელება იყო გათვალისწინებული, რეფორმის კანონს დაქვემდებარებული 13904 სოფლიდან სახელმწიფომ მსხვილი მემამულეებიდან მხოლოდ 8649 სოფელი ანუ 57,9% შეისყიდა. მათგან გლეხებს გადაეცა 8042 სოფელი, ე. ი. გამოსყიდულ სოფლებზე 600-ზე მეტი სოფლით ნაკლები. ამ ხნის მანძილზე გლეხებმა შეძლეს სახელმწიფოსათვის გადაეხადათ მიწების მთელი გამოსასყიდი თანხის მხოლოდ 1,5%.

მიწის რეფორმის განხორციელების გაჭიანურებას, სხვა მიზეზებთან ერთად, ხელს უწყობდა მემამულეებისა და შიიტური სამღვდელოების ზედა ფენების ძლიერი ოპოზიცია, რომელთა მიმართ რიგ შემთხვევაში მმართველი წრეები შემარიგებლურ დამოკიდებულებას იჩენდნენ.

1966 წლის 17 თებერვალს მიწის რეფორმის ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში, ქვეყნის მთავარი პროვინციების მიხედვით, მიწის რეფორმის პირველი ეტაპის განხორციელება ასეთ სურათს იძლევა.³⁷

ამრიგად, მიწის რეფორმის პირველი ეტაპის დამთავრებისათვის გათვალისწინებული დროიდან (1963 წლის სექტემბერი) ორწელიწადნახევრის შემდეგ სახელმწიფომ მემამულეებიდან გამოისყიდა 12921 სოფელი ანუ პირველ ეტაპს დაქვემდებარებული სოფლების 85%. მიწის რეფორმის პირველი ეტაპი დამთავრებული იყო ისფაჰანის, ბენდერ აბასის, სემნანის, გორგანის, ზაჰედანის, ბულუჩისტანისა და ჩისტანის სოფლებში, სადაც რეფორმა მიწის სავარგულების მხოლოდ მცირე ნაწილს შეეხო. ყველაზე მეტი სოფლები დანაწილდა ქერმანშაჰისა და აღმოსავლეთ აზერბაიჯანის პროვინციებში. შემდეგ მოდის ფარსის, ხორასნის, გილანისა და თეირანის პროვინციები. ამასთან ერთად, ჯერ კიდევ ბევრი სოფელი დარჩა მემამულეთა საკუთრებაში ქერმანშაჰში, ფარსში, თეირანში, გილანში, ჰამადანში და სხვ. ეს აიხსნება იმით, რომ ბევრი იყო გაურკვეველი და სადაო მფლობელობის მიწები, ზოგის საკუთრება კი რეგისტრაციაში არ იყო გატარებული.

³⁶ „ეთელათი“, 1962 წლის 13 იანვარი; Iran Press, 1967, 17 january, vol. 16, № 3. p. 9.

³⁷ ე. ლ ა მ ბ ტ ო ნ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

პროცინტოები	შესვლილი სოფლები		განაწილებული სოფლები		დარჩენილი სოფლები		პირველი გამოსაყიდი თაზხა (რიალუბო)	ახელმწიფოს მიერ შესვლილი მიწები (რიალუბო)	გლხთა ოჯახები, რომლებმაც მიწა მოკეს
	ექს-დანეი-ანი	ექს-დანეი-ანი	ექს-დანეი-ანი	ექს-დანეი-ანი	ექს-დანეი-ანი	ექს-დანეი-ანი			
1									
აღმოსავლეთი აზერბაიჯანი	553	1,36	528	1000	25	136	587860839	1677997208	87827
ქერმანშაჰი	531	1,16	449	605	112	611	51964558	221145569	39638
მზანდერანი	65	583	54	374	11	209	5282072	404813593	37745
თერანი	192	877	55	548	137	129	30850400	710963919	35832
გილანი	286	543	199	302	87	241	234832110	6.0727230	28398
ფარსი	185	1220	127	774	38	446	284736603	344349620	26639
ჰამადარი	107	565	85	243	22	322	462172035	908792848	23125
ხუზისტანი	221	344	206	318	15	26	24671720	124593159	21096
ქურდისტანი	122	375	89	196	33	179	51755311	231647917	21039
დასავლეთი აზერბაიჯანი	166	330	166	323	—	7	133675520	324055896	18236
ოსეთი	31	321	31	321	—	—	33711301	141228832	16643
ლურისტანი	62	428	61	411	1	14	67519591	167704793	13163
ხორასანი	180	1,41	170	1029	10	112	77114374	388350971	12351
ქერმანი	85	345	57	190	28	155	29687708	163391558	5897

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ბეჭიძი	37	43	37	23	—	17	2650151	31812939	3515
ბენდერ აბასი	5	13	5	13	—	—	585576	7656594	218
კუბანსი	8	37	8	37	—	—	1282034	15046089	80
გორგანი	—	6	—	6	—	—	784754	4372605	65
ზაქედანი	1	2	1	2	—	—	92359	1389730	35
ხეჭოსთანში დანა- წილები და ლეის სოფლები	—	610	—	610	—	—	—	—	40160
ბელჯიჩისთანსა და სითანში დანაწი- ლები	26	—	26	—	—	—	—	—	—
ს უ ლ	2883	10038	2334	7594	529	2504	1871902305	6992407417	431743

მიწის გამოსასყიდის პირველი ვადის შეტანილი თანხა მთელი გამოსასყიდი ფასის 28,2 პროცენტს შეადგენდა. ეს მაჩვენებელი წინა პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა იმიტომ, რომ მთავრობამ მიიღო მაიძულებელი ღონისძიებანი გლეხებს მიმართ დავალიანების აღსაკვეთად და ცალკეულ შემთხვევაში გლეხი იძულებული იყო გაეყიდა პირუტყვი და საოჯახო ნივთები, რათა მიწის გამოსასყიდი დროზე შეეტანა. ზოგჯერ ამ მიზნით იყენებდნენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივიდან მიღებულ სესხებსა და კრედიტებს. გამოსასყიდი თანხის პირველი შენატანების გაზრდას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ზოგიერთ პროვინციაში, განსაკუთრებით იქ, სადაც სასაქონლო მიწათმოქმედება იყო განვითარებული, შეძლებულ გლეხებს ერთბაშად შეჰქონდათ მიწის მთელი ფასი³⁸.

ირანის ოფიციალური სტატისტიკა, იშვიათი გამონაკლისის გარეშე, არ იძლევა დიფერენციულ ცნობებს გლეხების სხვადასხვა ფენების მიერ გამოსყიდული მიწის ფართობების დასაანგარიშებლად და ამ საფუძველზე მათი მატერიალური შესაძლებლობის დასადგენად. ზოგიერთ პროვინციაში და რაიონში ჩატარებული შერჩევითი გამოკვლევების საფუძველზე ცხადი ხდება, რომ გლეხობის დიდი მასა რეფორმის პირველი ეტაპის განხორციელების შემდეგაც მცირემიწიანი დარჩა და მხოლოდ მათმა ერთმა ნაწილმა შეძლო მიწის შედარებით მნიშვნელოვანი ფართობები. 1964 წლის მაისში მოეწყო გილანის პროვინციის სოფელ გიგასარში გლეხების საკუთრების მდგომარეობის გამოკვლევა. როგორც გამომკვლევე ჯგუფი თავის ანგარიშში აღნიშნავდა, მათ მიერ შესწავლილი გლეხური მეურნეობები ირანის კასპიისპირა ყველა რაიონისთვის დაახლოებით საერთო სურათს იძლეოდა. ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ „გიგასარში არცერთ გლეხს არ აქვს 5 ჰექტარზე მეტი მიწა, ხოლო ისინი, რომლებსაც 3 ჰექტარზე მეტი მიწა აქვთ, ძალიან ცოტანი არიან. გლეხების უმეტესი ნაწილი 0,5-დან 2 ჰექტარამდე მიწას ფლობს“³⁹.

ისტაჰანის რაიონის სოფელ შეჰაბ-აბადში, სადაც 1967 წელს საბჭოთა ურუნალისტმა აჰმადზიანოვმა იმოგზაურა, საშუალო შეძლების გლეხი იყო იბრაჰიმი, რომელმაც მიწის რეფორმის შედეგად 3 ჰექტარი მიწა მიიღო. იგი იჯარით ამუშავებდა აგრეთვე მე-

³⁸ ე. ლ ა მ ბ ტ ო ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 122.

³⁹ დონია, 1969 წელი, № 1, გვ. 46.

წამულის ერთ ჰექტარ მიწას. ამ სოფელში გლეხების ნაწილს 15—20 ჰექტარი მიწაც ჰქონდათ, მაგრამ მათი რიცხვი ძალიან მცირე იყო⁴⁰.

თუ გავითვალისწინებთ ირანის კასპიისპირეთის ბუნებრივ პირობებს, რაც შემოსავლიანი კულტურების მოყვანის შესაძლებლობას იძლევა, 3 დან 5 ჰექტარამდე მიწის ფართობი უზრუნველყოფს შედარებით შეძლებული სამეწარმეო მეურნეობის მოწყობას, ასეთსავე პირობებს ჰქმნის ისფაჰანის რაიონში 5 ჰექტარზე მეტი სარწყავი მიწები. ამიტომ, ცხადია, რომ ის გლეხები, რომლებიც აღნიშნული რაოდენობის მიწის ფართობებს ფლობდნენ, გლეხური ბურჟუაზიის ფენას ჰქმნიდნენ, ხოლო გლეხების ძირითადი მასა საშუალო და ღარიბი გლეხების კატეგორიას განეკუთვნებოდა, მათი მეურნეობები ძირითადად სამომხმარებლო ხასიათს ატარებდა და ზედმეტი პროდუქტი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება ეწარმოებინათ. მაგრამ თუ მაინც ასეთი მეურნეობებს ბაზარზე გაჰქონდათ პროდუქტის გარკვეული რაოდენობა, ეს გამოწვეული იყო მხოლოდ გაკვირვებით. ისინი მოხმარებისათვის აუცილებელ პროდუქტს იკლებდნენ იმიტომ, რომ თავისთვის უზრუნველყოთ ცხოვრების ელემენტარული პირობები, გაესტუმრებინათ მიწის გამოსასყიდი თანხა ან გადაეხადათ მრავალი პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადი. სახელმწიფო ორგანიზაციები და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები დახმარებას უწყევდნენ უპირატესად შეძლებულ მეურნეობებს, აძლიერებდნენ მათ. ეს უკანასკნელნი კი, თავის მხრივ ავიწროვებდნენ და ანადგურებდნენ წვრილ გლეხურ მეურნეობებს, წარმოების საშუალებებისაგან მოწყვეტილ მოიჯარეებად და სოფლის მოჯამაგირეებად აქცევდნენ მათ.

მიწის რეფორმის პირველი ეტაპის ღონისძიებანი, რომელიც რეფორმის შესამე ეტაპზე გაგრძელდა, 1971 წლის 20 მარტამდე გასული 9 წლის მანძილზე ასეთი ძირითადი მონაცემებით ხასიათდება⁴¹. იხ. ცხრილი 2.

მიწის რეფორმის განხორციელების დამთავრების შედეგების შესახებ, 1971 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული საბოლოო

⁴⁰ Азия и Африка сегодня, Октябрь 1967 г. № 10.

⁴¹ گزارش سالیانه و ترازنامه بانک مرکزی ایران در پایان اسفند 1348، تهران، تیر ماه 1349، ص 134؛ مجله بانک مرکزی ایران، اسفند 1349، شماره 114، ص 24

სტატისტიკის თანახმად, რაც ირანის მონარქიის არსებობის 2500 წლის იუბილეს დაუკავშირეს, მიწის რეფორმის პირველი ეტაპის პროგრამა დამთავრდა 16.351 სოფელში და 945 მეურნეობაში, მიწა მიიღო 761 931 გლეხის ოჯახმა ანუ 3,809.655 სულმა. გამოსყიდული მამულების საერთო ფასი შეადგენდა 9.910.677.555 რეა-

ცხრილი 2

წლები	გამოსყიდული სოფლები	გლეხები, რომლებმაც მიწა მიიღეს		წიწების ამოსასყიდი თანხა (მილიონ რიალებში)	უდახდელი თანხა (მილიონ რიალებში)
		ოჯახები	ოჯახის წევრები		
1962/3	3705	130018	650090	3339	339
1963/4	5002	173171	865855	—	223
1964/5	1605	45702	228510	—	426
1965/6	2991	164084	820420	—	1305
1966/7	1571	88227	441125	—	547
1967/8	136	15537	77685	231	73
1968/9	451	36673	183365	317	64
1969/70	539	89694	448470	292	60
1970/71	78	13715	68575	—1294 ⁴²	11
ს უ ლ	16078	756821	3764995	9739	3048

ალს. ამ დროისათვის პირველი შენატანების სახით შემამუღეებს გადაუხადეს 3.149.419.224 რიალი⁴³.

ამ მონაცემების საფუძველზე თვითეულ ირანელ გლეხს მიწის გამოსასყიდი თანხა საშუალოდ უნდა გადაეხადა 13 ათას რიალზე მეტი, ხოლო გადახდელი ჰქონდათ 4,13 ათასი რიალი. ეს იქას ნიშნავს, რომ მიწის რეფორმის თითქმის 10 წლის მანძილზე გლეხებმა გამოსასყიდი თანხების ორი მესამედის ნაცვლად, ძლივს შეძლეს გადაეხადათ მხოლოდ ერთი მესამედი. ამასთან ერთად, მიიღო სოფლის მცხოვრებთა ოჯახების ერთ მეოთხედზე ნაკლებმა. გლეხების დიდი უმრავლესობა კვლავ უმიწაწყლო იყო.

მიწის რეფორმის მეორე ეტაპის განხორციელება 1965 წლის თებერვალში დაიწყო იმით, რომ ირანის აზერბაიჯანის ნაღდეს რაიონის სოფლებში საცდელი წესით პრაქტიკულად განხორციელდა

⁴² უარყოფითი ნიშანი აღნიშნავს წინა წლების სტატისტიკაში დაშვებულ შეცდომას.

⁴³ «თეპრან მოსავარ», 1971 წლის 13—20 X, № 1462, გვ. 33.

მიწის რეფორმის კანონისა და მისი ინსტრუქციის ზოგიერთი დებულება.⁴⁴ ამ რაიონის 131 სოფლიდან სხვადასხვა მეთოდით მოწესრიგდა 97 სოფლის მამულები. დანარჩენ 34 სოფელში მეორე ეტაპის ღონისძიებათა გატარება არ მოხერხდა იმის გამო, რომ მემამულეებმა მოასწრეს თავისი მამულების მეტი ნაწილი ახლობლებისა და ნათესავებისათვის გადაეცათ⁴⁵.

პირველ ეტაპთან შედარებით, მეორე ეტაპის განხორციელების პროცედურა უფრო რთული იყო, ვინაიდან მიწების ფართობების ჰექტრებში გადაანგარიშება მოითხოვდა სათანადო ტოპოგრაფიული სამუშაოების ჩატარებას, რასაც ამ დრომდე პრაქტიკაში იშვიათად იყენებდნენ. ამასთან, სოფლებისა და მამულების რაოდენობა, რომლებსაც რეფორმა შეეხო გაცილებით მეტი იყო, ვიდრე წინა ეტაპზე. ეს მოითხოვდა აგრეთვე მოხელეთა შედარებით მეტ რაოდენობას, მიწათმფლობელობისა და მიწით სარგებლობასთან დაკავშირებით სხვადასხვა ცნობების შეგროვებას და სხვ. მუშაობას აინელეზბდა ისიც, რომ ბევრგან არ არსებობდა ან მოუწესრიგებელი იყო სოფლების მისადგომი გზები და არ ჰქონდათ მიმოსვლის საშუალებები.

შთავრობა ვარაუდობდა, რომ რეფორმის მეორე ეტაპი ერთ წელიწადში დაემთავრებინა, მაგრამ ამ ეტაპის განხორციელება ცუდობით გაქიანურდა. იგი ფაქტურად ექვს წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა და მიმდინარეობდა პირველი და მესამე ეტაპების ღონისძიებათა პარალელურად. მეორე ეტაპის განხორციელების დასამთავრებლად თავდაპირველად ნავარაუდები დროისათვის (1966 წლის თებერვალი) მიწის რეფორმის ორგანიზაციის მიერ გამოცემული სტატისტიკის თანახმად, ასეთი მდგომარეობა იყო:⁴⁶

(იხ. ცხრილი 3).

წყარო: მიწის რეფორმის ორგანიზაციის ანგარიში მეორე ეტაპზე მისი საქმიანობის შესახებ.

ცხრილში მოტანილი მასალები მოწმობს, რომ რეფორმის მეორე ეტაპი, რომელიც 1965 წლის თებერვალში დაიწყო, 1965 წლის მაისისათვის ქვეყნის ყველა პროვინციაზე გავრცელდა და ერთი წლის მანძილზე ამ ეტაპის ღონისძიებები სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით 52,5 ათასი სოფლიდან 53,5 სოფლის მიწებზე განხორ-

⁴⁴ Iran trace. 1965 May. vol. № 1. p. 34.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ ე. ლ ა მ ბ ტ ო ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

პროვინციები	დაწყების თარიღი	მერტე ვიტკის დამკვეთებისათვის		დამთავრდა 1966 წ. დამკვეთებისათვის		დარჩა		მემპულეები, რომლებსაც ჩველარმა შეეხო	გღრები, რომლებსაც ჩველარმა შეეხო	თვითიურლ მამულზე გღრებითა სპე. ჩაოდენობა
		სოფელი	მამული	სოფელი	მამული	სოფელი	მამული			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
ვილანო	4.4.65	2836	—	2836	—	—	—	32585	220458	6
თურინი	3.3.65	4889	2008	4542	1720	347	253	11313	114158	10
პლ. ატერვაიჯინი	4.4.65	3692	292	3275	281	417	13	16860	162668	9
მაზანდერანი	4.4.65	2214	134	2214	134	—	—	10217	141044	13
ბენავანო	1.5.65	3107	2871	3373	2823	536	48	31347	103333	3
ხორასანი	4.4.65	5250	1151	7702	4913	549	188	17255	97963	5.5
ფარსი	1.5.65	2765	2576	972	943	783	820	8144	88976	10
ხუზისტანი	13.3.65	1004	356	12.2	363	412	—	10220	59527	5
კამბადანი	10.4.65	1182	205	977	288	205	—	6209	58052	9
ქურდისტანი	6.4.65	1124	57	1291	35	233	22	1326	43744	33
ღურისტანი	4.4.65	2025	312	938	312	1098	—	9039	41313	4.5
დას. აზერბაიჯანი.	22.2.65	2005	133	1765	109	1018	27	6172	35296	5.7
ქერმანშაჰი	4.4.65	1495	5	1854*	5	172*	5*	1376	37545	27
ჯერმანი	25.4.65	9394	244	7332	244	2052	—	21571	23151	1

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
სუბსიდი	25.4.65	450	527	331	238	134	59	313	10.2	3
ბენეფიციარები	20.4.65	659	5	60	5	7	—	75	705	9
ბიუჯეტი	8.5.65	481	—	127	—	362	—	8	340	42
სოსთანი და ზღუდ- წილთანი	25.4.65	1873	395	1874	995	11	—	101	214	2
გარჯანი	4.4.65	691	100	100	36	496	64			
ს უ ლ	52100	1.100	43013	13613	8792	1459	189670	1238849		
							გარჯანის გარდა	გარჯანის გარდა		
									დადგენილი არ არის	

• ასევე დედადში

კიელდა. მეორე ეტაპი დამთავრებული იყო მხოლოდ ორი პროცენტის — გილანისა და მაზანდერანის სოფლებში. ამ პერიოდში რეფორმა შეეხო 1.238.845 გლეხის ოჯახს ანუ დაახლოებით 5.194.245 კაცს.

მიწის რეფორმის ორგანიზაციის მონაცემებით, ამ დროისათვის იმ შემამულეთა რაოდენობა, რომლებიც მამულებში მეურნეობას პირადად უძღვებოდნენ, ნახევარ მილიონზე მეტი იყო. ისინი მიწებს ამუშავებდნენ მექანიზებული წესით და ფართოდ იყენებდნენ დაჭირავებულ შრომას. ე. ლამბტონის მოწმობით, „ისფაჰანის ბევრ სოფელში გლეხი მესაკუთრეები, რომლებიც თავისი მიწების მცირე ნაჭრებს ამუშავებდნენ, იმისათვის, რათა ცხოვრების მინიმალური პირობები უზრუნველყოთ, დამატებით სამუშაოს სხვა ადგილებში სეზონურ სამუშაოებზე შოულობდნენ ან, როგორც სასოფლო-სამეურნეო მუშები, მეზობელ სოფლებში მიდიოდნენ ქირაზე, ისევე როგორც ეს ხშირად ხორასნის ბევრ სოფელში ხდებოდა“⁴⁷.

საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ირანის სტატისტიკა მიწის რეფორმის მეორე ეტაპზე შემამულისა და გლეხის ურთიერთობაში მომხდარი ზოგიერთი ცვლილების შესახებ: ფიქსირებულ 30 წლიან იჯარაზე გადაყვანილ იქნა 991 ათასზე მეტი უმიწაწყო გლეხის ოჯახი⁴⁸. ეს შეადგენს სოფლის ყველა მცხოვრებთა 28%-ს, და იმ გლეხების ოჯახების 78%-ს, რომლებსაც რეფორმის მეორე ეტაპი სხვადასხვა გზით შეეხო. ეს იმაზე მიუთითებს, რომ შემამულეებმა, მრავალ არჩევანთა შორის, ძირითადად აირჩიეს ახალი, ფიქსირებული იჯარით მიწების გაცემის მეთოდი, ვინაიდან იჯარის ეს ფორმა, რომელიც წინანდელი საწილად იჯარის ადგილს იკავებდა, მიწის აბსოლუტური რენტის მითვისების ყველაზე მყარ საფუძველს იძლეოდა.

მეორე ადგილი დაიკავა: „მოწესრიგების“ იმ ფორმამ, რომელიც სამეურნეო სააქციო ერთეულების შექმნას ითვალისწინებდა. ამ წესს დაუმორჩილეს 132,6 ათასი გლეხის ოჯახი ანუ იმ გლეხთა ოჯახების 10,4%, რომლებსაც მოცემული დროისათვის რეფორმის მეორე ეტაპი შეეხო⁴⁹.

⁴⁷ ე. ლამბტონი დასახ. ნაშრომი, გვ. 220.

⁴⁸ იქვე, გვ. 221.

⁴⁹ იქვე.

სასოფლო-სამეურნეო ერთეულების შექმნის მეთოდი არჩეული იყო უპირატესად ღარიბი გლეხებით დასახლებულ სოფლებში, სადაც გლეხები ძირითადად უკვე ჩამოშორებული იყვნენ მიწასა და წარმოების საშუალებებს და, გარდა თავისი სამუშაო ძალისა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში წარმოების არცერთი სხვა საშუალებით არ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება. ასეთ ერთეულებში მეურნეობის მოწყობა გათვალისწინებული იყო წინანდელი საწილად იჯარისა და შუასაუკუნეობრივი მეთოდების საფუძველზე.

წილადობრივი იჯარის შესაბამისად მიწების დანაწილების წესი აირჩია 9,440 მემამულემ, რომლებმაც თავისი მიწები დაუყვეს 103,8 ათას გლეხს.⁵⁰ ეს შეადგენდა იმ გლეხების 8,9%-ს, რომლებსაც მეორე ეტაპი შეეხო. ამ მეთოდის არჩევას ზშირად ის განაპირობებდა, რომ საწილად იჯარა ბევრ ადგილას არ იყო ხელსაყრელი არა თუ გლეხებისათვის, არამედ მემამულეებისათვის. მაგრამ გლეხების მიერ ამ წესით მიღებული მიწა ისე მცირე მონაკლებად იძლეოდა, რომ იგი მცირედაც ვერ უზრუნველყოფდა მათი ცხოვრების პირობებს. ამიტომ გლეხები ამის შემდეგაც იძულებული იყვნენ ფიქსირებული საიჯარო შეთანხმების საფუძველზე ემუშავნათ მემამულეების მიერ საკუთრებაში დატოვებულ მიწებზე ან კიდევ სხვა სამუშაო ეძებნათ.

მამასადამე, დაყოფის ამ წესს ვერ გამოყავდა გლეხები გაპირებული მდგომარეობიდან. ზოგჯერ კი ეს წესი დამატებით სიძნელების წინაშე აყენებდა მათ, ვინაიდან დაყოფის დროს მემამულე საუკეთესო მიწებს იტოვებდა თავისთვის, ხოლო გლეხებს მწირი და უნაყოფო მიწები რჩებოდათ. მათ არც სარწყავი წყალი ჰქონდათ. ამასთან ერთად, მიწის გამოსასყიდი თანხა, რასაც მემამულეები ამ შემთხვევაში თვითნებურად აწესებდნენ, გლეხებს წლების მანძილზე უნდა ეხადათ.

მიწის გაყიდვის წესი მხოლოდ 2,4 ათასმა მემამულემ აირჩია. მათ 25,8 ათას გლეხს მიყიდეს თავისი მიწები.⁵¹ ეს შეადგენდა იმ გლეხების ოჯახების 2%-ს, რომლებსაც მეორე ეტაპის ღონისძიებები შეეხო. ეს არჩევანი, ისევე როგორც მეორე ეტაპზე დაწესებული ყველა სხვა არჩევანი, მხოლოდ მემამულეების პრივილეგიას შეადგენდა. უმეტეს შემთხვევაში გლეხებისათვის იგი ხელსაყრელი იყო. მაგრამ „მოწესრიგების“ ამ ფორმას იშვიათად ირჩევდნენ,

⁵⁰ ე. ლ ა მ ბ ტ ო ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

⁵¹ იქვე.

ვინაიდან იგი მემამულეებს ბევრ ვერაფერს სარგებლობას აძლევდა. ამასთან ერთად, იმ მემამულეებმა, რომლებსთვისაც სასურველი იყო ეს არჩევანი, მთავრობის 1962 წლის 1 მარტის დადგენილების საფუძველზე ფაქტიურად უკვე პირველ ეტაპზე გაყიდეს ნებაყოფილობით საკუთრების დაწესებულ ნორმაზე ნაკლები მიწები. ამ წესს უმთავრესად მიმართავდნენ ის მემამულეები, რომლებიც სოფლიდან იყვნენ წასული და პირადად არ ზეღმძღვანელობდნენ მეურნეობას.

რეფორმის მეორე ეტაპის განხორციელების ერთი წლის მანძილზე 16 ათასი გლეხი იძულებული გახდა გაეყიდა მუდმივი იჯარის უფლება და სოფლიდან წასულიყო.⁵² „მოწესრიგების“ ეს წესი, როგორც ცნობილია, დაშვებული იყო მეორე ეტაპის გატარების ინსტრუქციის 45-ე მუხლის საფუძველზე, რაც მიწის რეფორმის კანონის 22-ე მუხლის განვითარებას წარმოადგენდა.⁵³ მემამულეები გლეხებს სხვადასხვა საშუალებით აიძულებდნენ დაეტოვებინათ სოფელი. ხშირად მემამულე უკავებდა გლეხს სარწყავ წყალს, არ აძლევდა თესვს და ამით უზმობდა მეურნეობის წარმოების შესაძლებლობას. ზოგჯერ მემამულე პირდებოდა გლეხს, რომ თუ იგი მუდმივი იჯარის უფლებას მიყიდდა, თავის მამულში სამუშაოდ დაიტოვებდა, როგორც სასოფლო-სამეურნეო მუშას, ჩამულს კი გამოაცხადებდა, როგორც მექანიზებული წესით დამუშავებულს. კანონის საფუძველზე, მემამულე ამით 500 ჰექტარამდე მიწის საკუთრებაში შენარჩუნების უფლებას მოიპოვებდა.

1966 წლის დამდეგისათვის აღრიცხული იყო 828 სოფელი, რომელთა მიწები მექანიზებულად მუშავდებოდა. მაგრამ ბევრი მექანიზებული წესით დამუშავებული მიწა, განსაკუთრებით ქერმანშაპის პროვინციაში, ჯერ კიდევ აღურიცხავი იყო. ასევე აღრიცხვის გარეშე იყო დარჩენილი მექანიზებულად დამუშავებული ის მიწები, რომლებიც სოფლის ნაწილს შეადგენდა. ასე რომ ამ სახის მიწები, რომლებზეც კაპიტალისტური წესით წარმართავდნენ მეურნეობას, სულ უფრო იზრდებოდა. ამ დროისათვის მთლიანად ბაღად იყო მიჩნეული 1400-ზე მეტი სოფელი, რომლებიც აგრეთვე 500 ჰექტარამდე რჩებოდა მემამულეთა საკუთრებაში.⁵⁴ მათზე ისინი სასაქონლო მეურნეობას ავითარებდნენ და დაჭირავებულ

⁵² ე. ლამბტონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

⁵³ კანონები და დადგენილებები, გვ. 17.

⁵⁴ ე. ლ ა მ ბ ტ ო ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

შრომას იყენებდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მიწის რეფორმის განხორციელების მსვლელობაში თანდათან ძირი ეთხრებოდა რა ნახევარფეოდალურ ურთიერთობებს ირანის სოფელში, ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა დაქირავებულ შრომასა და თანამედროვე ტექნიკაზე დამყარებული მეურნეობის ფაფართობისა და განვითარებისათვის.

ირანის ცენტრალური ბანკის მიერ გამოქვეყნებული მასალების თანახმად, 1970 წლის ბოლოსათვის მიწის რეფორმის მეორე ეტაპის განხორციელება ასეთი მონაცემებით ხასიათდება⁵⁵.

ცხრილი 4

	21 მარტიდან 21 დეკემბრამდე		სულ 21 დეკემბრისათვის	
	1969/70 ⁵⁶	1970/71	1969/70	1970/71
საზოგადოებრივი ვაყფები, რომლებიც გლეხებს 99 წლიანი იჯარით გადაეცათ	57	1560	9996	11030
კერძო ვაყფები, რომლებიც გლეხებს 33 წლიანი იჯარით გადაეცათ	15	6	983	989
მემამულეები, რომლებმაც თავისი მიწები ნასაყის მფლობელ გლეხებს 30 წლიანი იჯარით გადასცეს	1475	239	210177	212121
მემამულეები, რომლებმაც თავისი მიწები ნასაყის მფლობელ გლეხებს მიჰიდეს	66	—212*	3480	3482
სოფლები, რომლებშიც მიწის რეფორმა დამთავრდა	181	—452*	54322	54018
მეურნეობები, რომლებშიც მიწის რეფორმა დამთავრდა	131	1031	19510	20637

* უარყოფითი ნიშანი ირანის ოფიციალურ სტატისტიკაში დაწვებულ შეცდომაზე მიუთითებს.

ეს მონაცემები იმით არის საყურადღებო, რომ მიწის რეფორმის მეორე ეტაპის ფაქტარება, ისევე როგორც პირველი ეტაპის განხორციელება, გაჭიანურდა და თვით 1970 წლის ბოლოსათვის, ე. ი.

55 مجله بانك مرکزی ایران، اسفند ۱۳۴۹، شماره ۱۱۲، ص. ۲۵

56 ირანის კალენდარული წელი იწყება 21 მარტს და მთავრდება მომდევნო წლის 20 მარტს.

მისი დაწყებიდან თითქმის ექვსი წლის გასვლის შემდეგაც კი დამთავრებული არ იყო. ამ ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ამ დროისათვის სულ იჯარით გაიცა 11 ათასზე მეტი საზოგადოებრივი ვაყფის, ათასამდე კერძო ვაყფის და 212 ათასზე მეტი მემამულის მამული. 3482 მემამულემ კი თავისი მიწები ნასაყის მფლობელ გლეხებს მიყიდა. მაგრამ მოიჯარე ან მესაკუთრე გლეხების შესახებ აქ არაფერი არ არის თქმული.

1971 წლის შემოდგომაზე მიწის რეფორმის შედეგების შესახებ გამოქვეყნებული სტატისტიკა ამ მხრივ შედარებით უფრო ზრულ ცნობებს იძლევა. ამ სტატისტიკის თანახმად, მიწის რეფორმის მეორე ეტაპზე შემდეგი ღონისძიებები გატარდა:

1. 216.968 მემამულემ თავისი მიწები 30 წლიანი იჯარით გადასცა 1.222.769 გლეხს;
2. 18.636 მემამულემ მამულები დაუყო 156.046 გლეხს წინანდელი საწილადო იჯარის პროპორციულად;
3. 3.176 მემამულემ ურთიერთ შეთანხმებით მიწები მიყიდა 57.380 გლეხს;
4. 60.116 მემამულემ 109,312 გლეხთან შექმნა სამეურნეო სააქციო ერთეული⁵⁷.
5. ამ დროისათვის 17.157 გლეხმა თავისი სამეურნეო ნასაყის უფლება მიყიდა დაახლოებით 9 ათას მემამულეს⁵⁸.

ამას გარდა, ცოტა ადრინდელი ცნობებით, 323 საზოგადოებრივი ვაყფის მამულში 99 წლიანი იჯარით მუშაობდა 127.951 ვლეხი, ხოლო 938 კერძო ვაყფი 28.953 გლეხს გადაეცა 30 წლიანი იჯარით⁵⁹.

ამრიგად, მიწის რეფორმის დამთავრების გამოცხადების მომენტისათვის, მიწის რეფორმის მეორე ეტაპი შეეხო 1,7 მილიონზე მეტი გლეხის ოჯახს (8,5 მილიონზე მეტი სული). აქედან ფიქსირებული იჯარზე გადავიდა თითქმის 1,4 მილიონი გლეხი ანუ 82%-ზე მეტი. მიწის მესაკუთრე გახდა 213.426 გლეხი ანუ 11 პროცენტი, დანარჩენი ან სოფლიდან წავიდა, ან იძულებული იყო საწილადო იჯარით საფუძველზე ემუშაე სამეურნეო სააქციო ერთეულებში.

⁵⁷ „თეპრან მოსავარ“, 1971 წლის 13—20 ოქტომბერი, №1472, გვ. 33.

⁵⁸ „მარდომ“, 1971 წლის ნოემბერი, № 75.

⁵⁹ «۱۳۴۸، تهران، دکتر کاظم ودیعی، مقدمه بر روستاشناسی ایران»

რეფორმის მესამე ეტაპის განხორციელებას 1967 წლის მარტ-ში შეუდგნენ. ამ ეტაპზე მთავრობა ცდილობდა შეემცირებინა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხაზით გასაცემი კრედიტების რაოდენობა და სოფლის მეურნეობაში მსხვილი კერძო კაპიტალ-დაბანდებები წახალისებინა. ამ მიზნით, 1967 წლის დამდეგს სა-

ცხრილი 5

(მილიონ რიალებში)

საქმიანობის სახე	პროექტების რაოდენობა	სალაროს დამტვიცებელი სეაბი	სალაროს გაცემული სესხი	პროექტის მთლიანი კაპიტალ დაბანდება	პროექტის წლიური საწარმოო სიმძლავრის შეფასება
სამიწათმოქმედო მეცხოველოზია	11	77,6	53,8	213,2	99,3
მეფრინველეობის მებაღეობის	7	155,4	107,4	441,6	243,2
აგროინდუსტრიული სხვა	4	410,0	103,9	163,7	195,3
	10	100,0	34,6	295,3	137,0
	4	312,0	0	778,1	615,1
	3	149,3	83,7	255,1	157,4
1970-71 წელს	39	836,3	383,4	2157,0	1459,3
1969-70 წელს	16	320,0	96,3	921,6	727,5
1968-69 წელს	4	52,5	28,2	189,1	81,9
სულ საქმიანობის დაწყებიდან	59	1208,3	507,9	3267,7	2252,7

სოფლო-სამეურნეო კრედიტებისა და სოფლის კეთილმოწყობის ბანკთან შეიქმნა სოფლის მეურნეობის განვითარების სალარო („სანდუყ-ე თოუსე-ე რუსთაი) რომლის მიზნად გამოცხადებული იყო ნასვენნი და „მკვდარი“ („მოვათ“) მიწების ასათვისებლად და მსხვილი სასოფლო-სამეურნეო ობიექტების დასაარსებლად კაპიტალდაბანდებათა გადიდება. მთავრობამ სალაროს გამგეობას ნება დართო აგრეთვე მოეზიდა უცხოური კაპიტალი. სალაროს წესდების თანახმად, იგი იძლევა გრძელვადიან კრედიტებს 15 წლამდე ვადით წლიურად 6 პროცენტის დარიცხვით. თვითეული სესხის თანხა შეიძლება იყოს 10 მილიონ რიალამდე. სესხი ეძლევათ მსხვილ სასაქონლო მეურნეობებს მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში და იმ კერძო პირებს და კომპანიებს, რომლებიც რამდენიმე ასეული ჰექტარი მიწის ათვისებას შეუდგებიან.

ირანის სოფლის მეურნეობის განვითარების სალაროს მიერ დამტკიცებული პროდუქტების 1968/71 წლებში⁶⁰. იხ. ცხრილი 5.

სოფლის მეურნეობის განვითარების სალაროს მიერ სამი წლის მანძილზე განხორციელებული 59 პროექტიდან 11 პროექტი ანუ 18%-ზე მეტი მიწათმოქმედების დარგზე მოდიოდა. მებაღეობაში 10 პროექტი (17%), ხოლო მეცხოველეობაში 7 პროექტი (11,8%) იყო დამტკიცებული. 4—4 პროექტი (6,7%) მეფრინველეობისა და აგროინდუსტრიულ საწარმოებზე მოდიოდა. აქედან ყველაზე მეტი საწარმოო სიმძლავრე აგროინდუსტრიულ ობიექტებს ჰქონდათ. მათი სიმძლავრე თითქმის 7-ჯერ აღემატებოდა მიწათმოქმედების დარგში აგებული ობიექტების საწარმოო სიმძლავრეებს. ასევე მაღალი სიმძლავრით გამოირჩეოდა მეცხოველეობასა და მეფრინველეობაში განხორციელებული პროექტები. აქედან ჩანს, რომ მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სოფლის მეურნეობის ყველაზე მეტად ჩამორჩენილ დარგებს და დიდ კაპიტალდაბანდებებს ითვისებდა მათ გასავითარებლად. 1970/71 წელს სოფლის მეურნეობის განვითარების სალარომ სოფლის მეურნეობაში კერძო კაპიტალდაბანდებითა მოზიდვისა და წახალისების მიზნით ახალი შეღავათები დააწესა და სესხის მინიმალური რაოდენობა 5 მილიონი რიალიდან 2,5 მილიონ რიალამდე დაიყვანა.⁶¹ ამით ნაწილობრივ შეემცირდა შუალედი, რომელიც არსებობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ბანკის⁶² სესხის განაკვეთის მაქსიმუმსა (500 ათასი რიალი) და სალაროს სესხის მინიმუმს შორის. მაგრამ მათ შორის არსებული შუალედი ჯერ კიდევ დიდია რაც არ იძლევა შედარებით მცირე პროექტების განხორციელების შესაძლებლობას⁶³.

რეფორმის მესამე ეტაპზე მეორე მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა სამიწათმოქმედო სააქციო საზოგადოებების შექმნა. აღნიშნული საზოგადოებების შექმნის კანონი მეჯლისმა დაამტკიცა

بانک مرکزی ایران. گزارش سالانه و ترازنامه ۱۳۴۹، تهران ۱۳۵۰.
ص. ۵۳.

(შემდეგი: „ბანკ-ე მარქაზი-ე ირანი“).

⁶⁰ იქვე, გვ. 51.

⁶² 1969 წლიდან ირანის სასოფლო-სამეურნეო კეთილმოწყობის ბანკს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ბანკი ეწოდება.

⁶³ „ბანკ-ე მარქაზი-ე ირანი“, გვ. 51.

1967 წლის 26 დეკემბერს, ხოლო სენატმა 1968 წლის 16 იანვარს⁶⁴. სამიწათმოქმედო სააქციო საზოგადოებების შექმნის მიზნად მმართველი წრეები მიიჩნევდნენ მსხვილი საწარმოო მეურნეობების განვითარებას, მეურნეობებისა, რომლებშიც სამიწათმოქმედო წარმოება დაეფუძნებოდა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებას. მას უნდა აღეკვეთა არარენტაბელური წვრილი მეურნეობები და ხელი შეეწყო სასოფლო-სამეურნეო სასაქონლო პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის. აღნიშნული სააქციო საზოგადოებების შექმნა ხდება კაპიტალისტური საწარმოო კოოპერაციის პრინციპებზე, ითვალისწინებს მსხვილ მეურნეობათა განმტკიცებას და შრომის კაპიტალისტურ ექსპლოატაციას ემყარება. კანონის თანახმად, სამიწათმოქმედო სააქციო საზოგადოების აქციონერები შეიძლება იყვნენ ის გლეხები, რომლებმაც მიწა მიიღეს ან მოიჭარენი, აგრეთვე ბარზეგარები (უმიწაწყლო გლეხები), ხორდემალეჩები ანუ წვრილი და ზოგჯერ საშუალო მემამულეები, რომლებმაც მამულის დაყოფის მეთოდი აირჩიეს და, ბოლოს, ის გლეხები და ხონდემალეჩები, რომლებსაც რეფორმის კანონი არ შეხებიათ და რეფორმის კანონის დამტკიცების დროისათვის პირადად ეწეოდნენ მიწათმოქმედებას. ყველა ესენი მათს განკარგულებაში არსებული მიწების აბსოლუტური და მუდმივი გამოყენების უფლებას გადასცემენ სამიწათმოქმედო სააქციო საზოგადოების განკარგულებაში. სამაგიეროდ, საზოგადოებიდან იღებენ აქციებს შეტანილი მიწის ფართობის, მისი ნაყოფიერების და სამეურნეო ელემენტების იმ ღირებულების შესაბამისად, რასაც ადგენს კოოპერაციისა და სოფლის საქმეების სამინისტრო⁶⁵.

სამიწათმოქმედო სააქციო საზოგადოების წევრებს აქვთ უფლება, რათა საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს გადასცენ აქციები ანუ შიშები, რისთვისაც მათ მხოლოდ გამგეობის თანხმობა და კოოპერაციისა და სოფლის საქმეების სამინისტროს დადასტურება ესაჭიროებათ. აქციების ანუ მიწების ურთიერთ გადაცემის საბოლოო მიზანი, როგორც ამას კოოპერაციისა და სოფლის საქმეების მინისტრი აბდ-ოლ ახემ ვალიანი განმარტავდა, იმათი მდგომარეობს, რომ თვითეული წევრის სახელზე საზოგადოებაში გაფორმებული უნდა იყოს ისულ მჭირე 20 ჰექტარი სარწყავი და 40 ჰექტარი ურ-

⁶⁴ კანონები და დადგენილებები მიწის რეფორმისა და კოოპერაციების შესახებ, გვ. 53—58.

⁶⁵ იქვე, გვ. 55.

წყავი მიწა⁶⁶. ეს კი თავისთავად მეტყველებს ირანის მმართველი წრეების იმ განზრახვას, რომ აღნიშნულ საზოგადოებათა საშუალებით დააჩქარონ წვრილი მიწის მესაყურეთა განადგურების და მსხვილ მეურნეობათა ზრდის კაპიტალისტური პროცესი და ამ საფუძველზე ხელი შეუწყონ სოფლის ე. წ. ჭარბი მოსახლეობის გამოდევნას.

პირველი სამიწათმოქმედო სააქციო საზოგადოება შეიქმნა არია მეჭრის სახელწოდებით 1968 წლის აპრილში პერსიპოლისის რაიონში, თაჰთ-ე ჯაშმიდის ახლოს მდებარე სოფელ შაშს აბადში. იგი სიმბოლურად დაუკავშირეს ძველ ირანული სამეფო დინასტიის დაარსების 2500 წლისთავისათვის მზადებას და სწორედ აქემენიდების ყოფილი სატახტოს მიდამოები აირჩიეს მის დასაარსებლად⁶⁷.

1971 წლის 23 აგვისტომდე სამიწათმოქმედო სააქციო საზოგადოებების საქმიანობის შესახებ ოფიციალური სტატისტიკა ასეთ სურათს იძლევა:⁶⁸

ცხრილი 6

სამიწათმოქმედო სააქციო საზოგადოებების რაოდენობა	საზოგადოების სამოქმედო ზონაში მდებარე სოფლების რაოდენობა	ამ ზონაში მცხოვრები მოსახლეობა	მიწის საერთო ფართობი	1970/71 სამეურნეო წელს დამუშავებული მიწების ფართობი	აქციონერების რაოდენობა	საზოგადოებების წევრ აქციონერთა რაოდენობა	კაპიტალის საერთო რაოდენობა	საწყაი წესის რაოდენობა
27	158	75,534	93868	24867	354521	8906	354524	13932
საზოგადოება	სოფელი	კაცი	ჰექტარი	ჰექტარი	აქცია	აქციონერი	ათასი რიალი	იტრი სეკუნდში

თვითეული სამიწათმოქმედო სააქციო საზოგადოება დაახლოებით ექვს სოფელს აერთიანებდა 2800-მდე მოსახლით. თვითეულ საზოგადოებაზე მოდიოდა 3,476 ჰექტარი საეარგული და 921 ჰექტარი სახნავი მიწები. ერთი აქციონერი კი საშუალოდ ფლობდა 10,5 ჰექტარ საეარგულს და სახნავი მიწების დაახლოებით 2,8 ჰექტარს. ეს იმას ნიშნავს, რომ სააქციო

⁶⁶ „ეთელათი“, 1967 წლის 28 ნოემბერი.

⁶⁷ „თეჰრან მოსავარ“, 1968 წლის მაის-ივნისი, № 1288, გვ. 58.

⁶⁸ „თეჰრან მოსავარ“, 1971 წლის 13—20 ოქტომბერი, № 1462, გვ. 35.

საზოგადოების წევრთა უმრავლესობა წერილმესაკუთრენი იყვნენ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამიწათმოქმედო სააქციო საზოგადოებების საბოლოო მიზნად გამოცხადებულია, რათა თვითეული აქციონერი ფლობდეს სულ მცირე 20 ჰექტარ სარწყავ და 40 ჰექტარ ურწყავ მიწას, ცხადი გასდება, რომ აქციონერთა დიდი უმრავლესობა ფანჭირული იყო იმისათვის, რომ დაეკარგა თავისი მიწები და თავისუფალი მოქირავენე სასოფლო-სამეურნეო მუშა გამხდარიყო. სამიწათმოქმედო სააქციო საზოგადოებების შიგნით მკვეთრ სოციალურ უთასწორობაზე მიუთითებს აგრეთვე აქციების რაოდენობისა და კაპიტალის თანხის განაწილება წევრებს შორის. თვითეული აქცია შეფასებული იყო 1000 რიალად, ხოლო ერთ აქციონერზე საშუალოდ 398 აქცია ანუ 39,8 ათასი რიალი მოდიოდა. აქციების დიდი რაოდენობა თავმოყრილი იყო საზოგადოების შეძლებული წევრების ხელში, ხოლო აქციების თავისუფალი გაყიდვისა და გადაცემის პრინციპი მათ აღლევდა საშუალებას სააქციო საზოგადოების შემოსავლის დიდი ნაწილი მიეღოთ.

ამრიგად, სამიწათმოქმედო სააქციო საზოგადოებების განვითარება ხელს უწყობს ფეოდალურ ურთიერთობათა ნაშთების მოსპობას და ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცებას ირანის სოფელში. ეს საზოგადოებები წარმოადგენენ ერთ-ერთ ახალ მნიშვნელოვან რგოლს კაპიტალის პირველადი დაგროვების დაჩქარებისა და სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური ტრანსფორმაციის ერთიან პროცესში.

მსხვილი კაპიტალისტური სააქციო მეურნეობების განვითარებასთან არის დაკავშირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დონისძიება, რომელიც ირანის მთავრობამ გაატარა მიწის რეფორმის მესამე ეტაპზე. ეს იყო მიწის იჯარის გაუქმებისა და მოიჯარე გლეხებზე მიწების მიყიდვის კანონპროექტი, რომელიც დამტკიცებული იქნა 1969 წლის 13 იანვარს. იმავე წლის აპრილში დამტკიცდა მისი განხორციელების ინსტრუქცია⁶⁹. კანონის ძირითადი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ გლეხებს უნდა მიეყიდოს მათზე იჯარით მიცემული მიწები, რომლებიც მიწის რეფორმის კანონის განხორციელების მეორე ეტაპზე ფიქსირებული იჯარის საფუძველზე მოწესრიგდა, აგრეთვე მეორე ეტაპის ფანხორციელების ინსტრუქციის 17-ე მუხლის შესაბამისად შექმნილი სამეურნეო სააქციო ერთეულების მიწები, რომლებზეც მემამულისა და გლეხის ურთიერთობა

⁶⁹ კანონები და დადგენილებები, გვ. 166—183; 183—202.

საწილად იჯარის პირობებს ემყარებოდა. გამოსასყიდი მიწის ფასი უდრიდა საიჯარო ქირის ათზე ნამრავლს და იგი ათი წლის მანძილზე ყოველწლიური განვადებით უნდა გადაეხადათ გლეხებს. გლეხს შეეძლო მიწის ფასი 12 წელიწადშიც გადაეხადა. ამ შემთხვევაში მის მიერ შეძენილი ნაკვეთის ფასი წლიური საიჯარო ქირის 12-ზე ნამრავლის ტოლი იქნებოდა⁷⁰.

საიჯარო მიწების დანაწილებისა და მათი მოიჯარე გლეხებზე მიყიდვის კანონი, ისევე როგორც რეფორმასთან დაკავშირებული ყველა ზხვა ღონისძიება, თავდაპირველად გათვალისწინებულ ვადებში ვერ განხორციელდა მისი საკმაოდ შეზღუდული და ლიბერალური ხასიათის გამო. ოფიციალური ირანული მონაცემებით, 1970 წლის მარტისათვის მხოლოდ 11,7 ათას გლეხს მიეყიდა მიწები, რომლებიც ადრე იჯარით ჰქონდათ აღებული⁷¹. 1971 წლის დამდეგს ირანის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ამავე წლის ოქტომბრისათვის, როცა გათვალისწინებული იყო ირანის მონარქიის არსებობის 2500 წლის საიუბილეო ზეიმის ჩატარება, ქვეყანაში არცერთი გლეხი არ დარჩებოდა საკუთარი მიწის გარეშე⁷². მაგრამ მთავრობამ დათქმული დროისათვის ვერ შეასრულა დანაპირები.

1971 წლის შუახანებისათვის ამ მხრივ ფაქტიურად ასეთი მდგომარეობა იყო⁷³:

ცხრილი 7

შ ი ნ ა ა რ ს ი	მოიჯარე გლეხებზე მიწების მიყიდვის განხორციელება
კანონს დაქვემდებარებულ მემამულეების რაოდენობა	304572
მოიჯარე გლეხები, რომლებმაც მიწა უნდა მიიღონ	1311670
გლეხთა ოჯახები წევრთა რაოდენობა	6855350
მემამულეები, რომლებმაც მიწები მიიღეს გლეხებს	185116
იმ მკიდელ გლეხთა ოჯახების რაოდენობა, რომლებმაც მიწა მიიღეს ან კიდულობდნენ	657105
მკიდელ გლეხთა ოჯახების წევრთა რაოდენობა	3285330

მაშასადამე, საიჯარო მიწების დანაწილებისა და გლეხებზე მიყიდვის კანონის გამოცხადებიდან გასული ორნახევარი წლის მან-

⁷⁰ კანონები და დადგენილებები, გვ. 168.

⁷¹ „თეჰრან ეკონომისტი“, 1970 წლის 10 ნოემბერი, № 857, გვ. 40.

⁷² „თეჰრან ეკონომისტი“, 1971 წლის 6 მარტი, № 878, გვ. 40, 50.

بانک مرکزی ایران، گزارش سالانه و ترازنامه ۱۳۴۹، تهران، ۱۳۵۰، ص ۱۳۵.

⁷³ „თეჰრან ეკონომისტი“, 1971 წლის 29 მაისი, № 888, გვ. 42; ამდ 1970 წლის 13 იანვარი, № 302, გვ. 29.

ძილზე კანონს დაქვემდებარებული მემამულეების 60%-მა საიჯარო მიწები დაყო და მიყიდა იმ მოიჯარე გლეხების დაახლოებით 50%, რომლებსაც მიწა უნდა მიეღოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ მემამულეთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავს არიდებდა და აჭიანურებდა გლეხებზე მიწების მიყიდვას. მთავრობამ ამ კანონის განხორციელება განიზრახა იმიტომ, რომ შეექმნა ეფექტი, თითქოს იგი გლეხების მდგომარეობას აუმჯობესებდა. სინამდვილეში კი მათ მიწის გაშისასყიდის სახით ყულფს უჭერდა კისერზე, მემამულეებს კი რიგან კონპენსაციას პირდებოდა. ამასთან ერთად, მთავრობა სამიწათმოქმედო სააქციო საზოგადოებებში წვრილ მესაკუთრე გლეხებს თავიანთი მიწის წვრილი ნაკვეთების დაკარგვისა და სოფლის მოჭირავნე მუშებად გადაქცევის საფრთხეს უქმნიდა.

ირანის სოფლის კაპიტალისტური განვითარების გზაზე მმართველი წრეები დიდ როლს განუკუთვნებენ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომელთა რაოდენობა და საქმიანობა სულ უფრო იზრდება და ფართოვდება აგრარული გარდაქმნებას მსვლელობაში. 1971 წლის შემოდგომისათვის ირანში შექმნილი იყო 8320 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი 1,6 მილიონზე მეტი წევრით და 3 მილიარდ რიალზე მეტი კაპიტალით. ეს კოოპერატივები მოიცავდნენ 28 ათასზე მეტ სოფელს ანუ ქვეყნის სოფლების ნახევარზე მეტს. ამასთან ერთად, არსებობდა 119 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული კავშირი, რომლებიც აერთიანებდნენ 3 ათასზე მეტ კოოპერატიულ საზოგადოებას. ამ საზოგადოებათა წევრი იყო 1,45 მილიონამდე გლეხი. კოოპერატიული კავშირების კაპიტალი 1 მილიარდ რიალს სჭარბობდა⁷⁴.

1968—1971 წლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა წევრებს გამოუყვეს კრედიტი შემდეგი რაოდენობით⁷⁵.

ცხრილი 8

თანხა მილიონ რეალბში

1968/69		1969/70		1970/71		ზრდა 1969/71 %	
სესხი შილო	თანხა	სესხი მილო	თანხა	სესხი მილო	თანხა	სესხის ამლებთა რაოდენობა	თანხა
734113	5041	837553	5753	901712	6312	7.7	9.8

⁷⁴ „თეჰრან მოსავარ“, 1971 წლის 13—20 ოქტომბერი, № 1462, გვ. 32.

⁷⁵ ბანქ-ე მარქაზი-ეირან, 1971, გვ. 52.

სესხის საშუალო თანხა თვითეული სესხის ამლებზე 1970/71 წელს შეადგენდა 3945 რიალს. ამასთან, 700 ათასზე მეტ წევრს, ე. ი. წევრთა საერთო რიცხვის დაახლოებით 44%-ს სესხი არ მიუღია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ოფიციალური ცნობებით რენტაბელური მეურნეობის მოსაწყობად თვითეულ ირანელ გლეხს სულ ცოტა 12 ათასი რიალი სესხი ესაჭიროება⁷⁶, ცხადი გახდება, რომ მიუხედავად კოოპერატიული კრედიტის სისტემატური ზრდისა, იგი საჭირო კრედიტის მინიმუმის მესამედს ძლივს შეადგენს. ასეთ პირობებში ირანელი გლეხი იძულებულია მიმართოს კერძო კრედიტორებს, რომლებიც სესხს ჩვეულებრივ დიდი პროცენტით აძლევენ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები გარკვეულ საქმიანობას ეწევიან აგრეთვე საირიგაციო მეურნეობის მოსაწყობის მიზნით, წევრებს შელაცათიან პირობებში უწყევენ მომსახურებას ტექნიკით, მიაწოდებენ მათ გაუმჯობესებულ თესლს, ჭიმურ სასუქებს, პირველი მოთხოვნილების საგნებს, ეწევიან მათი პროდუქტების შესყიდვას და რეალიზაციას და სხვა. მაგრამ კოოპერატივების სიკეთით უპირატესად მხოლოდ ის წევრები სარგებლობენ, რომლებსაც მეტი საპაიო თანხები შეაქვთ მათში და უფრო მეტად მონაწილეობენ კოოპერატივების კაპიტალის ბრუნვაში. ამიტომ კოოპერატივები ხელს უწყობენ სოფლის ბურჟუაზიული ფენების გამდიდრებასა და გაძლიერებას.

ამრიგად, აგრარულ გარდაქმნებს ირანში მმართველი წრეები ახორციელებდნენ იძულებით ღონისძიებების სახით და მიმართავდნენ მათ სოფლად შემორჩენილი ფეოდალური ურთიერთობის ძლიერი ნაშთების წინააღმდეგ. ამ გარდაქმნების მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ ზეღსაყრელი პირობები შეექმნა სოფელში კაპიტალიზმის განვითარებისათვის. ნახევრად ფეოდალური ურთიერთობის ბურჟუაზიულ წყობად ხელი და თანდათანობით გარდაქმნით მმართველი წრეები ცდილობდნენ მსხვილი მეშაშუალების კაპიტალიზმის პირობებთან შეგუებით, ერთი მხრივ, და გლეხური ბურჟუაზიის გაძლიერებით, მეორე მხრივ, ე. ი. კაპიტალიზმის ზემოდან და ქვემოდან განვითარების შეხამების გზით, შეეცვალათ სოციალური ბაზისი სოფლად, ხელი შეეწყოთ სოფლის მეურნეობაში წარმოების ზრდისთვის და ამ საფუძველზე განემტკიცებინათ თავისი პოლიტიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ოფი-

⁷⁶ „ღონია“, 1969, № 1, გვ. 48.

ციალურად უკვე გამოცხადდა მიწის რეფორმის განხორციელების დამთავრება, რეფორმისა, რაც თითქმის ათ წელიწადს მიმდინარეობდა, ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გადაჭრილი თვით ბურჟუაზიული მიწის რეფორმის წინაშე მდგარი ამოცანაც კი, რაც ფეოდალიზმის ნაშთების მთლიანად მოსპობას გულისხმობს. ამასთან ერთად, სოფელში უკვე თავს იჩენს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ახალი წინააღმდეგობანი შრომასა და კაპიტალს შორის. ამიტომ ირანის სოფელი ახლა აგრარული პრობლემების დემოკრატიული გარდაქმნის საჭიროების წინაშე დგას. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით გლეხობისა და სხვა დემოკრატიული ძალების ერთობლივი ბრძოლის საფუძველზე

Г. С. ЧИПАШВИЛИ

СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКИЕ ИТОГИ ПРОВЕДЕНИЯ ЗЕМЕЛЬНОЙ РЕФОРМЫ В ИРАНЕ

Резюме

Основным итогом земельной реформы, проведенной иранским правительством за последнее десятилетие, явилось упразднение полуфеодального уклада в деревне. Тем самым были уничтожены препятствия мешавшие развитию капиталистических отношений в сельском хозяйстве. Реформа была проведена тремя этапами. Анализ официальных статистических данных показывает, что в результате реформы существенно изменился социально-экономический облик иранской деревни. На смену полуфеодально-помещичьей собственности на землю пришла капиталистическая собственность, давшая простор развитию товарного производства. Соответственно произошли изменения и в социальном составе сельского населения. Появились помещики ведущие хозяйство капиталистического типа, широко применяющие наемный труд и с/х машины. Усилилась верхушечная прослойка крестьянской буржуазии. В условиях интенсивного развития капиталистических отношений в деревне происходит ускорение процесса отделения от земли и других средств производства бедных и средних слоев крестьянства.

ე. ბაბალაშვილი

ირანის დემოკრატიის ზოგადი საკითხისათვის

უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე შეტად მწვავედ დაისვა დედამიწის მოსახლეობის პრობლემები. ამჟამად მთელი მსოფლიოს მეცნიერები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, სხვადასხვა რელიგიის მესვეურები, განათლებული საზოგადოებრიობა განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა ამ საკითხების შესწავლას. მსოფლიო მოსახლეობის პრობლემებისადმი მეცნიერთა და საზოგადოებრივ მოღვაწეთა მზარდი ინტერესი განაპირობა მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ განვითარებად სახელმწიფოებში და ამ პროცესის გავლენამ აღნიშნული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიურსა თუ პოლიტიკურ პროგრესზე.

ამ უკანასკნელ ხანებში ამ პრობლემის შესწავლას მიეძღვნა არა ერთი საერთაშორისო კონფერენცია და სიმპოზიუმი, რომელთა შორის აღსანიშნავია 1974 წლის აგვისტოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ჩატარებული დედამიწის ხალხთდასახლების პრობლემებისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ 126 ქვეყნის წარმომადგენლები. მსჯელობის ძირითადი საგანი იყო დედამიწის მოსახლეობის სწრაფი ზრდა.

რაც უფრო მაღალია მოსახლეობის ნამატის დონე ამა თუ იმ სახელმწიფოში, მით უფრო უნდა გაფართოვდეს ე. წ. „დემოგრაფიული ინვესტიციები“¹, რათა შენარჩუნებულ იქნეს, ხოლო შემდგომ უფრო ამაღლდეს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე. იმდენად, რამდენადაც განვითარებად სახელმწიფოებს ჭერ კიდევ

¹ „დემოგრაფიული ინვესტიციები“ — ხანგრძლივი კაპიტალდაბანდება მომავალი თაობების ეკონომიური უზრუნველყოფის მიზნით.

არ შესწევთ საკმაო ეკონომიური ძალა დააკმაყოფილონ მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილებები, მოსახლეობის მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობა არა თუ არ უმჯობესდება, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში უარესდება. ამიტომ ცხადია, რომ შექმნილ ვითარებაში მოსახლეობის პრობლემების როლი არა მარტო განვითარებადი სახელმწიფოების, არამედ მთელი მსოფლიოს ეკონომიურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში დღითიდღე უფრო იზრდება. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში მსოფლიოს 60 ქვეყანაში შექმნილ იქნა სახელმწიფო კომისიები და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებები მოსახლეობის პრობლემების შესასწავლად. ამ პრობლემების დამუშავებას განსაკუთრებული ინტერესით მოეკიდნენ აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის განვითარებადი სახელმწიფოები.

აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის სხვა სახელმწიფოებთან ერთად მოსახლეობის სწრაფი ზრდის პრობლემა მწვავედ დაისვა დღევანდელ ირანში; წინამდებარე ნაშრომის მიზანს შეადგენს ნაწილობრივ მაინც განვიხილოთ ირანის მოსახლეობის პრობლემებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი უკანასკნელი რამოდენიმე ათეული წლის მანძილზე.

მოსახლეობის აღწერა ირანში პირველად XIX საუკუნის 30-იან წლებში ჩატარდა. სამწუხაროდ აღწერის მასალებს დღევანდლამდე არ მოუღწევია. ძუნწი ცნობები ამ აღწერის შესახებ მოტანილი აქვს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს ი. ბერეზინს ნაშრომში „მოგზაურობა ჩრდილოეთ სპარსეთში“². მოგზაურობის კვალდაკვალ ავტორი აღნიშნავს მოსახლეობის რაოდენობას, რისთვისაც იყენებს აღწერის მასალებს. ამავე დროს დასძენს, რომ აღწერის შედეგები საეკვოა და სინამდვილეს არ შეეფერება. მოსახლეობის აღწერის მეორე ცდას ირანში ადგილი ჰქონდა 1896 წელს, მისი ინიციატორი იყო ირანის შაჰის პირველი მინისტრი მირზა ჰოსეინ-ხან სეფაჰსალარ ნაინი, მაგრამ ჰოსეინ-ხანის გარდაცვალების გამო აღწერა არ დასრულებულა.

² ი. ნ. ბერეზინმა 1842 წ. შემოდგომაზე დაიწყო მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, კერძოდ ჩრდილო ირანში და გამოსცა ნაშრომები ამ მოგზაურობის შედეგებზე: И. Н. Березин—Обзор трехлетнего путешествия по востоку, Казань, 1847; მისივე — Путешествие по северной Персии, Казань, 1852.

შემდეგში 1918 წლამდე მოსახლეობის აღწერის ცდა ირანში არ განხორციელდა. მხოლოდ 1918 წელს თეირანში და ირანის სხვა ქალაქებში შეიქმნა სტატისტიკისა და მოქალაქეობრივი აქტების მდგომარეობის რეგისტრაციის სამმართველო. ამავე პერიოდში ჩატარდა მოსახლეობის აღწერა ქაშანის შაჰრესტანში, შემდეგ თეირანში და ზოგიერთ სხვა დიდ ქალაქში³.

1944 წლის აგვისტოში ირანის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოსცა „ირანის მოსახლეობისა და დასახლებული პუნქტების ცნობარი“⁴. ცნობარში მოცემული იყო ირანის 35 ქალაქში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგები. ამ ცნობარის მიხედვით ირანის მოსახლეობა შეადგენდა 16550000-მდე კაცს, მათგან 8309,400 მამაკაცი იყო და 8240500 ქალი. ცხადია, ამ „ცნობარის“ მიხედვით ირანის მოსახლეობის სტრუქტურაზე მსჯელობა თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან მასში მოცემული ციფრები მიახლოებითია და გვაძლევს მხოლოდ საერთო წარმოდგენას 40-იანი წლები ირანის მოსახლეობის შესახებ.

1953 წელს მეჯლისმა მიიღო კანონი მოსახლეობის საყოველთაო-სახალხო აღწერისა და სტატისტიკური აღრიცხვის შესახებ. საყოველთაო სახალხო აღწერის მომზადების მიზნით საცდელი აღწერები ჩატარდა 1954 წელს თეირანის, გიარმსარის, ქაშანის, აბანისა და ზორემშაჰრის ოსტანებში, ზოლო 1956 წელს დეშთემიშანის, სეზეგარის, რეზაიესა და ზაბოლის ოსტანებში. საცდელი ლოკალური აღწერების მასალები შემდგომში გამოყენებულ იქნა აღწერილი რაიონების ეკონომიური რუქების შედგენისათვის.

ასეთი წინასწარი მომზადების შემდეგ 1956 წლის 1—15 ნოემბერს ჩატარდა ირანის მოსახლეობის პირველი საყოველთაო-სახალხო აღწერა. 1953 წლის კანონით დადგენილი აღწერის ჩასატარებლად შეიქმნა 113 სტატისტიკური პუნქტი. 1960 წელს ირანის სტატისტიკურმა სამმართველომ გამოაქვეყნა მოსახლეობის პირველი აღწერის შედეგები სათაურით „სტატისტიკა ირანში“⁵. მასში მოცემულია ცნობები ირანის მოსახლეობის საერთო რაოდენობის, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის, ასაკობრივი და სქესობრივი

³ დაწერილებით ამის შესახებ იხ.:

آمار در ایران نهران دی ۱۳۳۸ وزارت کشور، کتاب اسامی دهات کشور، تهران، ۱۳۲۳

• آمار در ایران، تهران، دی ۱۳۳۸

სტრუქტურისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ. ნაშრომში მოცემულია აგრეთვე ცნობები მოსახლეობის სიმჭიდროვისა და განაწილების შესახებ ცალკეული ადმინისტრაციული ოლქებისა და რაიონების მიხედვით, ეროვნული და რელიგიური შემადგენლობის შესახებ და სხვა.

1961 წელს ირანის შინაგან საქმეთა სტატისტიკურმა სამმართველომ გამოსცა 1956 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო-სახალხო აღწერის შედეგების პირველი ტომი.

უკანასკნელად მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარდა 1966 წლის მაის-ივნისში. ეს იყო ირანის მეორე საყოველთაო-სახალხო აღწერა. ამ აღწერის დროს გათვალისწინებული იქნა ის შეცდომები, რომლებიც დაშვებულ იქნა 1956 წლის აღწერისას.

ცნობილია, რომ მოსახლეობის ბუნებრივი კვლავარმოების დემოგრაფიული ცვალებადობის ძირითადი ფაქტორებია შობადობა და სიკვდილიანობა. ირანი მიეცუთვნება იმ ქვეყნების ჯგუფს, რომელთაც ახასიათებს შობადობის მეტად მაღალი დონე.

აღმოსავლეთის განვითარებადი სახელმწიფოების ზღვებს შორის დღემდე შემორჩენილმა ისლამის რელიგიისა და წესჩვეულებების მიერ დამკვიდრებულმა ტრადიციებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი შობადობის მაღალი დონის შენარჩუნებას. როგორც წესი, ისლამი ქორწინებას და მრავალშვილიანობას აცხადებს ყველა ქალისა და მამაკაცის წმინდათა-წმინდა მოვალეობად.

მრავალშვილიანობის ტრადიცია ირანში, ისევე როგორც აღმოსავლეთის ზღვა სახელმწიფოებში, წარმოადგენს მოსახლეობის ბუნებრივ ფსიქოლოგიურ რეაქციას სიკვდილიანობის მეტად მაღალ პროცენტზე, განსაკუთრებით ახალშობილთა და მოზარდთა შორის. ეს ტრადიცია თავდაპირველად განმტკიცებულ იქნა ეკონომიური აუცილებლობითაც: მატერიალური პირობების გაუმჯობესების ერთ-ერთ გზად მოსახლეობას მიაჩნდა ოჯახურ მეურნეობაში მუშახელის მომრავლება; ამასთანავე მატერიალურ კეთილდღეობას მოკლებული მოსახლეობა მომავლის უზრუნველყოფის ერთ-ერთ

وزارت کشور—آمار عمومی، گزارش خلاصه سرشماری عمومی کشور در سال ۱۳۳۵، جلد اول، تعداد توزیع سائین کشور، تهران، دیماه ۱۳۳۹.

გზას ეძებდა მრავალრიცხოვან შთამომავლობაში და შვილებში ხედავდა ნობუცებულობის ერთგვარ საყრდენს.

მოსახლეობის ბუნებრივი კვლავწარმოების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს აგრეთვე საქორწილო ასაკი; ცნობილია, რომ მუსლიმანურ მოსახლეობას ახასიათებს მეტად ნაადრევი ქორწინება. ასე, მაგალითად, ფერტილური⁷ ასაკის გათხოვილ ქალთა რაოდენობა მუსლიმანურ სამყაროში, როგორც წესი, 95%-ს აღემატება⁸. 1956 წლის აღწერის მასალების მიხედვით ირანში საქორწილო ასაკი 14—16 წელს არ აღემატება: ასე მაგალითად, 5567300 მამაკაციდან და 5394100 ქალიდან 15 წლის ასაკს ზევით დაქორწინებული იყო შესაბამისად 3791600 მამაკაცი და 3870300 ქალი,⁹ ე. ი. 70%, ხოლო 1966 წლის მონაცემებით ფერტილური ასაკის 6952403 მამაკაციდან და 6566131 ქალიდან ქორწინებაში რეგისტრირებული იყო 4829334 კაცი და 4845014 ქალი¹⁰ ანუ პროცენტულად 70—75%.

ქვემოთ მოტანილ ცხრილში ნაჩვენებია ირანის მოსახლეობის ოჯახური მდგომარეობა ასაკისა და სქესის მიხედვით 1966 წლის აღწერის მასალების მიხედვით (იხ. ცხრ. 1).

როგორც ამ ცხრილიდან ვხედავთ, ირანის მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენს ახალგაზრდობა 15 წლის ასაკამდე, ხოლო ქორწინების რეგისტრაციის საშუალო ასაკი აქაც არ აღემატება 15—18 წელს. გარდა ამისა, გათხოვილ ქალთა რიცხვი შესამჩნევად აღემატება ცოლიან მამაკაცთა რიცხვს, რაც მიუთითებს ირანში ჯერ კიდევ შემორჩენილ მრავალცოლიანობის ფაქტზე. მოსახლეობის სწრაფი ტემპით მატების საკითხს განაპირობებს სოციალური გარემო და ადამიანთა ურთიერთობა საზოგადოებაში, რასაც თავის მხრივ მეტად დიდი გავლენა აქვს მოსახლეობის კვლავწარმოების პროცესებზე, შობადობასა და სიკვდილიანობაზე.

ცხადია, ნაადრევი ქორწინება, განსაკუთრებით ქალის დაბალი საქორწილო ასაკი შესამჩნევად უწყობს ხელს მოსახლეობის

⁷ ფერტილური (ლათ. fertilis) — ნაყოფიერი. ფერტილურ ასაკად ქალებისათვის ითვლება 15—49 წელი, ხოლო მამაკაცებისათვის 15—59 წელი. რა თქმა უნდა, ფერტილური ასაკისათვის მინიმალური საზღვარი დამოკიდებულია ფიზიოლოგიურ ფაქტორებზე, ხოლო მაქსიმალური კი მიღებულია პირობითად.

⁸ В. И. Козлов, Изучение воспроизводства населения, М., 1968, გვ. 190.

⁹ ايران در آمار — გვ. 92.

¹⁰ იხ. ცხრილი 1.

ცხრილი 1

	ყველა ასაკის მამაკეთა რაოდენობა	15 წელს ზევით	15 წელს ქვემოთ	15—19 წ.	20—24 წ.	25—29 წ.	30—34 წ.
მამაკაცების რაოდენობა	12981655	6952403	6025262	1050029	792896	801365	863316
მარტობელა	7927434	1899154	6028280	1000129	540715	214372	76538
დაქორწინებული	4830316	4829334	982	44733	238237	575058	772441
ქვრივი	148169	148169	—	530	1682	3282	5914
განქორწინებული	40418	40418	—	589	2471	4785	6059
გაურაცხევლო მღვ.	35328	35328	—	14048	9761	4038	2364
	35—39 წ.	40—44 წ.	45—49 წ.	50—54 წ.	55—59 წ.	60—64 წ.	65 წელს ზევით
მამაკაცების რაოდენობა	763863	737845	473395	370169	223539	344198	515188
მარტობელა	29495	15324	7324	5591	2374	3502	3790
დაქორწინებული	721058	705214	458877	348072	209932	314435	440247
ქვრივი	6826	10110	9082	12794	9127	22758	65964
განქორწინებული	5209	5162	3581	3517	1837	3067	4141
გაურაცხევლო მღვ.	1275	1035	531	495	269	436	1046

	ველი ასის ქალა ჩაო- ღწობა	15 წ. ზეოთ	15 წ. ქვეოთ	15—19 წ.	20—24 წ.	25—29 წ.	30—34 წ.
ქალუბს რაოდ. მოღაანად	12037258	6566191	5531037	1039007	889265	848007	804730
მარტობელა	6239769	757778	5481991	569151	118149	31974	13923
ლაქორწინებულე	4877170	4845014	32156	479502	753895	797480	762328
ქვიე	862172	861744	428	2039	5090	8524	18212
განქორწინებულე	75642	74960	682	5347	8754	8638	9184
გაუბკვევილი მღვ.	42505	26595	15810	12918	3377	1391	1033
	35—39 წ.	40—44 წ.	45—49 წ.	50—54 წ.	55—59 წ.	60—64 წ.	65 წ. ზეოთ
ქალუბს რაოდენობა	654372	583205	364213	370370	204362	325739	452917
მარტობელე	7191	5561	3035	3118	1316	1839	2421
ლაქორწინებულე	609838	513648	296440	248445	125898	139148	119392
ქვიე	28482	54444	58052	110608	73303	179318	323622
განქორწინებულე	8061	8431	5994	6972	3287	5125	5167
გაუბკ. მღვ.	804	1021	692	1227	558	1309	2315

ზრდას შობადობის შესაძლებლობის პერიოდის საერთო გახანგრძლივების ხარჯზე. უნდა აღინიშნოს, რომ ქორწინება-განქორწინების რეგისტრაცია მიმდინარე დემოგრაფიულ სტატისტიკაში ასახულია მხოლოდ ოფიციალურად რეგისტრირებული სამოქალაქო და რელიგიური საბუთების მიხედვით. როგორც წესი, მხედველობაში არ მიიღება ირანის მოსახლეობის მომთაბარე ტომებში არსებული ქორწინების თავისებური წესჩვეულებანი. მართალია, სხვადასხვა მომთაბარე მოსახლეობის ოჯახური მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური მასალები მეტად ძუნწ ცნობებს გვაწვდიან, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს ცნობები არ შეეცლიან მოსახლეობის საერთო სურათს, ვინაიდან ქალები ამ ტომებშიც იშვიათად რჩებიან ქორწინების გარეშე.

თუ შევადარებთ ირანში ჩატარებული მოსახლეობის ბოლო აღწერის მონაცემებს 1944 და 1956 წლების აღწერების შედეგებს, დავინახავთ, რომ მოსახლეობის საშუალო წლიური ნამატი ბოლო წლებში 3-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. მაგალითად:

ცხრილი 2

	1940-იანი წლები	1956 წ.	1966 წ.
მოსახლეობის რაოდენობა	16549837	18954704	25078923
მამაკაცები	8309348	9644944	12981665
ქალები	8240489	9309760	12097253

როგორც ვხედავთ, 1944 წლიდან 1956 წლამდე ირანის მოსახლეობა გაიზარდა 2404867 კაცით, ე. ი. საშუალო წლიური ნამატი შეადგენს 200405 კაცს, ხოლო მომდევნო 10 (1956—1966 წწ.) წლის განმავლობაში მოსახლეობამ იმატა 6.124.219 კაცით, ე. ი. საშუალო წლიური ნამატის ზრდა წინა წლებთან შედარებით 200%-ს აღემატება.

1956 წლის აღწერის თანახმად, ირანში რეგისტრირებულ იქნ. 49240 დასახლებული პუნქტი 9644944 მამაკაცითა და 9309760 ქალით. ამ დროისათვის ირანში ყოველწლიურად 1000 მცხოვრებზე, იბადებოდა 45 და კვდებოდა 25 კაცი, ე. ი. საშუალო წლიური ნამატი შეადგენდა 20 კაცს ყოველ 1000 მცხოვრებზე.

1966 წლის აღწერის მასალების მიხედვით ირანის მოსახლეობის შობადობის კოეფიციენტი 42,8‰-ს, ხოლო გარდაცვალების — 7‰-ს, ე. ი. ნამატი ყოველ ათას მოსახლეზე უდრის 35,8‰-ს.

დემოგრაფიულ სტატისტიკაში შობადობის დონე განისაზღვრება რიგი მაჩვენებლებით: კერძოდ, შობადობის კოეფიციენტის გამოსაანგარიშებლად ერთ კალენდარულ წელიწადში დაბადებულ ცოცხალ ბავშვთა რიცხვს უფარდებენ მთელი მოსახლეობის რაოდენობას; ერთ წელიწადში ცოცხალ დაბადებულ ბავშვთა რაოდენობის შეფარდებით აღებული ქვეყნის მოსახლეობის საშუალო წლიურ რაოდენობასთან ვლებულობთ შობადობის საერთო კოეფიციენტს. შობადობის საერთო კოეფიციენტი ძირითადად დამოკიდებულია ქვეყნის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე, ამიტომ მეტად არაზუსტი საზომია და მოსახლეობის შობადობის პოტენციური ინტენსიურობის გასარკვევად მისი გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.

შობადობის დონის უფრო ზუსტი განსაზღვრისათვის საჭიროა ერთ წელიწადში დაბადებულ ცოცხალ ბავშვთა რაოდენობა შეეფარდოს აღებული ქვეყნის მოსახლეობის ფერტილური ასაკის ქალთა რაოდენობას. ამ მაჩვენებელს დემოგრაფიულ ლიტერატურაში უწოდებენ „ქალთა ნაყოფიერების კოეფიციენტს“, ან უბრალოდ „ნაყოფიერებას“, რაც პირობითად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ტერმინი „ნაყოფიერება“ დემოგრაფიულ მეცნიერებაში შემოსულია ბიოლოგიიდან; წმინდა ბიოლოგიური ხასიათისაა და ნიშნავს მთლიანად ოჯახის (როგორც ქალის, ასევე მამაკაცის) ბიოლოგიურ შესაძლებლობას შთამომავლობის გამრავლების პროცესში. ირანში 1966 წელს შობადობის საერთო კოეფიციენტი 42‰-ია, ხოლო „ქალთა ნაყოფიერების“ ან სხვაგვარად რომ ვთქვათ „პოტენციური კოეფიციენტი“ კი 200‰-ს უტოლდებოდა.

აღრეული აღწერის მასალების თანახმად, ირანის მოსახლეობაში შობადობის მაღალ დონეს შეესაბამებოდა სიკვდილიანობის ასევე მაღალი კოეფიციენტი: 1946—51 წლებში ეს კოეფიციენტი 24,4‰-ს უტოლდებოდა. რეგულარული შიმშილი, ცხოვრების ანტისანიტარული პირობები, სამედიცინო პერსონალის და სამკურნალო დაწესებულებების უკმარისობა ხელს უწყობდა მძიმე ეპიდემიურ და ინფექციურ დაავადებათა გავრცელებას ირანის მოსახლეობაში. განსაკუთრებით ზშირი იყო სიკვდილიანობა ბავშვებსა და მოზარდებს შორის — ილუპებოდა ახალდაბადებულ ბავ-

შვთა შესამედზე მეტი, სიკვდილიანობის კოეფიციენტი ასევე მაღალი იყო მშობიარე ქალთა შორის.

უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ირანის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, კერძოდ, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების ერთგვარმა გაუმჯობესებამ, ბრძოლამ ეპიდემიური დაავადებების წინააღმდეგ ირანის მოსახლეობაში სიკვდილიანობის კოეფიციენტი შესამჩნევად დააქვეითა. ბუნებრივია, რომ შობადობის მაღალი დონის შენარჩუნების კვალდაკვალ სიკვდილიანობის კოეფიციენტის შემცირება ირანის მოსახლეობაში იწვევს საშუალო წლიური ნამატის კოეფიციენტის ზრდას:

ცხრილი 3¹¹

	1965 წ.	1966 წ.	1967 წ.	1968 წ.
შობადობის კოეფიციენტი	41,9	42,0	40,1	38,9
სიკვდილიანობის კოეფიციენტი	6,0	7,0	6,8	6,5
საშუალო წლიური ნამატის კოეფიციენტი	35,9	35,0	33,3	32,4

ამრიგად, თუ 40—50-იან წლებში ირანის მოსახლეობის საშუალო წლიური ნამატი 20—23%-ის არ აღემატებოდა, 60-იანი წლებისათვის უკვე 30%—35%-ის აღწევს.

საფიქრებელია, რომ ახლო მომავალში ირანის მოსახლეობის წლიური ნამატი კიდევ უფრო გაიზრდება, ყოველ შემთხვევაში, ზემოთ მოტანილი ციფრები აშკარად მოუთითებენ ამ ტენდენციის განვითარებაზე, თუმცა შესაძლოა, ამ მხრივ ნაწილობრივ მაინც განსაზღვრული როლი შეასრულა ქვეყანაში ბოლო წლებში შობადობის სტატისტიკური აღრიცხვის შედარებითმა გაუმჯობესებამ.

მიუხედავად მთავრობის მიერ ჩატარებული ღონისძიებებისა, ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ირანში ჯერ კიდევ მეტად სავალალო მდგომარეობაშია. 1960 წლისათვის ირანის 6000 მცხოვრებზე საშუალოდ 1 ექიმი მოდიოდა; ამ დროისათვის მთელ ირანში იყო 3360-მდე ექიმი, რომელთა ნახევარზე მეტი თეირანში მუშაობდა.¹²

¹¹ Demographic year book, 1969, Table 12; 43.

¹² «Iran Almanac 1963», გვ. 376.

სხვა ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებთა დიდი ნაწილი კი თითქმის სავსებით მოკლებული იყო სამედიცინო მომსახურებას.

1956 წელს გამოცემულ ირანის სტატისტიკურ ცნობარში მოცემულია 1955 წელს შირაზის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული ჯანმრთელობის დაცვის კომისიის მიერ შირაზის ოლქის სხვადასხვა სოფელში ჩატარებული სამედიცინო შემოწმების შედეგები, სადაც აღნიშნულია, რომ ოლქის ბევრ სოფელში საერთოდ არ არსებობს რაიმე სამედიცინო დაწესებულება. სოფლებში ძირითადად არიან ადგილობრივი ექიმბაშები, ხოლო რაიონებში სამედიცინო დახმარების მიღება მოსახლეობას მეტად ძვირი უჯდება¹³.

ირანში ჯერ კიდევ ხშირია ტიფის, შავი ქირის და ქოლერის ეპიდემია. ყოველწლიურად სახელმწიფოში მალარიით ავადდება 3 მილიონამდე კაცი. ისფაჰანის სოციალური დაზღვევის ორგანიზაციის სააგადმყოფოს მთავარმა ექიმმა 1964 წ. გაზეთების კორესპონდენტებს განუცხადა, რომ სააგადმყოფოს ხშირად აკითხავენ ტუბერკულოზით დაავადებული მუშები, მაგრამ არც სააგადმყოფოს და არც პოლიკლინიკებს არ გააჩნიათ ტუბერკულოზის წინააღმდეგ რაიმე სამკურნალო საშუალება.¹⁴

ირანის პრესის ცნობით, „უკიდურესად ცუდი სანიტარული პირობების გამო სოფლებში ბავშვთა 40% ვერ აღწევს სრულწლოვანებამდე და იღუპება“¹⁵.

1956 წელს გამოცემულ ირანის სტატისტიკურ ცნობარში ასაკი აღწევს 21 წელს, ხოლო 1959 წელს — 27 წელს,¹⁶ 1966 წლის აღწერით კი ეს ასაკი აღწევს 37—39 წელს. სიცოცხლის ხანგრძლივობის ასეთი დაბალი დონე უწინარეს ყოვლისა უნ-

¹³ آمار در ایران გვ. 39.

¹⁴ „كيخار“ 28. VI. 1964.

¹⁵ „نصفه دنيا“ 28. XI. 1962.

¹⁶ მოსახლეობის საშუალო ასაკი გამოიანგარიშება, როგორც საშუალო არითმეტიკული აღებული ქვეყნის მთელი მოსახლეობის ასაკებიდან:

$$A = \frac{X_1L_1 + X_2L_2 + X_3L_3 + \dots + X_nL_n}{L_1 + L_2 + L_3 + \dots + L_n} = \frac{\sum XL}{\sum L}; \quad \text{სადაც } X \text{ არის}$$

საშუალო ასაკი ასაკობრივ ჯგუფში.

და აიხსნას მოსახლეობის ფართო მასების ცხოვრების მძიმე პირობებით, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი დონით, შიმშილით და მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიური თუ ფიზიოლოგიური ფაქტორებით.

მოსახლეობის ცხოვრების საერთო დონის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია საშუალო წლიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე. ირანის ეროვნული ბანკის ცნობით, ყოველწლიური შემოსავალი ერთ ადამიანზე 1960 წლისათვის აღწევდა დაახლოებით 120 ამერიკულ დოლარს¹⁷. ირანის სტატისტიკური სამმართველოს ცნობით 1967/68 წლებში ეროვნული შემოსავალი ერთ სულზე გაიზარდა 232 დოლარამდე¹⁸. უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო წლიური შემოსავლის გამოსაანგარიშებლად მხედველობაში მიიღება მოსახლეობის ფაბრიკების კლასების წლიური შემოსავალიც, რომელიც გაცილებით აღემატება მუშებისა და გლეხების შემოსავალს, სინამდვილეში კი მოსახლეობის საშუალო ფენების ფაქტიური წლიური შემოსავალი არ აღემატება 70—95 დოლარს. ირანის ოფიციალურ ცნობარში, რომელიც გამოიცა თეირანში 1965 წელს, აღნიშნულია, რომ ეროვნული შემოსავალი ირანის ქალაქების ერთ მცხოვრებზე 1964 წ. შეადგენდა 190 დოლარს, ხოლო სოფლის მცხოვრებთა შემოსავალი კი 55 დოლარს არ აღემატება.¹⁹

რაც შეეხება ცხოვრების ღირებულებას, ოფიციალური ცნობებით ირანში 20 წლის განმავლობაში — 1940-დან 1961 წლამდე ცხოვრების საერთო ღირებულება გაიზარდა 17-ჯერ; იმავე მონაცემებით მარტო ბინის ქირის გადასახადი გაიზარდა 38-ჯერ²⁰. ცხოვრების ღირებულება, ფასები ფართო მოხმარების საგნებზე და კვების პროდუქტებზე განსაკუთრებით იზრდება 60-იან წლებში. ჟურნალ „დონია“-ს ცნობით, 1965 წელს 1945 წელთან შედარებით პურისა და ხორცის ღირებულება გაიზარდა 3-ჯერ.²¹ მაგალითად, თუ 1945 წ. 1 კგ ხორცი ღირდა 25 რიალი, 1965 წლისათვის მისი ფასი

¹⁷ «МЭИМО», 1961, № 11, გვ. 120.

¹⁸ «The Islamic Review», 1960, გვ. 36.

¹⁹ ٦١ ص امار، «ایران در آینه امار»؛ «Presenting Iran», Tehran, 1965, გვ. 70

²⁰ «تهران اکونومیست» 1961, № 4.

²¹ «دنيا» 1965, № 3, გვ. 54.

4. აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია

იზრდება 80—90 რიალამდე²². ასევე მკვეთრად გაიზარდა ფასები პურზე, რძეზე და პირველი მოთხოვნილების სხვა საგნებზეც.

მძიმე ტვირთად აწევდა ირანის მოსახლეობის ფართო მასებს აგრეთვე სახელმწიფო გადასახადები, რომელთა ოდენობა ყოველწლიურად მატულობს: თუ 1960/61 წლებში შრომისუნარიანი მოსახლეობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გადასახადი 830 რიალს არ აღემატებოდა, 1965/66 წლებში ამ გადასახადის რაოდენობა 1250 რიალს აღწევს. ხალხის ფართო მასების ცხოვრების მეტად დაბალ დონეზე შეტყვევლებს ის ოფიციალური მონაცემები, რომელსაც თვით ირანის მთავრობა აღიარებს: ქვეყნის მთელი მოსახლეობის 50—60% ნახევრად, ან თითქმის მთლიანად შიმშილობს.

ირანის მოსახლეობის სწრაფი ზრდა, სიკვდილიანობის შემცირება, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებს შორის, გავლენას ახდენს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვალებადობაზე, კერძოდ, იწვევს მოსახლეობის „გაახალგაზრდავებას“ (იხ. ცხრ. 4). თუ 1956 წელს 18.954.704 კაციდან 7.992.966, ანუ მთელი მოსახლეობის 42% იყო ახალგაზრდობა 15 წლის ასაკამდე, 1966 წელს — 25.078.923 კაციდან ახალგაზრდობა შეადგენს თითქმის ნახევარს — 11.560.329 კაცს. ცხადია, შრომის უნარს მოკლებული ასაკის ბავშვთა და მოზარდთა ასეთი მაღალი პროცენტი ირანის მოსახლეობას უქმნის ერთგვარ ეკონომიურ სირთულეს. ბავშვებსა და მოზარდებს შორის სიკვდილიანობის შემცირება შობადობის მატებასთან ერთად მრავალშვილიან ოჯახებში იწვევს ერთ სულზე საშუალო წლიური შემოსავლის შესამჩნევ დაცემას. თვით მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შეცვლის ფაქტი, მისი ე. წ. „დემოგრაფიული გაახალგაზრდავება“ — შრომის უნარს მოკლებული ახალგაზრდობის რაოდენობის შედარებითი ზრდა განსაზღვრულ ვითარებაში ირანის მოსახლეობის ფართო მასებს უქმნის არახელსაყრელ ეკონომიურ პირობებს. მართალია, ახალგაზრდობა თავისთავად საწარმოო ძალების მძლავრ რეზერვს წარმოადგენს, მაგრამ დღესდღეობით ირანის ეკონომიკის განუვითარებლობის გამო მოსახლეობის ეს ფენა გამოდის მხოლოდ და მხოლოდ მომხმარებლის როლში. ამრიგად, იქმნება არაპროპორციული თანაფარდობა მომხმარებელ და მშრომელ მოსახლეობას შორის. მართალია, ირანის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში საკმაოდ ფარ-

²² „საია“ 1965, № 3, გვ. 54.

ცხრილი 4

ს ქ ე ს ი	333ულ ასა- კის მოსახ- ლეობა	1 წ.	1—4	5—9	10—14	15—19	20—24	25—29	30—34	35—39
ლურ. და მამრ. ერთად	25078923	817134	3619787	4103158	3017250	2129035	1682161	1649672	1666045	1418239
მამრ.	12981665	429452	1878271	2127704	1593835	1060029	792896	801665	863316	763863
ღელრ.	12097258	387682	1741516	1978454	1423415	1069007	889265	848007	804730	654376
ს ქ ე ს ი	40—44	45—49	50—54	55—59	60—64	65—69	70—74	75—79	80—84	85 და ზევით
ლურ. და მამრ. ერთად	1321050	843608	740839	427901	669937	346022	340755	104177	105182	71969
მამრ.	737845	479395	370469	233539	344198	188918	177914	57857	53598	36901
ღელრ.	583205	364213	370370	204362	325739	157104	162841	46320	51584	35058

	ყველა ბაქსი	წლამდე 1—4	5—9	10—14	15—19	20—24	25—29	30—34	35—39	
საერთო რაოდენობა	25143700	825100	4149000	3046600	2123000	1664500	1636100	1666700	1433500	
მამაკაცები	12997900	423500	2160400	1608900	1099000	777300	788400	863500	763100	
ქალები	12145800	401600	1988600	1437700	1055000	887200	847700	803200	670400	
ქალქის მოსახლეობა	9849400	1567800	1498100	1287900	953400	772900	650400	635400	567800	
მამაკაცები	5117000	805400	775000	675800	501300	398200	326800	334600	295400	
ქალები	4723400	762400	722200	612100	452100	374700	323600	300800	272400	
სოფლის მოსახლეობა	15303300	2875800	2650900	1758700	1169600	891600	985700	1031300	865700	
მამაკაცები	7880900	1495800	1384500	933100	566700	379100	461600	528900	467700	
ქალები	7422400	138000	1266400	825600	602900	512500	524100	502400	398000	
	40—44	45—49	50—54	55—59	60—64	65—69	70—74	75—79	80—84	84-ს ზევით
საერთო რაოდენობა	1337900	848200	743600	416500	667800	341700	336700	102800	111300	74200
მამაკაცები	760500	483300	361800	216100	341300	184000	169900	58300	54400	37500
ქალები	577400	364900	381800	200400	326500	157700	166800	44500	56900	36700
ქალქის მოსახლეობა	491600	346300	303700	162800	254900			347400		
მამაკაცები	280000	192400	144100	80100	128600			178400		
ქალები	211600	153900	159600	82700	126300			169000		
სოფლის მოსახლეობა	846300	501900	439900	253700	412900			619800		
მამაკაცები	480500	290900	217700	136000	212700			324700		
ქალები	365800	211000	222200	117000	200200			293600		

თოდ არის გამოყენებული 10—14 წლის ასაკის ბავშვების შრომა, მაგრამ, რომ არაფერი ვთქვათ ბავშვთა შრომის ნაყოფიერების დაბალხარისხზე, ამ ბავშვების შრომის ანაზღაურება დამჭირავებლის და კერძომეწარმის ნება-სურვილზეა დამოკიდებული და ერთსადაიმევე სამუშაოზე ბავშვებს უხდინან გაცილებით ნაკლებ ხელფასს, ვიდრე სრულწლოვანებს; ამასთანავე ბავშვების სამუშაო დღე რეგლამენტირებული არ არის და დასაქმებული ბავშვების უმრავლესობა ირანის სტატისტიკაში „მშრომელების“ სახით არ არის ფიქსირებული.

ირანის მოსახლეობის ეროვნულ შემოსავალზე დიდი გავლენა აქვს აგრეთვე 65 წელს გადაცილებული შრომის უნარს მოკლებული მოსახლეობის რაოდენობას, რომლებიც ბავშვებსა და მოზარდებთან ერთად ირიცხებიან „კმაყოფაზე მყოფთა“ კატეგორიაში. მართალია, 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის ხვედრითი წილი ირანში არც თუ ისე დიდია, (1965 წ.—751.607 კაცი, ე. ი. 3,8%; 1959 წ.—1,380.031, ე. ი. 6,2%; ხოლო 1966 წ.—805.264 კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის 3,2%), მაგრამ მიუხედავად ამისა, ირანში მეტად მაღალია „კმაყოფაზე მყოფი“ მოსახლეობის რაოდენობა: 1966 წელს შრომის ასაკის მოსახლეობა 12.550.499 კაცს შეადგენს, კმაყოფაზე მყოფი მოსახლეობის რაოდენობაა — 12.366.593; შესაბამისად კმაყოფაზე მყოფი მოსახლეობის კოეფიციენტი 998,2%²³ აღწევს (ე. ი. ყოველი 1.000 შრომის ასაკის მცხოვრებზე 998,2 კმაყოფაზე მყოფი ირიცხება). ირანის მოსახლეობის კმაყოფაზე მყოფთა კოეფიციენტი ერთ-ერთი უმაღლესი მაჩვენებელია მსოფლიოში. აღსანიშნავია, რომ განვითარებადი სახელმწიფოების მოსახლეობის კმაყოფაზე მყოფთა საშუალო კოეფიციენტი 768,2%²⁴, ხოლო ამ სახელმწიფოებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია — ლათინური ამერიკის მოსახლეობის კმაყოფაზე მყოფთა კოეფიციენტი —

²³ კმაყოფაზე მყოფთა კოეფიციენტი გამოიანგარიშეთ ფორმულით:

$$W = \frac{(L_{0-14} + L_{65+}) \times 1000}{L_{15-65}}$$

სადაც L_{0-14} — არის მოსახლეობა 14 წლის ასაკის ჩათვლით (15 წლამდე);

L_{65+} — მოსახლეობის რაოდენობა 65 წელს ზევით.

L_{15-65} — მოსახლეობის რაოდენობა 15-დან 65 წლის ასაკამდე.

²⁴ Я. Н. Гузеватый — Проблемы народопоселения стран Азии, Африки и Лат. Америки, 1970, გვ. 147.

817,5%²⁵. საბჭოთა კავშირის მოსახლეობის კმაყოფილება მყოფთა კოეფიციენტი — 588,4%²⁶.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოებაც, რომ შრომის ასაკის მოსახლეობა მოიცავს როგორც დასაქმებულ, ისე ნახევრად-დასაქმებულ მოსახლეობას და უმუშევრებს.

1956 წლის აღწერის მიხედვით სოფლის მოსახლეობა შეადგენდა ირანის მთელი მოსახლეობის 68,6%, ხოლო ქალაქის მოსახლეობა — 31,4%, 1966 წელს კი ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილი 38,5%-მდე იზრდება, ხოლო სოფლის მოსახლეობის რაოდენობა შესაბამისად მცირდება 61,5%-მდე (იხ. ცხრ. 5). როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მოსახლეობა ბოლო წლებში შესამჩნევად იზრდება, ირანის მოსახლეობის თითქმის 2/3-ს მაინც სოფლის მოსახლეობა შეადგენს; ამიტომ ირანი დღესდღეობით აგრარულ სახელმწიფოდ რჩება და ქვეყნის ეკონომიკის ძირითად საფუძველს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. 1956 წელს ირანში 5.907.666 ეკონომიურად აქტიური მცხოვრებიდან 3.325.721 (ე. ი. 55%-ზე მეტი) დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობაში, ხოლო 1966 წელს კი 6.866.500 ეკონომიურად აქტიური მცხოვრებიდან სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 3.156.600 კაცი²⁷ (თითქმის 50%); საქალაქო წარმოება-დაწესებულებებში 1956 წელს დასაქმებული იყო 1.370.000, ხოლო 1966 წელს კი — 3.709.900²⁸ მცხოვრები; ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის 30%-ზე მეტი დასაქმებულია სეზონურ სამუშაოებზე განსახლვრული ვადით. ნახევრადდასაქმებული მოსახლეობის შრომა გამოყენებულია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროში სეზონურად, შაქრის დამამუშავებელ, ბრინჯის და ბამბის საწმენდ ქარხნებში, სამშენებლო ობიექტებზე და სხვ. 1966 წლის აღწერის თანახმად სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგებში დასაქმებული იყო 905.300 ქალი, ხოლო მთელი დასაქმებულია მოსახლეობის 10%-ზე (640.000)²⁹ მეტს შეად-

²⁵ Я. Н. Гусеватый — Проблемы народонаселения стран Азии, Африки и Лат. Америки. 1970. გვ. 147.

²⁶ იქვე.

²⁷ گزارش خلاصه سرشماری عمومی کشور در سال ۱۳۳۵, გვ. 398.

²⁸ سرشماری عمومی کشور, გვ. 23.

²⁹ იქვე, გვ. 46, 23.

გენდენ 10—14 წლის ასაკის ბავშვები. ქალებისა და მოზარდების უმრავლესობა, როგორც წესი მიეკუთვნება ნახევრადდასაქმებულთა კატეგორიას — მათ ხელშეკრულებით აფორმებენ არასრულსამუშაო დღეზე, თუმცა მათი სამუშაო დღის ხანგრძლიობა არ ჩამოუვარდება დასაქმებული მუშების დღეს და ერთსა და იმავე სამუშაოზე ქალები და მოზარდები იღებენ დასაქმებული მამაკაცის მინიმალური ხელფასის ნახევარზე ნაკლებს; ამიტომ შრომის სიიათვის გამო საწარმოთა მფლობელები თავიანთ წარმოება-დაწესებულებებში და მეურნეობებში ცდილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ ქალებისა და არასრულწლოვანი ბავშვების შრომა.

დღესდღეობით ირანში ნახევრადუმუშევრობა ისეთივე მწვავე პრობლემას წარმოადგენს, როგორც უმუშევრობა, ვინაიდან მოსახლეობის არასრული დასაქმება ირანის შრომის ბაზარზე ზრდის შრომის მიწოდებას, აუარესებს დასაქმებული მუშების ეკონომიურ მდგომარეობას და ხელს უწყობს მემამულეებს და კერძო მესაკუთრეებს მათი ექსპლოატაციის გაძლიერებაში; ეს უკანასკნელნი ხელფასის ეკონომიის მიზნით ხშირად სამსახურიდან ათავისუფლებენ მუშებს, რომლებიც იღებენ ხელფასის მაღალ ვანაკვეთს და ცვლიან მათ ახალგაზრდა მუშებით. მოსახლეობის ნახევრადდასაქმებას თავისი დემოგრაფიული მხარეც გააჩნია; ვინაიდან ნახევრადდასაქმებულთა დიდ რაოდენობას შეადგენენ ბავშვები და მოზარდები, მატერიალურ კეთილდღეობას მოკლებული მშობლები ყოველ ახალშობილ ბავშვში ხედავენ პოტენციურ მუშახელს, რომელზედაც შრომის ბაზარზე უფრო მაღალი მოთხოვნილება იქნება და ბავშვების რაოდენობის ზრდა ოჯახში სამუშაო ძალის ზრდის იდენტურია და ყოველი ბავშვის შემოსავალი სულ იმცირედ. მაგრამ მაინც შეავსებს ოჯახის ბიუჯეტს.

უმუშევართა საერთო რაოდენობა ირანში 1956 წლის აღწერის თანახმად შეადგენს 158.972 კაცს, ხოლო 1966 წელს კი — 691.400 კაცს³⁰, ე. ი. მთელი დასაქმებული მოსახლეობის 10%-ზე მეტს; როგორც ზევით აღვნიშნეთ, არც ერთი ეს მონაცემი არ შეეფერება სინამდვილეს, რაზეც მეტყველებს თვით ირანის პრესის ფურცლებზე მოტანილი ცნობები. ასე მაგალითად, 1963 წლის დასასრულს ირანის პრესის ცნობით უმუშევართა რაოდენობა

³⁰ سرشماری عمومی کشور 23. 60.

1.700.000³¹ აღწევდა; 1964 წელს კი სტატისტიკური სამმართველოს ცნობით სამუშაოს ეძებდა 1 მილიონზე მეტი კაცი. 1966 წლის აღწერის მასალებში აღნიშნულია, რომ ირანის სოფლის მეცხოვრება 2 მილიონზე მეტმა მიატოვა სოფლები და სამუშაოს საძებრად გადასახლდა სხვადასხვა ქალაქებში;

ამრიგად, უმუშევართა არმიას მიეკუთვნება გაღატაკებული გლეხობა, რომლებმაც მიატოვეს სოფლები და სამუშაოს საძებრად მიამშურეს ქალაქებს; უმუშევართა რიცხვი იზრდება აგრეთვე ხელოვნების და ინტელიგენციის ხარჯზე, რომლებიც სოფლებიდან და პატარა ქალაქებიდან სამუშაოს საძებრად მიემშურებიან დიდი ქალაქებისაკენ. უცხოეთის კონკურენციისათვის წინააღმდეგობის გაწევა განსაკუთრებით ძნელია მცირე საწარმოთათვის, რომლებიც ძირითადად თავმოყრილია ირანის პატარა ქალაქებში, ამიტომ ამ ქალაქების ბევრი საწარმო ხშირად წყვეტს თავის არსებობას და ყოველწლიურად ამ საწარმოებიდან დათხოვილი ათასობით მუშა სამუშაოს საძებრად დიდი ქალაქებისაკენ მიემშურებოდა. დიდ ქალაქებს შემოხიზნული ყოფილი მუშები და გლეხები იძულებული იყვნენ დაკმაყოფილებულობდნენ მეტად დაბალი ხელფასით, ეს კი თავის მხრივ იწვევდა დასაქმებული მუშების ხელფასის საშუალო დონის დაცემას და აუარესებდა მუშების საყოფაცხოვრებო პირობებს.

ამრიგად, ირანის მოსახლეობის ბუნებრივი ნამატის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკის ჩამორჩენილობის პირობებში იწვევს მოსახლეობის გაძლიერებულ მიგრაციას, განსაკუთრებით ე. წ. აგრარულ გადასახლებას, ანუ გაღატაკებული გლეხების სოფლიდან ქალაქში გადასვლას. მოსახლეობის დიდი რაოდენობით გადასვლა სოფლებიდან და პატარა ქალაქებიდან დიდ ქალაქებში იწვევს ირანის მოსახლეობის სტრუქტურის შეცვლას; ამ პროცესების შედეგად და ქალაქის მოსახლეობის ბუნებრივი ნამატის ზრდის ფონზე განსაკუთრებით შესამჩნევია დიდი ქალაქების მოსახლეობის სწრაფი ზრდა; ასე მაგალითად: თუ 40-იან წლებში ირანის ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა მოსახლეობის საერთო რაოდენობის 22%, 1956 წელს მისი ხვედრითი წილი 31,4% ხოლო 1966 წელს კი --- 38,5%-მდე იზრდება; 1943—56 წ.წ. ირანის ქალაქების მოსახლეობა იზრდება 2 მილიონზე მეტით, ხოლო მომდევნო 10 წელიწად-

³¹ „مآثر“ 1963 წ. 22/XI.

ში ქალაქის მოსახლეობის ნამატი თითქმის 4 მილიონამდე აღწევს: ქალაქის მოსახლეობის ზრდა ირანში ზორციელდება უმთავრესად 10 მსხვილი ქალაქის ხარჯზე. ამ ქალაქების მოსახლეობის დინამიკა 1940-66 წ.წ. შემდეგ სურათს გვაძლევს:

ცხრილი 6.

ქალაქი	მოსახლეობის რაოდენობა 1940-იან წ.	მოსახლეობა 1956 წ.	მოსახლეობა 1966 წ.
თეირანი	540000	1512000	2719730
ისფაჰანი	204600	254700	424045
მეშჰედი	167400	241900	409616
თაერიზი	213500	289900	403413
აბადანი	39700	226000	272962
შირაზი	129000	170600	269865
აჰვაზი	45500	120000	206375
ქერმანშაჰი	88600	125400	187930
რეშთი	102600	109400	143557
ჰამადანი	103700	999000	124167

როგორც ამ ცხრილიდან ვხედავთ, მხოლოდ თეირანის მოსახლეობა 25 წლის განმავლობაში 5-ჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. ურბანიზაციის პროცესს ირანში თან ახლავს ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: საქალაქო მოსახლეობის სწრაფ ზრდას, რაც მხოლოდ და მხოლოდ დიდი ქალაქების ხარჯზე მიმდინარეობს, თან სდევს საშუალო და მცირე ქალაქების მოსახლეობის როგორც აბსოლუტური, ასევე შეფარდებითი შემცირება. ასე მაგალითად შემცირდა ისეთი ქალაქების მოსახლეობა, როგორიცაა ფეჰლევი, რეშთი, დამდანი, შაჰრუდი, დეშთემიშანი, შუშთერი, გოლფაიგენი, ბუშირი, ფირუზაბადი და სხვ. შესაბამისად დარღვეულია პროპორცია ირანის დიდ და მცირე ქალაქებში მცხოვრებ მოსახლეობას შორის; 10 ჩვენს მიერ ზემოდასახელებული დიდი ქალაქის მოსახლეობა 1966 წლისათვის შეადგენდა 5.161.660 კაცს, ანუ ირანის მთელი მოსახლეობის 20%-ზე მეტს და საქალაქო მოსახლეობის 52%-ზე მეტს.

სოფლებიდან ქალაქებში უმთავრესად მამაკაცები მიდიან და ოჯახები ქალაქად გადაჰყავთ უფრო მოგვიანებით და ისიც ყოველ-აუვის არა.

ირანში, რამდენადაც ქვეყანას არ შეუძლია აითვისოს შექმნილი ქარბი მუშახელი, რომელიც ამავე დროს განუწყვეტლივ იზრდება, ადგილი აქვს ქვეყნის გარე მიგრაციას — მუშახელის უცხოეთის ქვეყნებში წასვლას. ასე წავიდა ბევრი ირანელი ავღანეთში, პაკისტანში, ერაყში, კუვეითში; ნაწილი მუშებოსა საზღვარს არალეგალურად გადადიოდა. ამასთანავე ირანის ჩამორჩენილი ეკონომიკის პირობებში დაბალია შრომის ნაყოფიერება, რომლის ზრდას მნიშვნელოვნად აფერხებს აგრეთვე მუშების დაბალი კვალიფიკაცია და მოსახლეობის განათლების დაბალი დონე. ამიტომ ირანის ეკონომიკის შემდგომი განვითარება ირანის ხელისუფლების წინაშე აყენებს ირანში განათლების საკითხის პრობლემის გადაწყვეტას.

სოფლის მეურნეობის და მრეწველობის განუვითარებლობის პირობებში, უმუშევრობის პრობლემის გამწვავებასთან ერთად შრომითი რესურსების განაწილებასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას ირანში საგრძნობლად აფერხებს აგრეთვე მოსახლეობის კულტურისა და სწავლა-განათლების დაბალი დონე.

1945 წლისათვის ირანში წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა შეადგენდა მთელი მოსახლეობის 5—10%. 50-იანი წლების დასასრულისათვის და 60-იანი წლების დამდეგისათვის ირანის შაჰის მოჰამედ რეზა ფეჰლევის განცხადებით წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა შეადგენდა მოსახლეობის 80%-ზე მეტს,³² ხოლო ირანის პრესის ცნობით 1961 წ. წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა შეადგენდა მთელი ირანის მოსახლეობის 12%-ს³³. თვით ირანის მთავრობის წარმომადგენლები აღიარებენ, რომ ქვეყნის ეკონომიკისა და მრეწველობის განვითარებისათვის ყველაზე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს მოსახლეობის ფართო მასების უცილობა³⁴, ამიტომ ირანის მთავრობის გადაწყვეტილებით ირანის სახელმწიფოს უპირველეს პრობლემად დასახულ იქნა ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის და ამ პრობლემის გადასაწყვე-

³² М. Р. П е х л е в и, Беляя революция, Париж, 1967, გვ. 111.

³³ «Iran Almanac» 1961, გვ. 491.

³⁴ «Всемирный конгресс министров просвещения по ликвидации неграмотности. Тегеран, 8—19 сентября, 1965; Речь по случаю открытия конгресса. Палемия. Речь на закрытии конгресса», Париж, 1966, стр. 76—77.

ტად საქირო იყო მთელი ძალების მობილიზება. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის და განათლების სისტემის გაფართოების მიზნით 1963 წელს ირანის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა კანონი „განათლების კორპუსების“ შექმნის შესახებ. ამ კანონის თანახმად ყველა საშუალო, სპეციალური და უმაღლესი სკოლების კურსდამთავრებულნი არმიაში გაწვევისთანავე სავალდებულო სამხედრო სამსახურთან ერთად შეისწავლიან პედაგოგიკის ელემენტარულ საფუძვლებს, რის შემდეგ იგზავნებიან ირანის სხვადასხვა ოლქებში და შორეულ სოფლებში, სადაც როგორც ბავშვებს, ასევე უფროსი თაობის წარმომადგენლებს ასწავლიან წერა-კითხვას და ამასთანავე მომთაბარე მოსახლეობასა და სოფლის მცხოვრებთა შორის ატარებენ კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას. 1968 წლიდან „განათლების კორპუსებს“ შორის დაარსდა ქალთა სექციებიც. მარტო 1971 წელს განათლების კორპუსების წარმომადგენლებმა წერა-კითხვა შეასწავლეს 1.381.859 მცხოვრებს, მათ შორის 917.829 ბავშვს და 464.031 უფროსი თაობის წარმომადგენელს³⁵. შესაბამისად იზრდება დაწყებითი და საშუალო, პროფესიულ-ტექნიკური და უმაღლესი სასწავლებლების რიცხვიც. მარტო 1969/70 სასწავლო წელს შეიქმნა დაწყებითი სკოლის 5.000 და საშუალო სკოლის 2.000 ახალი კლასი³⁶. 1971 წელს, ირანის სახელმწიფოს არსებობის 2500 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე წამოყენებული ლოზუნგის თანახმად ირანში უნდა აშენდეს 2.500 ახალი სკოლა³⁷.

ამრიგად, ამ დონისძიებების გატარების შედეგად ირანში საგრძნობლად იმატა წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობამ. ამჟამად ირანის მთავრობის მიერ მოსახლეობის განათლებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის გამოყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტის 30—35%³⁸.

განათლებისა და კულტურის დონის ამაღლების საკითხში წარმატებებისათვის ირანის სახელმწიფო დაჯილდოებულია იენესკოს მიერ 1969 წლიდან დაარსებული ნ. კ. კრუპსკაიას სახელობის პრემიით.

³⁵ «Iran Almanac» 1971, გვ. 518.

³⁶ იქვე, გვ. 545.

³⁷ „اكو نو ميست“ 1971, № 810, გვ. 4.

³⁸ «Курьер ЮНЕСКО» 1968, № 4, გვ. 24.

მიუხედავად ამ ღონისძიებების გატარებისა ირანი მაინც ვერ აკმაყოფილებს კვალიფიციური კადრებით ქვეყნის სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებებს. საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვის ზრდა სახელმწიფოში ვერ მიყვება მოსახლეობის ზრდის ტემპს: შობადობის მაღალი დონე და მასთან ერთად ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შედარებითი გაუმჯობესება იწვევს ბავშვთა შორის სიკვდილიანობის შემცირებას, რაც კიდევ უფრო ზრდის სასკოლო ასაკის ბავშვთა კონტინენტს. ასეთ პირობებში ირანის მთავრობას მომავლისათვის კიდევ უფრო გაუჭირდება მოსახლეობის განათლების პრობლემის გადაწყვეტა; ირანის ოფიციალური წრეების ცნობით 1968 წ. ქვეყნისათვის საჭირო იყო ტექნიკური დარგის 100.000-მდე სპეციალისტის მომზადება, ირანს კი შესაძლებლობა ჰქონდა მოემზადებინა ამ რაოდენობის მხოლოდ 1/3³⁹, ამასთანავე სპეციალისტების მომზადების დონე ირანის უმაღლეს სასწავლებლებში ჯერ კიდევ არაა დამაკმაყოფილებელია და ვერ პასუხობს ტექნიკის განვითარების თანამედროვე მოთხოვნილებებს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ირანის ეკონომიკის განუვითარებლობის, ხელფასის სიმცირის, უმუშევრობის პრობლემის გამწვავების გამო ის მცირერიცხოვანი სპეციალისტებიც, რომლებიც ამთავრებენ ირანის პროფესიულ-ტექნიკურსა და უმაღლეს სასწავლებლებს, ხშირად სამუშაოს საძებრად მიდიან საზღვარგარეთის ქვეყნებში; თვით ირანის ხელისუფლების მმართველი წრეები მოსახლეობის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს მეცნიერული და პროფტექნიკური კადრების ურთიერთგაცვლას და მეცნიერულ-ტექნიკური კავშირის დამყარებას აშშ-სა და ევროპის სახელმწიფოებთან. ათასობით ირანელი ახალგაზრდა უმაღლესი განათლების მისაღებად იგზავნება საზღვარგარეთ. მაგრამ ირანის ცდამ, რომ მოემზადებინა ეროვნული კადრები უცხოეთში, არ გამოიღო ის ნაყოფი, რასაც მოელოდა ირანის მთავრობა: უცხოეთის სახელმწიფოებში კვალიფიკაციის ასაშლელად და უმაღლეს სასწავლებლებში მოსამზადებლად გაგზავნილი სპეციალისტების უმრავლესობა სამშობლოში აღარ დაბრუნებულა და გააგრძელა მოღვაწეობა იმ ქვეყანაში, სადაც გააგზავნეს სასწავლებლად. ეს ტენდენციები განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 50-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც ირანის მთავრობამ დაიწყო ახალგაზრდობის სისტემატური მივლინება უცხოეთში:

39 „كيخان اینترنشنل“ 1968, 10. VI.

ქვეყნებში, ხოლო აშშ-მა, გერ-მ, საფრანგეთმა და ინგლისმა გამო-
ყვეს სათანადო სახსრები ირანელ სპეციალისტთა მომზადების მიზ-
ნით. 1957—65 წ.წ. აშშ-ში წარგზავნილი 6.526 სტუდენტიდან
3.802, ე. ი. 58% საცხოვრებლად და სამუშაოდ დარჩა აშშ-ში და
ირანში აღარ დაბრუნებულა⁴⁰. იმავე წლებში აშშ-ში საცხოვრებ-
ლად დარჩა ირანიდან კვალიფიკაციის ამალღების მიზნით ჩასული
1.108 სპეციალისტი, რომელთა შორის იყვნენ ექიმები, ინჟინრები,
ეკონომისტები და სხვ. შემდგომში აშშ-ში და საზღვარგარეთის
შხვა ქვეყნებში ირანიდან ჩასული სპეციალისტების რაოდენობა
თანდათანობით იზრდება. 5 წლის განმავლობაში—1962—67 წ.წ.
აშშ-ში მუდმივ საცხოვრებლად დარჩა ირანიდან ჩასული 2.141
ინჟინერი, 174 ექიმი, 706 მეცნიერი და სხვადასხვა სპეციალობის
ტექნიკური მუშაკი, სულ 6,112 კაცის რაოდენობით⁴¹. 1966/67 სას-
წავლო წელს აშშ-ში და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში
უმაღლესი განათლების მისაღებად გაგზავნილი იყო 25.000-მდე
ირანელი სტუდენტი.

ახალგაზრდა სპეციალისტების ასეთი მასობრივი წასვლა ირა-
ნიდან ეკონომიურ ზარალს აყენებს ირანის სახელმწიფოს. თუ მხე-
დველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ერთი უმაღლესი განა-
თლების მქონე სპეციალისტის მომზადება საზღვარგარეთ ირანის
სახელმწიფოს ყოველწლიურად 2000 დოლარზე მეტი უჯდება, გა-
საგები ვახდება იმ ეკონომიური ზარალის ოდენობა, რომელსაც
ირანის სახელმწიფოს აყენებს აშშ-სა და დასავლეთ ევროპის სახელ-
მწიფოების „დახმარება“ სპეციალისტების მომზადებისა და მათი
კვალიფიკაციის ამალღების დარგში. ახალგაზრდა სპეციალისტების
და კვალიფიკირებული კადრების მასობრივი წასვლა ზიანს აყენებს
არა მხოლოდ ირანის ეკონომიკას, არამედ ქვეყნის მეცნიერების და
კულტურის პროგრესს, საწარმოო ძალთა ზრდასა და განვითარებას.
შექმნილმა მდგომარეობამ ირანის მთავრობა აიძულა მიეღო ზომე-
ბი ირანიდან წასული სპეციალისტების ნაკადის შესაჩერებლად:
კერძოდ, შემიკრებულ იქნა იმ სტუდენტთა რიცხვი, რომლებიც
იგზავნებოდა აშშ-ში და სხვა სახელმწიფოებში სასწავლებლად
ირანის სახელმწიფოს ხარჯზე; ამიერიდან ირანის ფარგლებს გარეთ
იგზავნებიან მხოლოდ იმ სპეციალობათა შესასწავლად, რომლებიც

⁴⁰ „العلم“ — 1968, 12. V.

⁴¹ „Iran Almanac“, 1968, გვ. 32.

ირანში არ არის წარმოდგენილი ან არ არის შესაძლებლობა, რომ ამ დარგში მომზადდეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. ეროვნული კადრების მომზადების მიზნით ირანში მუშავდება კანონი, რათა აიკრძალოს უცხოელი სპეციალისტების მოწვევა სახელმწიფოს ხარჯზე. ამ კანონის თანახმად საჭიროების შემთხვევაში უცხოეთის სახელმწიფოებიდან მოწვეული სპეციალისტები შესაძლებენ ირანში დარჩენას არა უმეტეს 1 წლისა, ამასთანავე ის დაწესებულება, რომელიც მოიწვევს სპეციალისტს უცხოეთიდან ვალდებული იქნება მოამზადოს მოწვეული სპეციალისტის დარგში საკუთარი, ეროვნული კადრები.

ჩვენს მიერ აღებულ ნაშრომში მოკლედ განხილულია ის პრობლემები, რომლებიც დაისვა ირანში მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპის შედეგად. ირანის ხელისუფლება დიდი ყურადღებით მოეციდა დემოგრაფიული პრობლემების დამუშავებას და ცდილობს შეიმუშაოს დემოგრაფიული პოლიტიკის გარკვეული გეზი. აზიისა და აფრიკის სხვა სახელმწიფოებთან ერთად ირანმა დაამუშავა მოსახლეობის შობადობის კონტროლისა და ოჯახის დაგეგმარების პროგრამა, რომლის განხორციელება დაეცისრა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს; ეს პროგრამა ძალაში შევიდა 1966 წელს. მომდევნო წლებში ჩამოყალიბდა ე. წ. მოსახლეობის ოჯახური დაგეგმარების კლინიკები და სამედიცინო დაწესებულებები. ირანის სოფლის მოსახლეობის მომსახურების მიზნით შექმნილია უფასო მოძრავი სამედიცინო ჯგუფები. „განათლების კორპუსების“ შექმნის პრინციპით შემდგომში იქმნება აგრეთვე „ჯანმრთელობის დაცვის კორპუსები“.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან დაარსებულია სამედიცინო კადრების მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსები. ირანის მოსახლეობის შობადობის კონტროლის პროგრამის მეცნიერული შესწავლა და დამუშავება წარმოებს თეირანის უნივერსიტეტთან დაარსებულ სახალხო ჯანმრთელობის დაცვის სპეციალურ სკოლაში⁴².

ცხადია, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარების მიზნით ირანის მთავრობის მიერ ჩატარებულ რეფორმებთან ერთად მოსახლეობის კულტურის დონის ამაღლება, უწინარეს ყოვლისა განათლების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გაუმჯობესება, ცვლილებები ეროვნულ საკითხში და საზოგადოებრივი

⁴² «Popylation Problems Assistances», Washington. 1969, გვ. 99.

ცხოვრების სხვა სფეროში მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს არქაული ფეოდალური გადმონაშთების წინააღმდეგ საბრძოლველად და მოწინავე ბურჟუაზიული წყობის განსამტკიცებლად. ირანის მთავრობა გარკვეულ იმედებს ამყარებს, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებული აგრარულ ურთიერთობათა რღვევის და ურბანიზაციის პროცესები, ქალის ჩაბმა საზოგადოებრივ შრომაში, მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლება მომავალში გამოიწვევს მოსახლეობის ზრდის ტემპის შენელებას და თანათარღობის დამყარებას საწარმოო ძალთა განვითარებასა და შრომით რესურსებს შორის.

Э. БАБАЛАШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ДЕМОГРАФИИ ИРАНА

Резюме

В статье рассматриваются вопросы связанные с демографическими проблемами Ирана.

По данным первой и второй всеобщей переписи населения Ирана которые проводились соответственно в 1956 и 1966 гг. ежегодный естественный прирост населения превышал 3%, а с 1966 года среднегодовой прирост населения достиг 3,5%.

Общезвестен тот факт, что рождаемость, смертность, продолжительность и условия жизни, производство продуктов питания и уровень потребления определяются уровнем развития производительных сил, характером общественных отношений, способом распределения материальных благ. Темпы роста населения Ирана значительно превышают общие темпы экономического развития страны. Быстрое увеличение численности населения ведет к возрастанию затрат на соответственно повышающиеся потребительские нужды общества, ограничивает возможности непосредственных производительных капиталовложений; одновременно растущая доля детского, нетрудоспособного населения повышает коэффициент иждивенчества. Отсталая экономика страны не успевает обеспечивать работой все более увеличивающиеся контингент трудоспособного населения. В результате увеличивается безработица и миграция рабочей силы. Помимо количественного аспекта проблема населения страны имеет не менее важный — качественный аспект: особые опасения вызывают миграции рабочей силы из деревни в город и утечка наиболее

активной и квалифицированной рабочей силы из Ирана в развитые капиталистические государства.

Для решения демографических проблем Ирана необходимо осуществление коренных социальных преобразований, подъем промышленного и сельскохозяйственного производства, рост благосостояния и культурного уровня трудящихся масс.

ზ. შარაშენიძე

ირანის შინაპოლიტიკური ვითარებისა და რუსეთთან ურთიერთობის საკითხისათვის XVIII საუკუნის დასასრულს

ყაჯართა დინასტიის დამაარსებელმა, აღა-მაჰმად-ხანმა მახვილის ძალით მოახერხა ირანის გაერთიანება. საკმარისი აღმოჩნდა ამ შაჰის მოკვლა შეთქმულთა, თუ შეამბოხეთაგან, რომ მის მიერ შექმნილი ფეოდალური ლაშქარი სწრაფად დაიშალა¹. ცალკეულ ტომებს თუ დაჯგუფებებს სათავეში ჩაუდგნენ თავიანთი მეთაურება. ცენტრმსრბოლი ძალები ყოველ ღონეს ხმარობდნენ აღზევებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის.

იმის გამო, რომ აღა-მაჰმად-ხანი ამ დროს თავისი ლაშქრით ყარაბაღში იმყოფებოდა, ცხადია, ურდოს დაშლის შედეგად არეულობა, უწინარეს ყოვლისა, ჩრდილოეთ ირანში მიმდინარეობდა. შაჰის ლაშქარი ტომობრივ პრინციპზე იყო აგებული, თითოეული ტომის მეთაური კი აღზევებაზე, ძალა-უფლების ხელში ჩაგდებასა და დამოუკიდებლობის მოპოვებაზე ოცნებობდა.

სპარსელი ისტორიკოსები დაწვრილებით გადმოგვცემენ აღა-მაჰმად-ხანის სიკვდილის შემდეგ ირანში მომხდარ ამბებს. სპარსული წყაროებიდან ადვილად შეიძლება დაეასკვნათ, რომ აღა-მაჰმად-ხანის ძმისშვილს — ვალიაჰდს — ბაბა-ხანს², რომელიც ფარსის

¹ იხ. ზ. შარაშენიძე, ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ. 1970.

² სანამ იგი ირანის შაჰი გახდებოდა, მანამ მას ბაბა-ხანს უწოდებდნენ. იმის გამო, რომ ყაჯართა ტომების პირველი ძლიერი მმართველი იყო ფათჰ-ალი-ხანი, რომელიც ითვლება ყაჯართა დინასტიის დამაარსებელთა დიდ წინაპრად, მისი სახელი დაირქვა ირანის ახალმა გამგებელმა. იხ.

سعید نفیسی، تاریخ اجتماعی و سیاسی ایران در دورهٔ معاصر، تهران، 1336، 75-83.

მმართველად იყო დანიშნული, დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდა სახელმწიფო ხელისუფლების ასაღებად.

ირანის სატახტო ქალაქისაკენ მიისწრაფოდნენ არა მარტო ყარაბაღში მყოფი დიდებულები, არამედ ერევანსა თუ ბასრაში განწყობილი ირანელი მხედართმთავრები თუ მმართველები. მაგალითად, ერევანში მყოფმა ალი-ყული-ხანმა როგორც კი შეიტყო აღამაჰმად-ხანის სიკვდილი, ხოისა და მარალეს გზით თეირანისაკენ გაეშურა და თავისი ლაშქრით ქალაქის მახლობლად დაბანაკდა³. თეირანს მიაღწა აგრეთვე ბასრის მმართველი მოჰამედ-ხანი, ზაქი-ხან ზენდის შვილი.

ირანელი დიდებულები ვერ ახერხებდნენ თეირანში შესვლას. ვინაიდან აღამაჰმად-ხანის მიერ დატოვებულმა მმართველებმა, პირველი მინისტრის ჰაჯი იბრაჰიმის⁴ მეთაურობით, ჩაკეტეს თეირანის კარები და შიგ არავის უშვებდნენ.

ბაბა-ხანმა ბოლო მოუღო თავის პრეტენდენტებს და თეირანში შევიდა. მაგრამ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საშუალება დაეწყო სახელმწიფოს მართვა, ვინაიდან ყაზვინს მისდგომოდა მეტად გამოცდილი და საშიში მტერი სადეყ-ხან შაყაყელის სახით.

როგორც ცნობილია, სწორედ ამ დიდებულთან მივიდნენ აღამაჰმად-ხანის მკვლელები და მას მიართვეს მოკლული შაჰის კარადიდან წაღებული სამეფო ძვირფასი ნივთები. ამის შემდეგ სადეყ-ხან შაყაყელმა დაუყოვნებლივ შეაგროვა არა მარტო შაყაყის, არამედ სხვა ტომთა წარმომადგენლებიც და საემოდ ძლიერი ლაშქრით სამხრეთ აზერბაიჯანისაკენ გაემართა. მის მიერ გატაცებული სიმიდრისა და ჯარის შესახებ სპარსელი ისტორიკოსი რეზა-ყული-ხანი გადმოგვცემს: „დიდი ურდოს დამლის შემდეგ, იგი და მასი ტომი, გაბნეულ, უმეთაურო ასქერებს დაედევნენ ფეხდაფეხ და რამდენიც შეეძლოთ ურდოს წევრების ქონება, სიმიდრე, ტვირთი და საქონელი გაიტაცეს. დამარცხებული ჯარის უმრავლესობა ნებსით თუ უნებლიედ, სურდათ ეს მათ თუ არა, სადეყ-ხანს დამორჩილდნენ და მას შეუერთდნენ. მას ემორჩილებოდა და მისი ბრძანების ქვეშ იყო თხუთმეტი ათას კაცზე მეტი. ამის გამო, მისი

میرزا محمد تقی لسان الملك سیهر، نسخ التواریخ سلاطین
قاجاریه، جز اول، تهران، ۱۳۴۴، გვ. 86.

³ დასაწყისში აღამაჰმად-ხანის პირველი ვეზირი იყო მირზა შაფი. ჰაჯი იბრაჰიმმა თავისი ეშმაკობით მოახერხა მირზა შაფის გადაყენება და თვით გახდა პირველი მინისტრი. შდრ. „ნასეხ-ოთ-თავარის“, I, გვ. 86.

უსაფუძვლო სწრაფვა სამეფო ტახტის (ხელში ჩასაგდებად) უფრო გაძლიერდა“⁵.

ფათჰ-ალი-შაჰმა დაამარცხა სადევ-ხან შაყაყელი და მის მიერ გატაცებულ ნივთებსაც დაეპატრონა. ახალ მბრძანებელს მხედველობაში მიუღია შაყაყელის დამსახურება ყაჯართა წინაშე და შაჰ მიძარტ სიმკაცრე არ გამოუჩენია. პირიქით, იგი გარმრუდისა და სარაზის მმართველადაც კი დაუნიშნავს.

მართალია, სამხრეთ აზერბაიჯანიდან დაბრუნების შემდეგ ფათჰ-ალი-ხანმა, 1797 წლის სექტემბერში, შაჰის გვირგვინი დაიდგა, მაგრამ შფოთი და არეულობა არ წყდებოდა ქვეყანაში. ახალი ხელმწიფე იძულებული იყო ხან ერთ და ხან მეორე მხარეში გაეგზავნა თავისი მხედართმთავრები, ხოლო ზოგჯერ თვითონაც მიემართებოდა ამბოხების ჩასაქრობად⁷.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ფათჰ-ალი-ხანი არ იყო ძლიერი მმართველი. იგი თავის ბიძას ალა-შაჰმად-ხანსაც კი ვერ შეედრებოდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში. ფათჰ-ალი-შაჰი, უწინარეს ყოვლისა, თავის თავისა და თავისი ოჯახის წევრების უზრუნველყოფასა და ბედნიერ ცხოვრებაზე უფრო მეტად ფიქრობდა.

ფათჰ ალი-შაჰის მეფობის დასაწყისში გახშირდა შეტევა ირანის ცალკეულ რაიონებზე. განსაკუთრებით გართულებული იყო მდგომარეობა ხორასანში.

رضا قلی خان هدایت، ملحمات تاریخ روضت الصفا ناصری، تهران،

(შემდეგში: „როუზათ-ოს-საფა“) გვ. 368, 1339

⁵ სხვათა შორის, სწორედ ამ პერიოდში ჩამოუტანიათ თეირანში ალა-შაჰმად-ხანის უთავო სხეული. აქედან კი მიცვალებული მეშველს წაუღიათ და იქ დაუმარხათ. „ნასეხ-ოთ-თავარიხ“, I, გვ. 91. შდრ. „როუზათ-ოს-საფა“, IX, გვ. 314.

⁷ ირანში მომხდარი ამბების შესახებ კარგად იყო ინფორმირებული ასტრა-ხანში გადახვეწილი ალა-შაჰმად-ხანის ძმა, მურთაზა ყული-ხანი. მაგალითად, თავის წერილებში რუსეთის მაღალი თანამდებობის პირებისადმი, იგი წერს, რომ ალა-შაჰმად-ხანის გარდაცვალების შემდეგ შირაზში ჯან მოჰამედ-ხან ყაჯარის წაქეზებით ჰოსეინ ყული ხანმა მოაწყო ამბოხება თავისი ძმის ბაბა-ხანის წინააღმდეგ, რომელიც აზერბაიჯანში იმყოფებოდა. ირანის ახალი ხელმწიფე შირაზში ჩავიდა, ჩაახშო ამბოხება და თითქოს შეურიგდა კიდევ თავის ძმას, მაგრამ ამ დროს დაიწყო მღელვარება შაჰის ლაშქარში, რის გამოც შაჰმა თვალები დათხარა შეიდ შეამბოხეს და თავის ძმას ჰოსეინ ყული-ხანსო. Архив внешней политики России, Ф. «Сношения России с Персией», д. 488, л. 292—293 (შემდეგში АВПР). ამ ცნობებს სპარსული წყაროებიც ადასტურებს. იხ. მაგ., „ნასეხ-ოთ-თავარიხ“, I, გვ. 98—100.

ალა-მაჰმად-ხანის მოკვლის შემდეგ ხორასანი კვლავ ჩამოშორდა ირანს და იქ მმართველობა ხელთ იგდო შაჰროზ აფშარის შვალმა, ნადერ მირზამ. სამხრეთ აზერბაიჯანსა და ირანის ერაყში მოჰმადარი ამბოხებების გამო ფათჰ-ალი შაჰს არ ჰქონდა საშუალება ყურადღება მიექცია ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიისათვის. მაგრამ როგორც კი მას მიეცა საშუალება, დიდი წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ, მოახერხა ნიშაბურის აღება და ალყა შემოარტყა „წმინდა ქალაქს“ მეშველს. მართალია, ირანის შაჰმა ვერ მოახერხა ამ ქალაქის აღება, მაგრამ ნადერ-მირზა აფშართან მოლაპარაკების შემდეგ, ამ უკანასკნელმა ცნო ირანის უფლებები ხორასანზე⁸.

XVIII საუკუნის დასასრულიათვის ავღანეთში გამუდმებულ ბრძოლები მიმდინარეობდა არა მარტო ცალკეულ ფეოდალურ დაჯგუფებებს შორის, არამედ ავღანელი ხალხი იბრძოდა ინგლისელი დამპყრობლების წინააღმდეგაც, რომლებიც ცდილობდნენ ბოლო მოეღოთ ავღანეთის დამოუკიდებლობისათვის.

ინგლისისათვის ნათელი იყო, რომ XVIII საუკუნის დასასრულს შექმნილი საერთაშორისო ვითარება აუცილებელს ხდიდა ირანთან ურთიერთობის აღდგენას, იგი კარგად ხედავდა, რომ საჭირო იყო ირანის მოქცევა ინგლისის გავლენის ქვეშ. ასეთი ნაპიჯის გადადგმა სწრაფად იყო საჭირო, ვინაიდან ინგლისის მმართველ წრეებისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ 1796 წელს ირანში იავიდნენ საფრანგეთის წარმომადგენლები: ოლივიე და ბრიუვერი⁹. საკმარისი იყო საფრანგეთს ფეხი მოეკიდებინა ირანში, რომ მას გზა ეხსნებოდა ინდოეთისაკენ. ეს კი ინგლისის კრახს ნიშნავდა. ამიტომ ოსტ-ინდოეთის კომპანიის წარმომადგენლებმა უკვე დაიწყეს პრაქტიკული ღონისძიებების გატარება ირანის მიმართ, რაც იმითაც იყო გაპირობებული, რომ ავღანელები ხშირად ესხმოდნენ თავს ინდოეთს. მაგალითად, XVIII საუკუნის დასასრულს ოთხჯერ შეიჭრა ინდოეთში ზამან-შაჰ ავღანელი, რომელსაც მხარს უჭერდა ინდოეთის ბევრი მუსლიმანი მთავარი¹⁰.

ყარლ მარქსი ასე ახასიათებდა საფრანგეთის პოლიტიკას მაბლობელ და შუა აღმოსავლეთში: „Наполеон вел интриги... на

⁸ „ნახევ-ოთ-თავარბ“, I, გვ. 106; „როუზათ-ოს-საფა“, IX, გვ. 352—353.

⁹ ზ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 188.

¹⁰ В. М. Массон, В. А. Ромодин, История Афганистана, II, 1965, გვ. 144.

Востоке; калкутские „торгоши“ трепетали перед такой колбацией“: Франция, Персия, Афганистан“.¹¹

ამგვარად, ინგლისისათვის მეტად საშიში იყო საფრანგეთ-ირან-ავღანეთის კავშირი. ამიტომ ინგლისის სახელმწიფოს მესვეურებმა გადაწყვიტეს გაეუზავნათ ირანში თავისი წარმომადგენელი¹². 1799 წელს სპარსეთის ყურის გავლით თეირანში გაიგზავნა მირზა მეჰდი ალი-ხანი¹³. მან ღირსეული საჩუქრები მიართვა ირანის შ:ჰს და გადასცა წერილი, რომელშიაც, სპარსელი ისტორიკოსის გადმოცემით, აღნიშნული იყო, რომ ინგლისელებმა უკვე დაიკავეს ინდოეთის ოთხი მხარე, ამჟამად ქვეყნის შვიდი მხრიდან დარჩენილია მხოლოდ სამი, რომელიც ჩვენ არ გვიჭირავს. იმედია, რომ თუ ჩვენ მათთან ბრძოლა გვექნება, ირანის ფაღიმაჰი ჩვენ დაგვეხმარებაო. ამავდროს, თუ ავღანელები თავს დაესხმიან ინდოეთს, მაშინ ირანელები უნდა შეიჭრან ავღანეთში. ირანმა არ უნდა მისცეს საშუალება ავღანეთს თავს დაესხას ინდოეთსო¹⁴.

მოტანილი ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ ინგლისი ყოველ დღონეს ხმარობდა ირანის გამოსაყენებლად თავისი მიზნების განხორციელებისათვის. ბუშირში მყოფ ოსტ-ინდოეთის წარმომადგენელს უფლება ეძლეოდა ირანის თავის მხარეზე გადაბირებისა-

¹¹ K. M a r k s, Хронологические выписки по истории Индии, М., 1947, гл. 105.

¹² სპარსელი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ იგი იყო ინგლისის ბრწყინვალე სახელმწიფოს და პინდუსტანის ფირმანფირნას (ვიცე-კოროლი) ბრძანებით გაგზავნილი. „میرزا مهدی علیخان ملقب بهادر حشمت جنگ بر حسب فرمان انماى دولت بيه انگيس و فرما نفرماى هندوستان در اواخر ربيع الاخر بدز گاه شهر يار آمد“ („ნახევ-ოთ-თავარიხ“, I, გვ. 107)

ე. ი. ხაზგასმულია, რომ იგი მარტო ინდოეთში მყოფი ინგლისის ხელისუფლების მიერ არ იყო წარგზავნილი.

¹³ ზოგიერთ სპარსულ წყაროში იგი მეჰდი ყული-ხანად იხსენიება. იხ. მაგ. „როუზათ-ოს-საფა“, IX, გვ. 325.

¹⁴ „ნახევ-ოთ-თავარიხ“, I, გვ. 107. „როუზათ-ოს-საფა“, IX, გვ. 359—360. აღსანიშნავია, რომ მეჰდი ალი-ხანის ირანში ყოფნის დროს თეირანში ჩავიდა თიფუ-სულთანის — ინდოეთის ერთ-ერთი ყველაზე უფო ძლიერი მმართველის და ინგლისის დაუძინებელი მტრის წარმომადგენელიც, რომელმაც ძვირფას საჩუქრებთან ერთად წერილიც მიართვა შ:ჰს. თიფუ-სულთანი თხოვდა ირანის მბრძანებელს, რომ მას წინააღმდეგობა გაეწია ინგლისისათვის, რათა არ დაეპყრო მისი სამფლობელო („როუზათ-ოს-საფა“, IX, გვ. 359). მაგრამ მალე, 1799 წლის მაისში, ინგლისელებმა უკვე დაიკავეს ინდოეთის ეს სახელმწიფო. თიფუ-სულთანი, რომელსაც კავშირი ჰქონდა ფრანგებთან, მოკლულ იქნა და ამ მისიამაც აზრი დაეკარგა.

თვის ყოველწლიურად დაეხარჯა ორასი ათასიდან სამასი ათას რუფიამდე¹⁵.

მიუხედავად იმისა, რომ ირანი ჩვენთვის საინტერესო პერიოდში საკმაოდ დასუსტებული ქვეყანა იყო, ავღანეთის ცალკეული უფლისწულები, თუ სახელმწიფო ხელისუფლებისათვის მებრძოლი სხვა პირები, ირანის გამგებლებში ხედავდნენ იმ ძალას, რომელსაც შეეძლო მათთვის დახმარების აღმოჩენა ავღანეთის ამა თუ იმ რაიონში ძალაუფლების მოსაპოვებლად. ზოგჯერ კი ირანიდან გაქცეული ცალკეული ხანები, ბეგლარბეგები თუ უფლისწულები იყენებდნენ ავღანელებს ირანში თავიანთი მიზნების განხორციელებისათვის.

შაჰზადა მაჰმუდმა მოაწყო ამბოხება ავღანეთში თავისი ძმის ზამან-შაჰის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელმა გადაქცევა ქვეყნიდან მოლაღატე ძმა. მაჰმუდმა ირანს შეატარა თავი და დახმარება თხოვა ფათჰ-ალი შაჰს, რომელმაც არა მარტო ჯარის გარკვეული ნაწილი მისცა ავღანელ შაჰზადას, არამედ თავისი მხედართმთავრებიც — ამირ ჰოსეინ-ხან თაბასელი და მირ ალამ-ხან ყაენი — გააყოლა მას. ირანის შაჰს ავღანეთის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევის განზრახვა ჰქონდა.

მაგრამ ფათჰ-ალი შაჰმა ვერ მოახერხა ავღანეთში ზამან-შაჰის მოთოკვა¹⁶. ხორასანში ძალა-უფლება კვლავ ხელთ ეპყრა აფშართა წარმომადგენელს, ხოლო ჩრდილო ირანში შაჰის ხელისუფლება მხოლოდ თავრიზისა და ხოის პროვინციებში ვრცელდებოდა.

1798 წელს, როდესაც ფათჰ-ალი შაჰმა ასე თუ ისე დაამყარა სიმშვიდე ქვეყანაში, თავისი წარმომადგენელი გამოგზავნა საქართველოში. შაჰი გიორგი მეფისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ მან თითქოს უკვე დაიმორჩილა აზერბაიჯანის ბეგლარბეგები და ახლა საჭირო იყო ქართველ მეფეს გაეგზავნა თავისი ერთ-ერთი ვაჟიშვილი ირანში საცხოვრებლად, ამას გარდა „არაფერს მოვიტხოვ“, როგორც ვსურთ ისე იცხოვრეთო. წინააღმდეგ შემთხვევაში შაჰი ქვეყანას აოხრებით ემუქრებოდა¹⁷.

¹⁵ H. Rawlinson, England and Russia in the East, second edition, 1875, გვ. 6.

¹⁶ „როუზათ-ოს-საფა“, IX, გვ. 358.

¹⁷ Д у б р о в и н , Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ея к России, СПб, 1867, стр. 112.

წერილის შინაარსიდან კარგად ჩანს, რომ შაჰი ცდილობს მოაქციოს საქართველო ირანის გავლენის ქვეშ და არ დაუშვას მისი რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა.

სახელმწიფო ხელისუფლების დაუფლებისთანავე ბაბა-ხანმა, რომელსაც ჭერ კიდეც არ დაედგა შაჰის გვირგვინი, სამეფო კარის გამორჩენილი მოღვაწეების რჩევით, 1797 წელს რუსეთის იმპერატორის კარზე გაგზავნა ელჩად მირზა სეიდ ჰასანი — მირზა ბაბას, გილანის მმართველის სიძე¹⁸.

ირანის ელჩი დიდი პატივით იქნა მიღებული რუსეთში. ფათხალი შაჰი რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილ სიგელში ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ დიდი ხანია შეწყდა ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობაო. შაჰი ულოცავდა პავლე I ტახტზე ასვლას და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის მოგვარებაზე¹⁹.

გარდა შაჰის სიგელისა, ირანის ელჩს ნოტაც გადაუცია რუსეთის სამეფო კარისათვის. ამ ნოტაში ჩამოთვლილი პუნქტების განხორციელება მიაჩნდა ირანს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის გაუმჯობესების აუცილებელ პირობად. ირანის მთავრობა ითხოვდა: 1. განეწესებინათ ნავსადგურ ენზელში მუდმივად სამუშაოდ საქმეში ჩახედული კონსული. იმ დროს კუნძულ სარიზე მყოფი რუსეთის კონსული სკიბინევსკი ამ საქმისათვის მეტად შესაფერ

¹⁸ АВПР, Ф. «Сношения России с Персией», 1797—1800 гг. д. 489, л. 18.

¹⁹ «По елику же прошло уже много времени как дружеский путь между обоюдными империями загражден, то к возобновлению оного дружеского сношения и для выполнения долгу поздравления вознамерились мы отправить к вашему императорскому величеству посла с поздравительную грамотою, почему и отправили мы высокопочтенного... избраннейшего от знаменитого поколения и усердного Мирзу Сеид Гасана Гилянского келяштара... дабы купцы обеих высокочластных сторон имели между собою союз и с совершенною надежностью упражняясь в торговле приезжали и отъезжали (АВПР, Ф. «Сношения России с Персией», д. 489, л. 58—60).

სხენებული ელჩი და მისი თანხლები პარები, როგორც რუსეთის ჩინოვნიკები მიერ შედგენილი საბუთებიდან ჩანს, ძლიერ ცუდად იქცეოდნენ, არღვედნენ დიპლომატიური მისიისათვის მიღებულ ნორმებს და იჩენდნენ უხეშობას. მოსკოვში ყოფნის დროს ირანელები შეეარდნინან ქალებს ოთახში, სადაც რუსი ოფიცერი იმყოფებოდა, ეს უკანასკნელი გამოუყვანიათ გარეთ და უცემიათ. სახლის პატრონიც ზედ მიუყოლებიათ. პეტერბურშიაც მეეტლისათვის უცემიათ და სხვ. მაგრამ რადგან ისინი ირანის წარმომადგენლები იყვნენ, აღნიშნული საბუთებში, ამიტომ მათ მიმართ ზომები ვერ მივიღეთ (АВПР, Ф. «Сношения России с Персией» д. 489, л. 52).

პიროვნებად იყო მიჩნეული და მიზანშეწონილად თვლიდნენ მის გადაყვანას ენზელში ოჯახითურთ. 2. რუსეთის სამხედრო გემებს მიეცეს მითითება, რომ არ შევიდნენ ნავსადგურ ენზელში, ხოლო თუ ასეთი გემები მივლენ ირანის სანაპიროზე, მაშინ მათ გამოიზამთრონ სარის ნავსადგურში. 3. ორივე ქვეყნის ვაჭრებმა უნდა გადაიხადონ ბაჟი, ამის გამო ებრძანოს რუსეთის კონსულს ენზელში თვალყური ადევნოს, რომ რუსეთის ვაჭრებმა გადაიხადონ ბაჟი ირანში ისე როგორც იბდიან ირანელი ვაჭრები რუსეთში²⁰.

ნათელია, რომ ირანი მოითხოვდა სავაჭრო ურთიერთობას ორ ქვეყანას შორის ერთნაირი უფლებებით. რაც შეეხება კონსულის ენზელში გადაყვანას, ეს გარკვეული მიზნით კეთდებოდა. კუნძულ სარიზე ირანელებს არ ჰქონდათ საშუალება სათანადო კონტროლი გაეწიათ რუსეთიდან შემოსულ საქონელზე. ირანელებს კი თავიანთი საქონელი გაჰქონდათ ენზელიდან, ამ მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტიდან. ცხადია, ირანისათვის სასარგებლო იყო რუსეთის კონსულს ენზელში ყოფნა, ვინაიდან მაშინ მხოლოდ ენზელის გზით გავრცელდებოდა საქონელი მთელს ირანში. ამავე დროს, როგორც ჩანს, ირანელ ვაჭრებს მეტად ავიწროებდა მურთაზა ყული-ხანი, რომელსაც ადრე დავა ჰქონდა თავის ძმა ალა-მაჰმად-ხანთან ირანის სამეფო ტახტისათვის ბრძოლაში²¹. ეს ყაჯარი დიდებული სათანადო ცნობებსაც აწვდიდა რუსეთის მთავრობას ირანში მომხდარი ამბების შესახებ და ისწრაფვოდა თავის ქვეყანაში დაბრუნებისაკენ, რაც არც თუ ისე სასურველი იყო ირანის მმართველი დინასტიის წარმომადგენლებისათვის.

მართალია, ირანის ელჩს უნდა აღედგინა, თითქოს, მეგობრული ურთიერთობა რუსეთთან და მოეგვარებინა ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის საკითხები, მაგრამ მთავარი იყო ის, რომ ბაბა-ხანი თხოვდა რუსეთის იმპერატორს ეცნო იგი ირანის შაჰად. რუსეთის იმპერატორს კი თავი შეუკავებია და საპასუხო სიგელში იგი მას „სპარ-

²⁰ ნოტის დანარჩენი მუხლები ცალკეულ შემთხვევებს ეხება. მაგალითად, ბაქოში ჩამოურთმევიათ გილანელი და მაზანდარანელი ვაჭრებისათვის სხვადასხვა საქონელი და ახლა მის დაბრუნებას ითხოვდნენ. ასტრახანში რამდენიმე წლის წინათ ირანელი ვაჭრების ქონების კონფისკაცია მოუხდენიათ და ახლა მის უკან დაბრუნებას ითხოვდნენ. ასტრახანში მყოფი მურთაზა ყული-ხანი, ალა-მაჰმად-ხანის ძმა უხეშობას იჩენდა ორანელი ვაჭრების მიმართ. ითხოვდნენ მის გადაყვანას სხვა ადგილზე, რათა არ შეფერხდეს ირან-რუსეთის ვაჭრობა (АВПР, Ф. «Сношения России с Персией», д. 488, л. 61—64).

²¹ ზ. შარაშენიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 52—54; 139—141 და სხვ.

სეთის სარდარს“ უწოდებს. რუსეთი სიამოვნებით ეთანხმებოდა ირანის ახალ გამგებელს, რომ ორ მეზობელ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობა უნდა არსებობდეს²².

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში ინახება ბარათი, რომელიც გადაეცა ირანის ელჩს. იგი შეიცავს პასუხებს ყველა იმ პუნქტზე, რომელიც მოცემული იყო მირზა სეიდ ჰასანის მიერ რუსეთის მთავრობისადმი გადაცემულ ზემოაღნიშნულ ნოტაში.

რუსეთი ეთანხმებოდა აზრს კონსულის ენზელში გადაყვანის შესახებ. კონსულს, როგორც აკრედიტებულ პირს, უნდა მისცემოდა უფლება კომერციული საქმეების მოგვარების მიზნით ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე ირანის ნებისმიერ ქალაქში მისვლისა²³. რუსეთის რეზიდენტების გასაქირს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სწორედ ის წარმოადგენდა, რომ მათ არ შეეძლოთ თავისუფლად და უშიშრად არა მარტო ირანის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებში ჩასვლა, არამედ მათ ეშინოდათ ერთი პროვინციიდან მეორეში გადასვლა.

მეორე პუნქტთან დაკავშირებით ბარათში აღნიშნული იყო, რომ რუსეთის სამხედრო გემებს, თუ ამის აუცილებლობა არ იყო და ამავე დროს სათანადო ბრძანებაც არ იყო რუსეთის მთავრობის მიერ გაცემული, ეკრძალებოდათ სხვა სახელმწიფოების ნავსადგურებში შესვლა. მაგრამ იმის გამო, რომ ირანი, რუსეთში მიღებული ზემოაღნიშნული სიგელის თანახმად, რუსეთის მეგობრულ ქნეყნად იწოდება, საქირო შემთხვევაში, ირანის ყველა ნავსადგური ღია უნდა იყოს რუსეთის გემებისათვის²⁴.

რაც შეეხება ბაყების საკითხს, რუსეთის მთავრობა წერდა, რომ იგი არ ითხოვს თავისი მეზობელი სახელმწიფოებისაგან არა-

²² სიგელის სათაურია: «Грамота к персидскому сердарю Баба хану». (სარდარი-გამგებლის, მმართველის მნიშვნელობითაა ნახმარი). მასში აღნიშნულია: «...Судовольствием усмотрев... искреннее расположение ваш к возобновлению между империею нашею и Персидскими областями (ზავგასმა ჩვენია—ზ. შ.) дружеского пути загражденного с нескольких лет. ...мы в разсуждений подвластных вам никогда противного намерения не имели, а на против того всегда оказывали им на самом деле наше императорское благоволение, считая всю Персию вообще не иначе как дружескую соседственную империи нашей державою» (АВПР, Ф. «Сношения России с Персией», д. 489, л. 158—159).

²³ АВПР, Ф. «Сношения России с Персией», д. 489, л. 163.

²⁴ АВПР, Ф. «Сношения России с Персией», д. 489, л. 164.

ვითარ შელავათებს. ორივე მხარემ უნდა გადაიხადოს ბაჟი დადგენილი წესის მიხედვით. მაგრამ თუ ვაჭარმა ერთხელ გადაიხადა ბაჟი, მას არ უნდა გადახდეს იგი მეორედ, სხვა რაიონში, თუ პროვინციაში გადასვლის შემთხვევაში²⁵. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ რუსეთის ვაჭრებს ზოგჯერ ორჯერ და უფრო მეტჯერაც ასლევინებდნენ ბაჟს ირანში შექმნილი უწესრიგობისა და უკონტროლობის გამო²⁶.

ერთი სიტყვით, რუსეთი თანახმა იყო ირანის მიერ შეთავაზებულ მეგობრულ ურთიერთობაზე, რაც კარგად ჩანს 1799 წელს

²⁵ «... обоюдное купечество и должно платить пошлину в самом приезде своем в чужую область. И купцы Российские заплатят единожды обыкновенную пошлину при границе Персии, куда б после того ни ехали внутри сего государства с своим товаром вторично платить не обязаны...» (АВПР, Ф. «Сношения России с Персией», д. 489, л. 165.).

²⁶ სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ნოტაში იყო მოხსენიებული, რუსეთი ვადებულებას კისრულობდა, რომ გამოარკვევდა საქმეებს და თუ უკანონოდ ჩამოართვეს ვინმეს რაიმე, მამინ ისინი სათანადოდ დაისჯებიან. ამავე დროს რუსეთი თავის თავზე იღებდა ვალდებულებას, რომ ასტრახანში მყოფი მურთაზა ყული-ხანი ამიერიდან ირანის არცერთ საქმეში არ ჩაერეოდა. მურთაზა ყული-ხანი ვალდებულია ცხოვრობდეს რუსეთში როგორც სტუმარი და სარგებლობდეს იმპერატორის გულუხვობის შედეგად მიღებული პენსიით («...Муртаза Кули-хан от ныне впредь ни в какие персидские дела мешаться не посмеет, о чем ему и сообщено, чтоб жил как гость пользуясь определенным от щедрости его императорского величества на содержаннем пенсионом...» АВПР, Ф. «Сношения России с Персией», д. 489, л. 167).

ახლა უკვე მურთაზა ყული-ხანს აღარავითარი ძალა აღარ გააჩნდა. აღარც რუსეთს აინტერესებდა იგი, ვინაიდან შექმნილ ვითარებაში არ შეიძლებოდა მისი გამოყენება ირანში რუსეთის ინტერესების განხორციელებისათვის. მურთაზა ყული-ხანი თავის წერილებში რუსეთის მაღალი თანამდებობის პირებისადმი, თუ ხელმწიფისადმი ჩივის თავის უძვეო მდგომარეობაზე: რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები მე უურადლებას არ მაქცევენ, რის გამოც სრულიად დაეცა ჩემი გავლენა, ჩემი თანმხლები პირები ჩემგან გარბიან და თუ ასე გაგრძელდა — შენიშნავს იგი — მომავალ გაზაფხულზე, ალბათ, არცერთი კაცი აღარ დამრჩებაო. მამინ როცა, ირანიდან რომ ჩამოვედი 12 ათასი კაცი მახლდაო (АВПР, Ф. «Сношения России с Персией», д. 488, л. 298—299). მართლაც დიდი ბრწყინვალებით იქნა მიღებული თავის დროზე ეკატერინე II კარზე.

მურთაზა ყული-ხანი ეკონომიურ ხელმოკლეობას უჩივის და ირანში დაბრუნებას ითხოვს. თუ ჩემი სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდება — წერს იგი რუსეთის ხელმწიფეს — მამინ რუსეთის გემით ირანიდან უკან დავბრუნდებიო (АВПР, Ф. «Сношения России с Персией», д. 488, л. 350—351).

იმპერატორის მიერ კოვალენსკისადმი გაგზავნილი ბრძანებიდანაც²⁷. რუსეთის ამგვარი პოზიცია კი, სხვა მიზეზებთან ერთად, გამოწვეული იყო იმითაც, რომ ირანი სრულიად არ აყენებდა საკითხს ამიერკავკასიის, საქართველოს შესახებ. მაგრამ ირანის შაჰის ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა საქართველოს საკითხი და იგი ქართველებთან პირდაპირი დიპლომატიური ურთიერთობის გზით ცდილობდა მის ჩამოშორებას რუსეთისაგან. არც რუსეთი ახსენებდა საქართველოს, ვინაიდან საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. მას რუსეთი უკვე უყურებდა როგორც თავის ქვეშევრდომ სახელმწიფოს.

З. М. ШАРАШЕНИДЗЕ

К ВОПРОСУ ВНУТРИПОЛИТИЧЕСКОГО ПОЛОЖЕНИЯ ИРАНА И ВЗАИМООТНОШЕНИЙ С РОССИЕЙ В КОНЦЕ XVIII ВЕКА

Резюме

Внутриполитическое положение Ирана в период после Ага-Магомед-хана характеризуется ожесточенной межфеодальной борьбой, которая завершилась победой Фахт-Али шаха.

В этой ситуации важное значение приобретают Ирано-Англией, Францией и Россией на почве столкновения их интересов на Ближнем и Среднем Востоке.

В этой ситуации важное значение приобретают Ирано-Афганские отношения.

²⁷ პავლე პირველი წერდა კოვალენსკის: «Известно вам, что прислан был и него (Баба-хана) ко двору нашему посланник с изъявлением желаниа с нами дружественного сношения. Мы искренно соблюсти намерсны оное, а потому и поручаем вам учредить ваши с ним сообщения, изъявляя однакож о желании наше, чтобы не вздумал он посягнуть, по примеру Ага-Магомет-хану, как слухи о том разнеслись, на пределы Грузии... В прочем, как Баба хана, так и всех других выходцев персидских можно удовлетворять о желании нашем, чтобы торговля персидская всякое приращение в России получила, и что поданные их найдут в пределах наших всегдашнее и сильное покровительство...» (Н. Дубровин, Георгий XII, последний царь Грузии и присоединение к России, СПб, 1867, стр. 115).

После прихода к власти, Фахт-Али шах принимал все меры, чтобы не допустить вступления Грузии под покровительство России. Одновременно, он через своего посла предлагал России восстановить добрососедские и торговые взаимоотношения и просил признать его законным шахом Ирана, не поднимая при этом вопроса о Закавказье, в частности, о Грузии.

Правительство России соглашалось на восстановление торговых и добрососедских отношений с Ираном, но признавало Фахт-Али шаха лишь «Сардаром Персии».

Р. Г. СААКЯН

ФРАНКО-ТУРЕЦКИЕ ДИПЛОМАТИЧЕСКИЕ КОНТАКТЫ В 1919—1920 ГГ.

Политика Франции по отношению к Турции в период национальной войны последней в 1919—1922 гг. занимает особое место. Франция первая из держав Антанты установила дипломатические контакты с правительством Великого Национального собрания Турции и подписала с ним политический договор, не считаясь со своими союзниками по войне. Объяснялось это прежде всего особой заинтересованностью французских монополистов в турецких делах. Французский капитал занимал доминирующее положение в экономике Османской империи. На долю Франции приходилось 60,31% Оттоманского долга, между тем у Англии было всего 14,19%¹.

В руках французских капиталистов находилась табачная монополия, ряд важнейших концессий на постройку железных дорог: Дамаск — Хама (638 км), Яффа — Иерусалим (87 км), Муданья — Бруса (41 км), Измир — Касаба (701 км), Салоники — Константинополь (510 км) и др., а также концессии на эксплуатацию шахт, портов и т. д.² Видное место занимала Франция и в сфере культурного влияния. К 1914 году общее число французских школ на территории Османской империи доходило до 500, в которых обучалось 59414 учеников³. Свое влияние Франция распространяла и через благотворительные заведения — приюты, больницы, пансионаты, диспансеры, дома для престарелых и пр., широко распространенных в Константинополе и почти во всех крупных городах Анатолии.

Религиозный фактор также играл определенную роль. Французские правящие круги неоднократно заявляли, что

¹ «L'Asie française» № 175, février — juillet 1919, p. 180.

² См. «Французские интересы в Турции», «Новый Восток», 1923, № 3, стр. 475—476.

³ См. М у с т а ф а К е м а л ь, Путь новой Турции, т. I, Примечания, стр. 393.

Франция мусульманская держава, признавая, что их политика по отношению к Турции находит отклик в мусульманских колониальных владениях. «Франция мусульманское государство, и она должна вернуться к своей старой традиционной политике по отношению к Турции»⁴, — призывал премьер-министр А. Бриан с трибуны Национального собрания Франции. «Франция — великая мусульманская держава»⁵, — говорил президент Франции Р. Пуанкаре.

Поэтому французская дипломатия в указанные годы, несмотря на сильное противодействие Англии, предприняла ряд шагов, направленных к тому, чтобы проводить свою самостоятельную линию в турецком вопросе. Уже в конце 1919 года была сделана первая попытка втайне от Англии договориться с кемалистами. Именно с этой целью ездил в Сивас в начале декабря 1919 года французский верховный комиссар в Сирии и Киликии Жорж Пико. Следует отметить, что миссия Пико к Мустафе Кемалю очень слабо освещена в советской исторической литературе, между тем, опубликованные в послевоенные годы документы, а также воспоминания политических и военных деятелей Турции проливают свет на ряд сторон вопроса установления франко-кемалистских дипломатических контактов и иных связей в 1919—1920 гг.

Итак, в начале декабря 1919 года Жорж Пико, в сопровождении двух офицеров, направляется из Бейрута в Сивас, где в то время находился Представительный комитет, созданный недавно во главе с Мустафой Кемаль-пашой.

Одной из целей поездки Жоржа Пико в Сивас было «именно через лидера националистов Мустафу Кемалья получить точные сведения об их намерениях в отношении Киликии, Малой Армении и Курдистана»⁶.

Визит французского дипломата Кемалю вызвал большой шум в европейской прессе. Английские газеты обвинили «союзницу Францию» в вероломных сепаратных шагах, французская же пресса сделала предметом обсуждения вопрос — поехал в Сивас Жорж Пико по собственной инициативе или же по поручению французского министерства иностранных дел. На этот вопрос противоречивые и взаимоисключающие

⁴ A. Mandelstam, L'Société des Nations et les Puissances devant le problème arménien, Paris, 1926, p. 195. см. также «L'Asie française» № 195, p. — 380—384.

⁵ Jules Laroche, Au Quai d'Orsay avec Briand et Poincaré 1913—1926, Paris, 1957, p. 160.

⁶ R. de Gontaut-Biron, Comment la France s'est installée en Syrie (1918—1919), Paris, 1923, p. 333.

ответы дают также французские историки и бывшие военные деятели. Так, Мишель Пайарес считает, что поездка Жоржа Пико в Сивас не была согласована с Кэ д'Орсе, ибо французский верховный комиссар в Константинополе Дефранс не одобрял этого шага, рассматривая это как предприятие «могущее дискредитировать французов в глазах султана, а также не понравиться англичанам, которые заявили, что признают только императорское (султана — Р. С.) правительство»⁷.

По сути дела такое же мнение высказывает и полковник Бремон, подчеркивая то обстоятельство, что встреча Пико с Кемалем «не нашла одобрения ни в Бейруте ни в Константинополе»⁸.

Французский историк Жан Пишон дает приблизительно такую же оценку: «Господин Франсуа Жорж Пико, которого в Бейруте заменил генерал Гуро, пожелал сделать попытку вести переговоры с кемалистами. Он отправился в Сивас и там 5 и 6 декабря имел встречи с Мустафой Кемалем» (подчеркнуто мною — Р. С.)⁹.

Однако автор фактически опровергает свою же оценку, считая переговоры Пико «ответом на секретное соглашение от 12 сентября, заключенное англичанами с законным Константинопольским правительством, и на те беседы, которые имел американский генерал Харборд с Мустафой Кемалем в Сивасе 20 сентября»¹⁰. В таком случае, понятно, что Жорж Пико не мог действовать совершенно самостоятельно, не согласовав своих шагов с правительством, так же как не являлись результатом личной инициативы упомянутые выше переговоры Харборда и переговоры английского генерала Алленби с султанским правительством.

Из французских авторов Гонто-Бирон Сивасские переговоры Жоржа Пико связывает с личной инициативой последнего, с той лишь разницей, что он несколько иначе трактует цели, преследуемые им. Он пишет, что Жорж Пико имел намерение добиться того, чтобы французское правительство узнало о планах кемалистов, а также заключить «соглашение, которое положило бы конец волнениям в Сирии»¹¹.

⁷ M. Poullarès, *Le Kemalisme devant les illiés*. Paris, 1922, p. 108—109.

⁸ T. Brémont, *La Cilicie en 1919—1920*. Paris, 1921, p. 36.

⁹ J. Pichon, *Le partage du Proche-Orient*, Paris, 1938, p. 203.

¹⁰ Там же.

¹¹ R. de Gontaut-Biron, *op. cit.*, p. 333.

Из английских авторов к этому вопросу возвращается э недавно опубликованной объемистой монографии об Ата-турке лорд Кинросс, который в отличие от французских ав-торов выделяет то обстоятельство, что Жорж Пико явился Кемалю как «представитель французского правительства» и что последний «принял его именно как такового» и они об-стоятельно обсудили свое совместное желание вернуться к франко-турецкой дружбе¹².

Более подробно о причинах поездки Жоржа Пико в Сив-ас и его встреч с Мустафой Кемалем пишет известный тур-ецкий политический и военный деятель Али Фуад Джебе-сой в своих воспоминаниях о национально-освободительной борьбе.

Приведенные последним автором факты, свидетельству-ют о том, что Мустафа Кемаль и близкие к нему деятели заранее были осведомлены о поездке Пико в Сивас. Нахо-дящийся в то время в Кайсери Али Фуад-паша получил из Сиваса (Представительного комитета) телеграмму, в которой говорилось, что французский представитель в Сирии Жорж Пико через Бекира Самии-бея¹³ изъявил желание установить контакт с Представительным комитетом и удостоверившись, что его охотно встретят в Сивасе, на автомашине отправля-ется в Сивас. «Просьба, говорилось в этой телеграмме, об-легчить его путешествие и при возможности узнать о цели его поездки и сообщить об этом Представительному совету до его приезда»¹⁴.

6 декабря 1919 года Пико прибывает в Кайсери и сразу же встречается и имеет откровенные беседы с Али Фуад-пашой. Пико заявляет последнему, что скоро во Франции произойдет смена кабинета, в результате которого премьер-министром станет Аристид Бриан и что «все изменится». Далее он продолжает: «Как политика г. Бриана, так и поли-тика французской нации заключается в том, чтобы создать возможность для того, чтобы на Среднем Востоке, в части, где имеется турецкое большинство, возникло бы сильное и независимое турецкое государство»¹⁵. Далее французский

¹² Lord Kinross, *Statürk, The Rebirth of a Nation*. London, 1965, p. 203.

ირანში მისიონერული საქმიანობის გაფურობების პერიოდში (XIX ს-ის 70—80-იანი წლები — XX ს-ის დასაწყისი) ჩვენი აზრით გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში მოხდა გარკვეული ძვრები. ახასიათებდა რა აღნიშნულ ეპოქას ვ. ი. ლენინი წერდა, რომ იგი არის „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის, კერძოდ ბურჟუაზიულ-ნაციონალური მოძრაობის ეპოქა, დრომოკმული ფეოდალურ-აბსოლუტიზტური დაწესებულებათა სწრაფი მსხვრევის ეპოქა“³⁰. ახალ ადგილს იკავებს მუსლიმური რელიგიაც (წმიდში). ევროპული კაპიტალის შეჭრას და თვით ირანში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვასა და განვითარებას თან მოჰყვა ისლამში მრავალი მიმდინარეობისა და მიმართულების აღმოცენება, რომელშიც ცდილობდნენ შეგუებოდნენ ახალ სოციალ-ეკონომიურ პირობებს. ირყევა რელიგიის საფუძვლები, სუსტდება მათი პოზიცია. გასული საუკუნის 40-იან წლებში კ. ბოდე აღნიშნავდა მუსლიმურ რელიგიაზე

²⁸ ციტ. ვ. ი. ლენინი, ჩინეთის ომი, ტ. IV, გვ. 458.

²⁹ Н. И. Кондрад, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

³⁰ ვ. ი. ლენინი, სხვისი დროშით, ტ. 21, გვ. 166.

საერო ხელისუფლების გავლენის გაძლიერების ფაქტს³¹; ხოლო ლევ ტოლსტოის ახლო ნაცნობი ი. კ. დიტერიხსი, რომელიც მუშაობდა ენზელი-თეირანის რკინიგზის მშენებლობაზე, 1890 წლის 21 ივნისს სწერდა ლ. ტოლსტოის რეშთიდან: „რამდენადაც ძლიერი არ უნდა იყოს სამღვდელთების გავლენა, მაინც იგრძნობა, რომ ბნელი ხალხის შეგეცნებაში იკრება სხვაგვარი რწმენა და შეხედულება-ნი“³².

მეორე მხრივ მუსლიმური რელიგიის ზოგიერთი წარმომადგენელი ცდილობდა ყურანის დოგმატიკის მოდერნიზაციას იმ შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც წელი ტემპით, მაგრამ მაინც მიმდინარეობს ირანის საზოგადოებაში. ყველაზე უფრო მეტად აღნიშნული ტენდენციები გამოჩნდა ბეჰაისტურ მოძრაობაში.

მისიონერთა საქმიანობის ცენტრები ქალაქები იყო. ამის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ ქალაქებში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობანი. „მე-19 ს-ში მნიშვნელოვნად შეიცვალა აღმოსავლური ქალაქის შუასაუკუნეობრივი ტიპი, მაგრამ კოლონიური ბატონობა, აბრკოლებდა და აფერხებდა აღმოსავლურ ქალაქის სწრაფ თვისობრივ განვითარებას“³³. პროფ. ვ. გაბაშვილის აზრით: „აღმოსავლეთში ფეოდალური ქალაქის ბურჟუაზიულ ქალაქებში გადაზრდის პროცესი მხოლოდ XIX—XX სს. მიჯნაზე იწყება“³⁴.

სწორედ ამ პერიოდში ჰპოვა ირანში უცხოეთის სახელმწიფოების სასკოლო-მისიონერულმა და საგანმანათლებლო პოლიტიკამ დიდი განვითარება. XIX ს-ის ბოლოსათვის ირანის მთელ რიგ ქალაქებში იყო ბევრი ინგლისური, ამერიკული, ფრანგული, რუსული რელიგიური მისიების სკოლები და სასწავლო საგანმანათლებლო ცენტრები. მათ შორის თავისი მნიშვნელობით აღსანიშნავია 1906 წ. გახსნილი თავრიზის რუსულ-სპარსული სასწავლებელი და თეირანის რუსული პროგიმნაზია.

თუ მოღვაწეობის პირველ პერიოდში მისიონერები საქმიანობდნენ ძირითადად ცენტრალური ირანში, ვინაიდან აქ ბევრი იყო

³¹ Барон К. Л. Бодэ, Путешествие в Луристан и Арабиستان, стр. 131.

³² А. И. Шнфман, Лев Толстой и Иран, Москва, 1971, стр. 347.

³³ ვ. ლ. გაბაშვილი, შუასაუკუნეების ახლო აღმოსავლური ქალაქი (პერიოდიზაციის ცდა). იხ. „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, ტ. 11, გვ. 57, თბილისი, 1970.

³⁴ იქვე, გვ. 6.

სომხური მოსახლეობა და ამავე დროს აქ იყო სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრი, მისიონერთა მოღვაწეობის მესამე პერიოდში (ე. ი. XIX ს-ის 30-იანი წლებიდან) მათ თავიანთი საქმიანობის ცენტრები ჩრდილოეთ ირანის ტერიტორიაზე გადმოიტანეს, რასაც თავისი მიზეზები გააჩნდა.

ცნობილია, რომ თავის დროზე სეფიანების ბატონობის პერიოდში „სახელმწიფო ცენტრის ისუაჰანში გადასაცვლებამ შეამცირა სამხრეთ აზერბაიჯანის, როგორც ქვეყნის ცენტრალური ოლქის მნიშვნელობა“³⁵. XVIII ს. ბოლოს კი პოლიტიკურმა ცენტრმა ჩრდილოეთისაკენ გადმოინაცვლა (თეირანი), რაც ნაწილობრივ განპირობებული იყო ჩრდილოეთ ირანის რუსეთთან სიახლოვის გამო ერთგვარი ეკონომიური დაწინაურებით.

როგორც ირანში რელიგიური მისიების საქმიანობის მასალებიდან ჩანს, არამუსლიმ ეროვნულ უმცირესობებთან ერთად მისიონერულ სკოლებში მუსლიმური სარწმუნოების წარმომადგენლებიც სწავლობდნენ. ეს მომენტი განსაკუთრებით მკვეთრად შეიხაზუნება XIX ს-ის დასასრულისა და XX ს-ის დასაწყისიდან. ასე მაგალითად 1896—97 წწ. თეირანის ამერიკულ სკოლაში, რომელიც 1887 წ. დააარსა ს. უორდმა, 134 მოსწავლიდან ანხევარი იყო მუსლიმი, ხოლო თეირანის ქალთა ამერიკულ სკოლაში XIX ს-ის ბოლოს 95 მოსწავლიდან მხოლოდ 24 იყო მუსლიმი, 1913 წლისათვის კი 345-დან 154³⁶. რეშთის რუსულ სკოლაში 1915 წ. სწავლობდა 30 მუსლიმი, 13 ქრისტიანი და 1 ებრაელი³⁷. 1914 წ. თეირანის რუსულ პროგიმნაზიაში 146 მოსწავლიდან 128 იყო მუსლიმი და 16 ქრისტიანი, რომელთაგან 125 იყო ირანის ქვეშევრდომი, 21 კი რუსეთისა³⁸. ახალ წარმოშობილ ბურჟუაზიულ ელემენტებს უკვე აღარ აკმაყოფილებდათ შუასაუკუნეობრივ ირანულ მექთებესა და მედრესეში მიღებული ცოდნა. და მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმური რელიგია სასტიკად უკრძალავდა ირანელ შიიტებს უცხოეთის მისიონერულ სკოლებში შესვლას, კომპრადორული ბურჟუაზიის, მოხელეების, ვაჭრებისა და არისტოკრატების წარმომადგენელთა რიცხვის ზრდა უცხოურ სკოლებში გრძელდება. მაგ., 1914 წ.

³⁵ И. П. Петрушевский, Очерки, стр. 82.

³⁶ (შემდეგში: ჯ. ელდენი. სიასათე ემრიქა.) ۴۷، ۴۱ ص ایران تهران
الدرجان تاريخ ميسين امریطا در

³⁷ საქ. სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 422, № 18664 ფ. 8.

³⁸ АВПР, Ф. «Персидский стола», «Б», д. 521. л. 106.

თეირანის რუსულ პროგიმნაზიაში 146 მოსწავლიდან 59 იყო მემამულეთა და მოხელეთა, 32 ვაჭრების, 11 კი რელიგიის წარმომადგენელთა შვილები³⁹. თეირანში რუსეთის იმპერატორის დესპანს 1906 წ. თავრიზის გენერალური საკონსულოდან სწერდნენ, რომ რუსეთთან მეზობლობის გამო რუსული სასწავლებლების არსებობის აუცილებლობა ჯეროვნადაა შეფასებული თავრიზის საცქრო კლასის მიერ.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვისა და განვითარების პროცესი ჩრდილოეთ ირანში სამხრეთის პროვინციებთან შედარებით უფრო შესამჩნევი იყო. „გაცილებით განვითარებული ჩრდილოეთ ირანის ოლქების ფართო და მუდმივად მზარდი ეკონომიური კავშირი ამიერკავკასიასთან, შუა აზიასთან და რუსეთის იმპერიის სხვა უმნიშვნელოვანეს რაიონებთან, საგრძნობლად უწყობდა ხელს ჩრდილოეთ ირანის ქალაქების უფრო სწრაფ ზრდას“⁴⁰. ამდენად, სოციალ-ეკონომიური თვალსაზრისით ირანის ამ ნაწილში მისიონერთა საქმიანობისათვის ნიადაგი შედარებით მომზადებული აღმოჩნდა. გარდა ამისა მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა, რომელზედაც გადიოდა სავაჭრო-სატრანზიტო გზები ევროპას, რუსეთსა და აზიას შორის, ზრდიდა უცხოეთის სახელმწიფოების დაინტერესებას ჩრდილოეთი ირანით. ყურადსაღებია ჩრდილოეთ ირანის სტრატეგიული მნიშვნელობაც. როგორც ცნობილია, მისიონერები არ იზღუდებოდნენ მხოლოდ რელიგიური საქმიანობით. ისინი აგროვებდნენ პოლიტიკურ, ეკონომიურ და სხვა ხასიათის ცნობებს, აწარმოებდნენ დაკვირვებებს, როგორც თვით ირანზე, ისე მის მეზობელ ქვეყნებზე. ამ მხრივ კი ჩრდილოეთ ირანს მისი რუსეთთან უშუალო მოსაზღვრეობის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

თუ ირანში მისიონერთა მოღვაწეობის პირველ-მეორე პერიოდისათვის დამახასიათებელია ძირითადად მხოლოდ კათოლიკური ეკლესიის მსახურთა საქმიანობა, მე-3 პერიოდში ფართო ხასიათის საქმიანობას ეწევა აგრეთვე ინგლისური ბაპტიტური, ფრანგული კათოლიკური, რუსული მართლმადიდებლური, ამერიკული პრესვიტერიანული და სხვა ეკლესიები.

³⁹ АВПР. Ф. „Персидский стол“. „Б“, д. 521. л. 106.

⁴⁰ З. З. Абдулаев. Формирование рабочего класса Ирана, Баку, 1968, стр. 11.

XIX ს-იდან ევროპის განვითარებული კაპიტალისტურ სახელმწიფოებს აზიაში უჩნდებათ ახალი მძლავრი კონკურენტი აშშ-ის სახით. ამერიკელებმა მოხერხებულად ისარგებლეს რა აღმოსავლეთის საკითხში ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობებით, დაიწყეს მშვიდობიანი გზით მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში თავიანთი პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური გავლენის გაძლიერების პოლიტიკის გატარება. ამერიკული კაპიტალი დიდი ხალისით იყენებს ამერიკელ მისიონერებს მზვერავებად, ამერიკული ცივილიზაციის პროპაგანდისტებად. ირანში მისიონერთა მოღვაწეობის მესამე პერიოდში თავდაპირველად სწორედ ამერიკული რელიგიური მისიები იწყებენ აქტიურ საქმიანობას. ისინი იყენენ აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებსა და აშშ-ს შორის ოფიციალური დიპლომატიური კავშირის დამყარების წინამორბედნი⁴¹. 1890 წლისათვის ირანში ამერიკულ სკოლებსა და საგანმანათლებლო ცენტრში სწავლობდა 2665 მოსწავლე⁴². ამერიკელი რე-

⁴¹ მაგ. ამერიკელი მისიონერები კონსტანტინოპოლში გამოჩნდნენ XIX ს-ის 20-იან წლებში, იმ დროს როდესაც დიპლომატიური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის დამყარდა 1831 წ. პირველი ამერიკელი მისიონერები (ტ. დუაიტი და ე. სმიტი), გამოგზავნილი ბოსტონში 1810 წ. დაარსებული მისიის საქმეთა ამერიკული საბტოს მიერ, 1832 წ. ჩავიდნენ ირანში, პირველი ამერიკელი ელჩი გ. ბენჯამინი კი თეირანში ჩამოვიდა მხოლოდ 1882 წ. (იხ. მ. ქიანფარი. დასახ. ნაშრომი, გვ. 46) (1834 წ.) რელიგიურ ურმიოში ჩამოვიდა ამერიკელი მისია ი. პერკინსის მეთაურობით, ხოლო უკვე 1836 წ. მისივე ინიციატივით იხსნება ურმიოში პირველი ამერიკული მისიონერული სკოლა.

ე. დოროშენკო თავის გამოკვლევაში „განათლების სისტემა ირანში“, წერს, რომ ე. სმიტი და ტ. დუაიტი თითქოს ირანში ჩამოსულან 1834 წელს, ხოლო ი. პერკინსი კი 1848 წელს და იმავე წელს სკოლა გაუხსნია (E. A. Дорошенко, Система просвещения в Иране, Москва, 1959, стр. 14.) აქ რომ უზუსტობასთან ვვაქვს ადგილი ამას თვით ი. პერკინსიც მოწმობს. (იხ. S. Perkins A residence of eighth years in Persia. New-Lork, 1843) გარდა ამისა საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული მასალები ცხადყოფენ, რომ ი. პერკინსი კონსტანტინოპოლიდან თავრიზში ჩავიდა 1834 წლის სექტემბრის დასაწყისში (სხვათა შორის მას განზრახული ჰქონია ირანში ჩასულიყო თბილისის გავლით, მისი პასპორტიც ამას მოწმობს, მაგრამ შემდეგ გადაუფიქრია და მარშრუტიც შეუცვლია. (იხ. საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 11, საქმე 316. ფ. 1, 14—16) პ. კავერაუს (P. Kawerau) მოაქვს საკმაოდ დამაჯერებელი ფაქტები და საბუთები ე. სმიტისა და ტ. დუაიტის მახლობელ აღმოსავლეთისა და კავკასიაში მოგზაურობის მარშრუტისა და თარიღის შესახებ. (იხ. P. Kawerau. America und die orientalischen Kirchen. Berlin, 1958).

⁴² რ. ა რ ა ს თ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 122.

ლიგოური მისიების საქმიანობის ცენტრი იყო ურმიის პროვინცია. ისინი ყოველწლიურად იღებდნენ აშშ-დან დახმარებას 200 000 მანეთის ოდენობით⁴³.

რელიგიური მისიების საქმიანობა ირანში იყო განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოების კოლონიური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, ამიტომ ირანელი ხალხის ბრძოლა უცხოეთის სახელმწიფოების რელიგიური მისიების წინააღმდეგ ამავე დროს წარმოადგენდა მათ ბრძოლას კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

Э. С. ЗЕНАИШВИЛИ

К ВОПРОСУ О ПЕРИОДИЗАЦИИ ДЕЯТЕЛЬНОСТИ МИССИОНЕРОВ В ИРАНЕ

С начала XVII века в Иране создаются благоприятные условия для широкой деятельности иностранных религиозных миссий.

Но с конца XVII века в Иране усиливается междуусобная борьба, в стране воцаряется анархия, в результате несмотря на рост заинтересованности Западной Европой странами Востока, в частности Ираном, в деятельности миссионеров наблюдается спад. Этот второй период продолжается до 30-х годов XIX века.

Третий период начинается с 30-ых годов XIX века, когда миссионерская деятельность в Иране получила особо широкое распространение. Экономическое и политическое наступление капиталистических стран на Иран сопровождалось активизацией различных филантропических и религиозно-миссионерских обществ. Деятельность миссионеров способствовала укреплению политического и культурного влияния капиталистических стран в Иране.

⁴³ АВПР, Ф. «Персидский стол», д. 519, л. 6.

ო. ზიზინივილი

ალა-მაჰმად-ხანი და ოსმალეთი

ოსმალეთის საგარეო პოლიტიკის წინაშე კონსტანტინეპოლისა და არაბული ქვეყნების დაპყრობის შემდეგ ძირითადად სამი პრობლემა იდგა და მისი ექსპანსიის სამი მიმართულება არსებობდა: 1. დასავლეთის მიმართულება — ძირითადი პრობლემა ავსტრია (რომის საღვთო იმპერია), 2. ჩრდილოეთის მიმართულება — ძირითადი პრობლემა რუსეთი და 3. აღმოსავლეთის მიმართულება — ძირითადი პრობლემა ირანი.

სამხედრო-ფეოდალურ სისტემაზე დაფუძნებული ოსმალეთის სახელმწიფოსათვის ომები მეურნეობის ძირითად დარგს წარმოადგენდა, ომის ნადავლი სახელმწიფო შემოსავლის ძირითად წყაროს. ამიტომ ოსმალეთის ექსპანსია მიმართული იყო იქითკენ, სადაც მას მეტი ნადავლი მოელოდა.

თურქებს ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდათ, რომ მათი მთავარი მიზანი ეს იყო „წითელი ვაშლის“ ანუ რომის ხელში ჩაგდება¹, რაც რომის საღვთო იმპერიის და მასთან ერთად ქრისტიანულ სამყაროში ფაღიშაპების მთავარი კონკურენტების და ევროპის გამაერთიანებელი ძალის — იმპერატორების დასასრული იქნებოდა. მაგრამ ცხადია აქ მთავარი თავმოყვარეობის დაკმაყოფილების საკითხი არ იყო. მთავარი მდგომარეობდა იმაში, რომ ექსპანსია ევროპის მიმართულებით ოსმალეთის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, ვინაიდან ნადავლის თვალსაზრისით ევროპა ყველაზე უფრო მეტს მოუტანდა ოსმალეთის იმპერიას. 1683 წელს თურქების ვენასთან დამარცხების შემ-

¹ „წითელ ვაშლს“ უწოდებდნენ თურქები რომს წმინდა პეტრეს ტაძრის მოქრული გუმბათის მოწითალო ელვარების გამო. შემდგომში „წითელმა ვაშლმა“, როგორც თურქების მიზანმა სხვა შინაარსი მიიღო. ის გახდა თურქების მიმდევართათვის თურქთა ერთგული მიზნის, ანუ თურქთა ერთიანი სახელმწიფოს შექმნის სიმბოლო.

დგე, როდესაც თურქებმა ევროპიდან უკანდახვეა დაიწყეს, ოსმალეთის საერთაშორისო მდგომარეობა მკვეთრად ვართულდა, არა მარტო ევროპაში არამედ აზიაშიც და აფრიკაშიც. ვენასთან დამარცხება თურქეთის ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია თურქეთის ისტორიის შემობრუნების წერტილად, მაგრამ თუ საბოლოო შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, ოსმალეთისათვის არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მის მარცხს ასტრახანზე ლაშქრობისას 1569 წ. უკუქცევა ვენის კედლებიდან ოსმალეთის „ევროპული პოლიტიკის“ მარცხის დასაწყისი იყო, ოსმალეთის ლაშქრის მარცხი ასტრახანთან მისი „ჩრდილოეთის პოლიტიკის“ მარცხს მოასწავებდა. ასტრახანის ლაშქრობას ოსმალეთისათვის ერთსა და იმავე დროს, როგორც ჩრდილოეთის, ასევე აღმოსავლეთის პრობლემა უნდა გადაეწყვიტა. ოსმალეთს ამ ლაშქრობით სურდა რუსეთის წინსვლის შეჩერება კავკასია-შავი ზღვის მიმართულებით და ვოლგისპირა თათრული სამთავროების ყაზანისა და ასტრახანის აღდგენა და ხელში ჩაგდება, ამავე დროს ბუხარა-სამარყანდისაკენ მიმავალი გზის უშიშროების უზრუნველყოფა. ოსმალეთსა და ბუხარა-სამარყანდს შორის შიითური ირანი იყო გადახერგილი და ოსმალეთს მათზე ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი. სიშორისა და ეკონომიური ინტერესების სისუსტის გამო ოსმალეთს არც მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა შუა აზიის სახანოებთან. ძირითადი ურთიერთობა ოსმალეთსა და შუა აზიის სახანოებს შორის გამოიხატებოდა შუა აზიიდან მექასა და მედინაში მიმავალი მლოცველების სტამბოლში ეპიზოდური ჩასვლით. მათ იქ ხშირად ელჩის პატივით იღებდნენ უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელეები. ოსმალეთი ყოველთვის დიდის ყურადღებით ეკიდებოდა ყველაფერს, რაც კი შუა აზიას შეეხებოდა, თვლიდა რა კასპიის გაღმა მხარეს თავისად. თურქეთში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ადრე თუ გვიან შუა აზია ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იგახდებოდა. ოსმალეთში ყოველთვის ოცნებობდნენ, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ოსმალებს ირანელებთან ომი გაუჭირდებოდათ, შუა აზიის ხალხების თავის სასარგებლოდ გამოყენებაზე. ეს მართლაც ძალიან მაცდუნებელი გეგმა იყო: შიითური ირანის, ოსმალეთის დაუძინებელი მტრის პრობლემის გადაწყვეტა მასზე ორი მხრიდან შეტევით. თუ კი ოსმალეები ხელში ჩაიგდებდნენ ასტრახანს, ისინი არა მარტო შეაკავებდნენ რუსეთს ოსმალეთის ტერიტორიის შორეულ მისადგომებზე, არამედ გაიადვილებდნენ კიდევ ბრძოლას ირანთან. რამდენადაც ოსმალეთსა და შუა აზიას შორის გადახერგილი იყო ირანი, ოსმალეები

ბუხარასა და სამარყანდს ჩრდილოეთ კავკასიის საშუალებით უკავშირდებოდნენ. ამ კავშირს თურქეთი ყაბარდოელებისა და შამხალელების საშუალებით ანხორციელებდა, რომლებსაც „მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ერთის მხრივ თურქებთან და ყირიმის ხანთან და ნეორეს მხრით ყაზანისა და ასტრახანის სახანოებთან; ამრიგად ყაბარდოელები და შამხალელები არსებით რგოლს და ცოცხალ კავშირს წარმოადგენდნენ დასავლეთის მუსლიმანებს — თურქეთსა და ყირიმსა და აღმოსავლეთის თათრულ სამეფოებთან ვოლგასა და შუა აზიაში². ისევე, როგორც ევროპაში, აზიაშიც თურქების მოქმედებისათვის გადამწყვეტი ეკონომიური მოტივი იყო. მას ემორჩილებოდა ყველაფერი, მასზე იგებოდა პოლიტიკაც და სამხედრო სტრატეგიაც. მასვე ემორჩილებოდა ოსმალებისათვის ყოველთვის ესოდენ მწვავე მუსლიმანურ-რელიგიური საკითხიც. ცხადია, მთავარი, რაც ამოძრავებდა ოსმალეთს შუა აზიისაკენ გზის ძებნაში, ეს იყო მომავალში მდიდარი ადგილების შემოერთების შესაძლებლობა. ასტრახანსაც თურქეთისათვის არა მარტო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ქალაქთან დაკავშირებული იყო ოსმალეთის მეტად მნიშვნელოვანი გეგმები. ასტრახანი ოსმალეთს აინტერესებდა, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების მდიდარი კვანძი ქალაქი, რომლის საბაჟოები ყოველდღიურად ათას ოქროს შემოსავალს იძლეოდა³. ასეთი მდიდარი სავაჭრო ცენტრები და სავაჭრო გზები ყოველთვის ანდამატივით იზიდავდა ოსმალეთს. ასე იზიდავდა, მაგალითად, თავის დროზე თურქებს ტრაპიზონი და შავი ზღვის სანაპიროები. ისინი არასდროს არ გასცდებოდნენ იმ ხაზს, რომლის იქით წინსვლა ეკონომიურად ხელსაყრელი არ იყო, თუმცა სამხედრო ძლიერება და მოპოვებული გამარჯვებები ხშირად აძლევდა მას საშუალებას წასულიყვნენ ბევრად უფრო წინ და ჩაეგდოთ ხელში ბევრად უფრო ვრცელი ტერიტორიები. ამავე პირობებმა განაპირობეს ოსმალების დაპყრობათა ზღუდეები კავკასიაში და კერძოდ საქართველოში. ძირითადად ეკონომიური მოსახრებებით წყდებოდა საკითხი, გავრცელებულიყო დაპყრობილ ტერიტორიებზე ოსმალური მიწათმფლობელობის წესი ე. ი. უშუალოდ შესულიყო დაპყრობილი ტერიტორია ოსმალეთის სახელმწიფოს შე-

² А. А. Цагарели, Сношения России с Кавказом в XVI—XVIII столетиях, СПб., 1891, гл. 3.

³ Akdeş Nimet Kurat. Türkiye ve İdil Boyu. Ankara, 1966, гл. 65.

მადგენლობაში, თუ გავრცელებულიყო მასზე ცენტრალური ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების რაიმე სხვა ფორმა.

ასტრახანის ლაშქრობის მარცხისა და ამ ქალაქის რუსეთის შემადგენლობაში დამკვიდრების შემდეგ იცვლებოდა ოსმალეთის მთელი საგარეო პოლიტიკური სტრატეგია აღმოსავლეთში. სელიმ I მიერ შექმნილი ოსმალეთის „აღმოსავლური პოლიტიკა“ უნდა შეცვლილიყო სრულიად ახალით, რომელიც გაითვალისწინებდა, რომ ამიერიდან თურქეთის კომუნიკაციებს შუა აზიისაკენ რუსეთი უწევდა კონტროლს და რომ რუსეთს ეხსნებოდა ფართო გზა სამხრეთისაკენ, არა მარტო შავი ზღვის, არამედ, რაც ამ შემთხვევაში მთავარი იყო, კასპიის ზღვის მიმართულებითაც. ამ გზით რუსეთი უახლოვდებოდა ირანს. რა შედეგს მოგვცემდა ამ ორი სახელმწიფოს შეხვედრა, ეს ოსმალეთში ჯერ არ შეიძლება, რომ სცოდნოდეთ, მაგრამ სტამბოლში არც ისე ძნელი იყო მოფიქრათ, რომ შესაძლებელი იყო მხოლოდ ორი ძირითადი ვარიანტი: რუსეთი დაიპყრობდა ირანს. მაშინ რუსეთი ოსმალეთის აღმოსავლეთს საზღვარს მოაღებოდა, რუსეთი რაიმე ფორმით ირანის მოკავშირე გახდებოდა — ასეთ შემთხვევაშიც რუსეთი თურქეთის აღმოსავლეთ საზღვარზე აღმოჩნდებოდა. გამუდმებული შინაგანი არეულობა და შიდაფეოდალური ბრძოლა, რომელმაც ირანი მოიცვა, მხოლოდ უადვილებდა რუსეთს თავის ამოცანას და ამდენად ართულებდა ოსმალეთის მდგომარეობას. პეტრე I დრომდე რუსეთ ირანის შეხვედრა მიიწვევდა კიდევ მხოლოდ მომავლის პრობლემა შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ პეტრე I დროს მდგომარეობა იცვლება. განსაკუთრებით მას შემდეგ რაც პეტრე I დამარცხდა პრუტის ლაშქრობაში და იძულებული გახდა დაედვა ზავი თურქეთთან. თურქების სიხარული დიდ ხანს არ გავრძელებულა, უფრო სწორად მათ უფრო შეეშინდათ ვიდრე გაეხარდათ თავისი გამარჯვების. თურქებმა კარგად იცოდნენ, რომ რუსეთი არ შეურიგდებოდა პრუტის ზავის მძიმე პირობებს. ასეთი აზრის იყვნენ ოსმალეთის სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირები. ზუსტად ასეთივე დასკვნამდე მივიდა თათბირიც, რომელიც ამ საკითხზე მოიწვია სულთანმა აჰმედ III. დარწმუნებულმა, რომ პეტრე I შეეცდებოდა სამაგიეროს გადახდას, ლიკანმა მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის წინააღმდეგ ახალი ლაშქრობის მომზადების დაწყების შესახებ⁴. თურქებმა შესაძლებლად მიიჩნიეს აგრეთვე, რომ, რუსები შეეც-

⁴ Mufassal Osmanlı Tarihi, p. V, Istanbul, 1962, გვ. 2448.

დებოდნენ კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ირანისაკენ წინწაწევას და ოსმალეთის აღმოსავლეთის მხრიდან შემოვლას⁵.

თურქების შიში, რომ რუსეთი პრუტის ზავის დადების შემდეგ გააძლიერებდა დაწოლას კასპიის ზღვის მიმართულლებით, საფუძველს მოკლებული არ იყო. პრუტის ზავის დადების შემდეგ რუსეთის მთავარი ყურადღება მართლაც, მიმართული იყო კასპიის ზღვისადმი. მას სურდა ამიერკავკასიის ხალხებთან, ირანთან, შუა აზიასთან და ინდოეთთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერება⁶, რასაც ცხადია პოლიტიკური და სამხედრო აქციებიც მოჰყვებოდა. დაწყებულმა ომმა ვენეციასთან (1714 წ.), ხოლო შემდეგ ვენეციის მოკავშირე ავსტრიასთან (1716 წ.) არ მისცა თურქეთს საშუალება რაიმე მოემოქმედნა ირანის მიმართულლებით, მაგრამ შიში თურქეთში არ დამცხრალა, მითუმეტეს, რომ მან კარგად იცოდა რუსეთის აქტივობის შესახებ ჩრდილოეთ-კავკასიაში. როგორც კი იქნა დადებული პასაროვაცის ზავი (1718 წ.) თურქებმა თავისი ყურადღება დაუყოვნებლივ ირანზე გადაიტანეს, რის შედეგად ირანისა და თურქეთის პოლიტიკურმა და სავაჭრო ურთიერთობებმა გამოცოცხლება დაიწყო⁷. ჩრდილოეთ კავკასიისა და კასპიის ზღვის მიმართულლებით მომხდარი ცვლილებების შედეგად ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეებს თვალნათლივ წარმოუდგათ ახალი საშიშროება, რომელიც მათ იმპერიას ემუქრებოდა, ეს იყო ორი ფრონტის საშიშროება. თუ აქამდე შიდა ფეოდალური შფოთით დასუსტებული და ეკონომიურად ჩამორჩენილი ირანი თურქეთისათვის არ წარმოადგენდა ისეთ დიდ პრობლემას, როგორც ევროპა, სხვადაც მას ავსტრია და რუსეთი ებრძოდნენ, ამიერიდან თურქეთს ბრძოლა მოუხდებოდა ერთნაირად ძნელ ორ ფრონტზე დასავლეთში ავსტრიასთან და რუსეთთან, აღმოსავლეთში ირანთან და რუსეთთან. ბრძოლა აღმოსავლეთში სუსტ ირანთანაც კი ოსმალეთს საკმაოდ უძნელდებოდა. გრძელი კომუნიკაციები, რომლებიც ანატოლიას სივრცეზე კვეთავდნენ, ართულებდნენ ოსმალეთის სტრატეგიულ მდგომარეობას. ორ ფრონტზე ბრძოლის პირობებში ოს-

⁵ M. Münir Aktepe, 1720—1724 Osmanlı İran munasebetleri ve Si:ihSor Kemanî Mustafa Ağanın Revân Fetih-Namesi. İstanbul. 1970, გვ. 2.

⁶ Н. А. Смирнов, Политика России на Кавказе в XVI—XIX веках, Москва, 1958, გვ. 65—66.

⁷ M. Münir Aktepe, დასახ. ნაშრომა, გვ. 2.

მალეთი, ცხადია, ვერ შესძლებდა აღმოსავლეთის ფრონტის ცოცხალი ძალითა და საომარი საქურვლით უზრუნველყოფას. ამის გარდა თურქეთის აღმოსავლეთის საზღვრებზე შუა საუკუნეებში აგებული ციხე-სიმაგრეები, განსაკუთრებით კი არზრუმ-საქართველოს მიმართულებით, არ იყო ვარგისი და ვერ გაუძლებდნენ რუსეთის არტილერიის ცეცხლს.

პეტრე I 1722 წლის ირანის ლაშქრობამ, რომელიც ამავე დროს ნიშნავდა რუსეთის კავკასიაზე ფართე შეტევას⁸, კიდევ უფრო გააძლიერა თურქეთის შიში თავისი აღმოსავლეთის საზღვრების მიმართ. მითუმეტეს უნდა გაძლიერებულიყო ეს შიში იმის გამო, რომ სწორედ ამიერკავკასიის მხრიდან ყველაზე უფრო სუსტად ჰქონდა გამაგრებული თავისი საზღვრები თურქეთს⁹. ამ ლაშქრობის დროს რუსეთი უშუალოდ შეეხო იმ ტერიტორიებს, რომლებსაც თურქეთი, მიუხედავად ირანთან დადებული ხელშეკრულებებისა, მაინც თავისად თვლიდა. ეს იყო საქართველო და აზერბაიჯანის სახანოები. ოსმალეთის ცენტრალური მთავრობა ფულდასმით ადევნებდა თვალყურს თუ რა ხდებოდა ირანში. განსაკუთრებით აინტერესებდა თურქეთს რუსეთ-ირანის და რუსეთ-ირან-საქართველოს ურთიერთობის ამბები. ირანთან და საქართველოსთან მონაპირე ვილაიეთების გამგებლები — ვალიები სათანადო ინფორმაციებს უგზავნიდნენ სტამბოლს¹⁰. საჭირო ცნობების შეგროვების მიზნით ოს-

⁸ Т. Д. Б о ц в а д з е, Народы Северного Кавказа во взаимоотношениях с Россией и Грузией, Тбилиси, 1974, стр. 47.

⁹ Архив внешней политики России. ф. Сношения России с Турцией д. 828, 1796 г. л. 4 об.

¹⁰ თურქეთს სელიმ III რეფორმებამდე არ გააჩნდა უცხოეთში მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლები. ამიტომ მას არ შეეძლო მიეღო მისთვის საინტერესო ინფორმაცია საკუთარი დიპლომატიური არხებით უშუალოდ უცხოეთის სახელმწიფოთა სატახტო ქალაქებიდან ოსმალეთმა უცხოეთის სახელმწიფოებიდან ინფორმაციის მიღების თავისებური სისტემა შექმნა. ინფორმაციის შეგროვება ევალებოდათ მონაპირე პროვინციის გამგებლებს. ასე მაგალითად ინფორმაციას ევროპის სახელმწიფოების შესახებ აგროვებდნენ მოლდავეთისა და ვლახეთის მთავრები. საქართველოს შესახებ ცენტრალურ მთავრობას ინფორმაციას აწვდიდნენ ჩილდირის (ახალციხის), არზრუმისა და ყარსის ვალიები და ა. შ. ინფორმაციის შეგროვების მიზნით მონაპირე პროვინციების გამგებლებს სათანადო აგენტურა ჰყავდათ უცხოეთის ქვეყნებში. ფართოდ იყო გამოყენებული აგრეთვე ცალკეული კონკრეტული დავალებებით მსტოვრების შეგზავნის პრაქტიკა.

¹¹ Ismail Hakki Danişmend. İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi. ტ. V. İstanbul, 1972, з. 13.

მაღლეთმა საეპოლად ბევრი მსტოვარი გაგზავნა ირანში¹¹. ამიტომ თურქეთი კარგად იყო ინფორმირებული თუ რა ხდებოდა ირანში. იმ ცნობების საფუძველზე, რაც ოსმალეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიიღო ირანში შეგზავნილი მსტოვრებიდან და ბალადის ვალიდან და მას შემდეგ რაც 1722 წლის აპრილში სტამბოლი დატოვა ირანის ელჩმა ყული-ხანმა, რომელმაც თურქეთში რამდენიმე თვე დაპყრო, დივანმა დიდი ვეზირის ნევეშპირელი დამად იბრაჰიმის ფაშას წარდგინებით 1722 წლის 15 მაისს მიიღო დადგენილება, რომ „ვინაიდან ავღანელი აჯანყებულები ოსმალეთის აღმოსავლეთის საზღვრებს ემუქრებიან, მიღებული იქნეს ზომები ამ საზღვრების უშიშროების უზრუნველსაყოფად და ამასთან დაკავშირებით ოსმალეთის აღმოსავლეთის საზღვრებზე მდებარე ერევანი, თავრიზი, განჯა და თბილისი და ზოგიერთი მათი მსგავსი ქალაქი და ციხე, რომლებიც წინათ ოსმალეთის გამგებლობაში იყვნენ, ხოლო შემდეგ ირანს გადაეცა, კვლავ ოსმალეთის საზღვრებში უნდა შემოვიდნენ“¹². ამავე დროს დიდმა ვეზირმა დამად იბრაჰიმ ფაშამ გამოაცხადა, რომ ირანში სეფიანთა დინასტიის დაცემის გამო, 1639 წელს ამ დინასტიასთან დადებული ხელშეკრულებები ძალას კარგავს¹³. მართალია ეს ჯერ კიდევ არ იყო ომის ოფიციალური გამოცხადება, მაგრამ მას აშკარად მოასწავებდა. გარეგნულად რუსეთი აქ არაფერ შუაში იყო, ლაპარაკი იყო მხოლოდ და მხოლოდ ირანში მომხდარ არეულობაზე და ავღანელთა აჯანყებაზე, მაგრამ ოსმალეთის აღმოსავლეთის პროვინციების უშიშროების უზრუნველყოფა მაინც რუსეთთან იყო დაკავშირებული. სანამდე რუსეთი არ ამოქმედდებოდა კავკასიის რაიონში, თურქეთი ირანის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყებიდან თავს იკავებდა¹⁴. საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტა არზრუმის ვალის სილაჰდარ იბრაჰიმის ფაშას მიერ ოსმალეთის ცენტრალური მთავრობისადმი მიწოდებულმა ცნობამ. იბრაჰიმ ფაშა ატყობინებდა სტამბოლს, რომ ვახტანგ მეექვსე განუდგა ირანელებს. გამოაცხადა დამოუკიდებლობა, მიიტანა იერიში მუსლიმან ლეკებზე და აპირებს შირვანისა და მისი მიდამოების საქართველოსათვის შემოერთებას¹⁵. ოსმალეთისათვის სრულიად გასაგები

¹² M. Münir Aktepe. დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

¹³ İsmail Hakkı Danışmend დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

¹⁴ M. Münir Aktepe. დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

¹⁵ Y. H. Uzunçarşılı Osmanlı Tarihi, ტ. IV. 69. I, Ankara, 1956, გვ. 177.

იყო თუ რა ძალას ეყრდნობოდა ამ შემთხვევაში ვახტანგ მეექვსე-
იმ ამბებთან შედარებით, რასაც იმ დროს ადგილი ჰქონდა ირანში,
საქართველოს ამბები ოსმალეთმა ბევრად უფრო მნიშვნელოვნად
მიიჩინა და გადაწყვიტა დაეწყო ლაშქრობა კავკასიის მიმართულე-
ბით. არზრუმის ვალი იბრაჰიმ ფაშა დაინიშნა თბილისის ფრონტის
სერასკერად. ის თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნდა ამიერიდან
აღმოსავლეთის მიმართულება ოსმალეთს, კარგად ჩანს იქიდან, რომ
ირანის მიმართულებით ამჯერად მან სამი ფრონტი შექმნა და სამი
სერასკერი დანიშნა. სამხრეთ კავკასიის (თბილისის) ფრონტის გარ-
და შეიქმნა აგრეთვე აზერბაიჯანის (თავრიზის) ფრონტი, რომლის
სერასკერად ვანის ვალი ქიოფრიულუ აბდულაჰ ფაშა დაინიშნა
და ერაცის ფრონტი ბაღდადის ვალის ჰასან ფაშას სარდლობით¹⁶.
ამრიგად ომის დაწყების მთავარი მიზეზი რუსეთი იყო და რუსეთ-
თან დაკავშირებული საქართველოს ამბები. სწორედ ამიტომ იყო,
რომ ომი ირანთან საქართველოზე ლაშქრობით დაიწყო, ჯერ კიდევ
მანამდე სანამ ომი ოფიციალურად იქნებოდა გამოცხადებული სო-
ციალურად ომი ოსმალეთმა მხოლოდ 1723 წლის აპრილში გამოა-
ცხადა.

იბრაჰიმ ფაშას ლაშქრობა საქართველო — კავკასიის მიმართუ-
ლებით რუსეთის საწინააღმდეგო კონტრლაშქრობას წარმოადგენდა
სწორედ ამით დაიწყო თურქეთ-რუსეთის უშუალო ბრძოლა ამიერ-
კავკასიისათვის. იბრაჰიმ ფაშას თბილისი უბრძოლველად დანებდა.
ასევე უბრძოლველად დანებდა მას გორიც. 1723 წლის 9 ივლისს
თურქეთის სულთანს აჰმედ III სტამბოლში მიართვეს იბრაჰიმ ფა-
შას მიერ გამოგზავნილი ქალაქების თბილისისა და გორის გასა-
ღებები. როდესაც ოსმალები თბილისისაკენ მოიწვედნენ რუსეთის
ჯარს გეზი ბაქოსაკენ ჰქონდა აღებული. იბრაჰიმმა უცნაური ინერ-
ტულობა გამოიჩინა და 132 დღე თბილისში უმოქმედოდ იყო გა-
ჩერებული. ამასობაში რუსებმა ბაქო აიღეს და განრისხებულმა
სულთანმა აჰმედ III იბრაჰიმი სერასკერის თანამდებობაზე დიარ-
ბაქოს ვალით არიფი აჰმედ ფაშათი შეცვალა¹⁷.

ამ ომიდან დაწყებული თურქეთ-ირანის ურთიერთობა ახალ
ფაზაში შედის. ირანის პრობლემა თურქეთისათვის ირან-რუსეთის
პრობლემად გადაიქცა.

კავკასიაში თურქეთისა და რუსეთის ჯარების ერთმანეთთან ტე-
რიტორიული დაახლოვება იწვევდა თურქეთ-რუსეთის ურთიერთ-

¹⁶ I. H. Donișmend, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

¹⁷ იქვე.

ბის სათანადო გამწვავებას. ოსმალებმა განჯას მიადწიეს, მათ დაიკავეს ნახჩევანი და მტკვრის მხარე¹⁸. ეს ვრცელი ტერიტორიები თურქებმა საკმაოდ ადვილად დაიპყრეს. მაგრამ მათ კარგად იცოდნენ, რომ შემდეგი წინსვლა რუსეთთან შეტაკებას გამოიწვევდა, რაც მათ კარგს არაფერს არ მოუტანდა. ამიტომ ოსმალებს ურჩევნოდა მიღწეულ ზღუდეებზე შეჩერება, მითუმეტეს, რომ ის რაც მან დაისახა მიზნად 1722 წლის 15 მაისის დივანის სხდომაზე თითქმის განხორციელებული იყო. საომარი მოქმედებების დასაწყისშივე რუსეთმაც და ოსმალებმაც კარგად იცოდნენ, რომ ისინი ერთმანეთის ძირითადი მოწინააღმდეგენი არიან, ხოლო ირანი მათთვის, როგორც მოწინააღმდეგე მთავარ ძალას არ წარმოადგენს. მაგრამ ომის დაწყება ერთმანეთთან შორეულ კავკასიაში, არც თურქეთს და არც რუსეთს არ სურდა. ამიტომ ჯერ კიდევ 1722 წელს სტამბოლში დაიწყო ოსმალებ-რუსეთის დიპლომატიური მოლაპარაკება. შუამავლად მათ შორის საფრანგეთის ელჩი მარკიზი დე ბონაკი იყო. ევროპის ქვეყნების ელჩები და დესპანები სტამბოლში ყოველთვის ცდილობდნენ ვამოსულიყვნენ შუამავლების როლში რუსეთ-თურქეთის კონფლიქტების დროს და ამ შუამავლობის საფასურად მიეღოთ ახალი დამოთბები ოსმალებითან.

რუსეთისა და თურქეთის ირანის ლაშქრობები ისევე თავისებურად დამთავრდა, როგორც დაიწყო. 1724 წლის 24 ივნისს დაიდვა ხელშეკრულება რუსეთსა და თურქეთს შორის. ეს ხელშეკრულება თურქეთის ისტორიოგრაფიაში ცნობილია როგორც „დაწაწილების ხელშეკრულება“¹⁹. და ის მრავალი მხრით არის საინტერესო. აქ მთავარია არა მარტო ის, რომ თურქეთისათვის ამიერიდან ირანის მიმართულება იგივე რუსეთის მიმართულებაა, ხოლო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის საკითხი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში წარმოგვიდგება, როგორც ირანის პრობლემის ნაწილი. ყურადღებას იქცევს სხვა გარემოებაც: ირანსა და კავკასიაში თურქეთმა რუსეთს ტერიტორიების განაწილების პოლიტიკა შესთავაზა. თუ გადავხედავთ ოსმალების შემდგომი პერიოდის ისტორიას დავინახავთ, რომ ოსმალები გამუდმებით ცდილობს რუსეთი

¹⁸ M. Münir Aktepe. დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

¹⁹ Nihat Erim. Dev'ellerarası Hukuk ve Siyasi Tarih metinleri, Ankara, 1953, გვ. 75—80.

სწორედ ასეთ პოლიტიკაზე დაიყოლიოს. ეს გრძელდება მანამდე, სანამ, თურქიზმის იდეოლოგიის გავლენით, უკვე კაპიტალიზმის ხანაში, ოსმალეთი არ დადგება რუსეთის მიმართ სრულიად ახალ უკომპრომისიო და რევანშისტულ პოლიტიკას, რის შედეგადაც მთლიანად იცვლება ოსმალეთის აღმოსავლური პოლიტიკა და მისი დამოკიდებულება როგორც ირანის ასევე კავკასიის მიმართ.

მოლაპარაკება თურქეთსა და რუსეთს შორის, რაც 1724 წლის 24 ივნისის ხელშეკრულების დადებით დამთავრდა, თურქეთმა დაიწყო სწორედ იმ მიზნით, რათა კავკასია მარტო რუსეთს არ ჩაეგდო ხელში²⁰. მოლაპარაკების დროს რეის-ულ-ჭეთაბმა (რეის-ეფენდი რომლის კომპეტენციაში საგარეო საქმეებიც შედიოდა) მეჭმედ ეფენდიმ მოითხოვა აზერბაიჯანის, საქართველოს (იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო, ვინაიდან დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ვასალად ითვლებოდა), შირვანის და დაღისტინის თურქეთთან შეერთება იმ საბაბით, რომ ისინი წინათ თითქოს ოსმალეთის საკუთრებას წარმოადგენდნენ და მხოლოდ შემდეგ გადავიდნენ ირანის გამგებლობაში²¹. რუსეთი ამ წინადადებაზე დათანხმდა, მაგრამ ბაქოსა და კასპიის ზღვის ნაპირის ზოგიერთი პუნქტის მოთხოვნაზე თურქეთს უარი უთხრა. ის რასაც მოითხოვდა თურქეთი ამ მოლაპარაკების დროს, წარმოადგენდა იმ საზღვრებს, რომლის შიღწევასაც ცდილობდა თურქეთი მთელი მე-18 საუკუნის განმავლობაში, სანამ იასის ზავმა (1791 წ.) არ აიძულა ის დროებით ამოეღო თავისი გეგმებიდან ამ ტერიტორიების მოთხოვნა. როდესაც ამ ტერიტორიების მოთხოვნა კვლავ გაჩნდა თურქეთის პოლიტიკურ გეგმებში მოთხოვნებს უკვე სულ სხვა საფუძველი ედვა და მათი მიზანიც უკვე სულ სხვა იყო.

1724 წლის 24 ივნისის ხელშეკრულების ძალით იმ წერტილიდან სადაც ერთდებიან მტკვარი და არეზი ჩრდილოეთის მიმართულებით კასპიის ზღვის ნაპირები რუსეთის გამგებლობაში გადადიოდა, ხოლო ირანის დასავლეთი ნაწილი ოსმალეთს რჩებოდა²². ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღვრის დადგენა მხოლოდ 1927 წლის იანვარში დამთავრდა. ამრიგად თურქეთმა მიიღო დიდი ნაწილი იმისა, რისი მიღებაც სურდა. იმ ნიშნულზე მდგომარეობასთან

²⁰ Kurat. A. N. Türkiye ve Rusya. XVII, üf yıl Sonuudan Kurtulus savasina kadar Türk—Rus ilizşkleri Ankara, 1970, გვ. 22.

²¹ Mufassal Osmanlı Tarihi ტ. V, გვ. 2448.

²² Erim Nihat დას.ბ. ნაშრომი, გვ. 73.

შედარებით, რაც თურქეთს დასავლეთის მიმართულებით ჰქონდა, ჯერ პრუტიის გამარჯვება, შემდეგ კი ვრცელი ტერიტორიების შენოერთება აღმოსავლეთში, თითქოს ერთგვარ კომპენსაციას წარმოადგენდა მრავალი წლის ზედიზედ განცდილ დამარცხებათა შემდეგ. მაგრამ ოსმალები კარგად გრძნობდნენ, რომ ეს გამარჯვებები მყარი არ იყო და ამიტომ პეტრე I ყოველ ახალ ნაბიჯს ძალიან დიდი ექვის თვალთა და შეშფოთებით უყურებდნენ და ყოველ წუთს რუსეთის ახალ შეტევას მოელოდნენ²³.

„დანაწილების ხელშეკრულების“ დადების შემდეგ მე-18 საუკუნის განმავლობაში თურქეთი კიდევ რამდენჯერმე ომობს ირანთან, ირანის საზღვრებზე შეტაკებები ირანისა და თურქეთის მომთაბარე ტომებს შორის მუდმივ და ქრონიკულ ხასიათს იღებენ. დამბული ურთიერთობა ირანთან თურქებს უძლიერებს შიშს, რომ რუსეთი თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ჩაერევა ირანის საშინაო საქმეებში. როგორც კი თურქეთს უმსუბუქდება მდგომარეობა დასავლეთში, როგორც კი თურქეთი უზავდება ევროპის ქვეყნებს, ის ირანის მიმართულებით იხედება. ასე მოხდა ქუჩუქ კაინარჯის ზავის დადების შემდეგაც. რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წლების ომი თურქეთისათვის მისი არსებობის მანძილზე ყველაზე უფრო მძიმე ომი, ხოლო ქუჩუქ კაინარჯის ზავი ყველაზე უფრო მძიმე ზავი იყო. რუსეთთან ომის დროს თურქეთს არ შეეძლო ირანის მიმართულებაზე ეფიქრა, მაგრამ რუსეთის ჯარის გამოჩენამ საქართველოში ძალიან შეაშფოთა თურქები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რუსებმა განდევნეს თურქები ბაღდადიდან და შემდეგ იმერეთის ჯარებთან ერთად დაიკავეს ქუთაისის ციხე-სიმაგრე. 1722—1724 წლების თურქების ლაშქრობა აღმოსავლეთში და ომი ირანთან მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ რუსეთსა და თურქეთს შორის სამხედრო შეტაკებას ადგილი არ ჰქონია. იმ დროს თურქებს დასავლეთის მიმართულებაზე სიმშვიდე ჰქონდათ. 1768—1774 წლების ომის დროს კი თურქების წინაშე პირველად უშუალოდ აღიმართა ერთსა და იმავე დროს ორი მიმართულებით ბრძოლების წარმოების საშიშროება — კავკასიასა და ბალკანეთზე, რამაც კიდევ უფრო გაართულა თურქების ისედაც მძიმე მდგომარეობა. რუსეთის ჯარის საქართველოში შემოსვლამ და აქ თურქების წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყებამ აიძულა თურქები გადმოესროლათ ძალები კავკასიაში და ამის ფაშო ნაკლები რეზერვე-

²³ Kurat A. N. Türkiye ve Rusya. Ankara, 1970. გვ. 22.

ბი გამოეყოთ დუნაის საომარი ასპარეზისათვის, რის გამოც თურქების სამხედრო ძალებს მეტად მძიმე პირობებში მოუხდათ ბრძოლების წარმოება²⁴. იბრაჰიმ ფაშას ლაშქრობიდან კავკასიაში რუსეთის ჯარის თურქების წინააღმდეგ ბრძოლების დაწყებამდე თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ოსმალეთის სამხედრო ძლიერება განაგრძობს დაცემას, მისი სახელმწიფო აპარატი ვახრწნას. მთელი მე-18 საუკუნის განმავლობაში სწრაფად მიმდინარეობდა ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სისტემის გადაგვარება ფეოდალურ-ბიუროკრატიულ სისტემად. ოსმალეთში ძალაუფლება მეომარ-ფეოდალებიდან ფეოდალ-მოხელეების ხელში გადავიდა. ისინი წარმოადგენდნენ ამიერიდან ოსმალეთის იმპერიის ხელმძღვანელ და გამაერთიანებელ ძალას.

ზავის დადებამ ქუჩუკ-კაინარჯში არ მოუტანა შვება ოსმალეთს. თანდათანობით სახელმწიფოს ანარქია ეუფლებოდა და დაძაბულობა არ კლებულობდა. ისეთ პირობებში, როდესაც ომებში დამარცხებას დამარცხება მოსდევს და სახელმწიფო ხაზინა იცლება, ოსმალები განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან შემოსავლის ყველა წყაროს. ამიტომ ისინი ვერც ქალაქ ბასრას შეეღწოდნენ. ვაჭრობა ინდოეთთან, რომელიც თურქეთზე და ირანზე ტრანზიტით წარმოებდა დიდ შემოსავალს აძლევდა ირანს. შემოღობში ინდოეთისაკენ მიმავალმა სავაჭრო გზამ ნაწილობრივ შეიცვალა მიმართულება, ის უკვე აღარ გადიოდა სპარსეთზე და მთელი ვაჭრობა ბასრაზე გავლით მიმდინარეობდა²⁵. სავაჭრო გზის მიმართულების ასეთი გადასაცვლება მომგებიანი იყო თურქეთისათვის და ამდენადვე საზარალო ირანისათვის. ამიტომ ქერიმ ხანის წინაშე იდგა საკითხი, რომ როგორმე აღედგინა სამხრეთ სპარსეთში ჩამკვდარი ვაჭრობა, რისთვისაც საჭირო იყო ისეთი სავაჭრო ცენტრის ხელში ჩაგდება, სადაც ჯერ კიდევ არ იყო შეწყვეტილი უცხოელთა მიმოსვლა, ასეთი ცენტრი კი მე-18 საუკუნის შუა ხანებში ქალაქი ბასრა იყო²⁶, რომელიც ოსმალეთ-ირანის ახალი ომის მიზეზი გახდა, თუმცა ომის საბაბი კი ირანთან მონაპირე ბაბანის სანჯაყბეგის მეკმედ ბეის თანამდებობიდან გადაყენება იყო ბაღდადის ვალის მიერ. ირან-თურ-

²⁴ Kurat A. N. Türk'ye ve Rusya. Ankara, 1970, გვ. 35.

²⁵ Olivier G. A. Voyage dans l'Empire Othomane, l'Egypte et la Perse, fait par ordre du gouvernement, pendant six premières années de la République. ტ. VI, Paris, 1807, გვ. 114.

²⁶ ლ. შენგელია, ირანი ქერიმ ხან ზენდის დროს, თბილისი, 1973, გვ. 106.

ქეთის საზღვრის რაიონში, სადაც მომთაბარე ქურთებისა და არაბების ტომები ცხოვრობდნენ. შეტაკებები გამუდმებით წარმოებდა. ლოკალური ხასიათის ომები რომელშიდაც გარეული იყო პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფზით თურქეთის ადმინისტრაცია ჩვეულებრივი მოვლენა იყო. დაძაბული მდგომარეობა სპარსეთის საზღვარზე, ქვეყნის შიგნით გამეფებულ ანარქიასთან ერთად საკმაოდ ართულებდა ოსმალეთის მდგომარეობას და ასუსტებდა მის პოზიციებს ევროპაში და რუსეთთან ომებში. ბაბანის სანჯაყბეგის მექმედების თანამდებობიდან გადაყენების გამო დაწყებული კონფლიქტი ირანსა და თურქეთს შორის პირველ ხანებში ლოკალური კონფლიქტის ხასიათს ატარებდა. მაგრამ ქერიმ ხანს სურდა ესარგებლა თურქეთის რუსეთთან ომში დამარცხების შედეგებით და დაეწყო ფართო მასშტაბის საომარი მოქმედება ოსმალეთის წინააღმდეგ ბასრას ხელში ჩასაგდებად. 1775 წლის მარტის დასაწყისში ქერიმ ხან ზენდის ძმის სადგე ხანის მეთაურობით სპარსელების ორმოცდაათათასიანი ჯარი ბასრისაკენ დაიძრა²⁷. ქერიმ ხანის ვარაუდი სწორი გამოდგა. რუსეთთან ომში დამარცხებულმა ფურქეთმა ვერ შეძლო სათანადო წინააღმდეგობის გაწევა და იძულებული გახდა ქერიმ ხანისათვის ბასრა ომის დასაწყისშივე დაეთმო. ბასრა სამი წლის განმავლობაში ირანელებს ხელში იმყოფებოდა. თურქებმა უკვე ომის დასაწყისში კარგად იცოდნენ, რომ მათ ირანთან ომი ძალიან გაუჭირდებოდათ, ამიტომ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა ეს ომი თავიდან აეცილებინათ. ირანთან დაწყებული ომის დროს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა ყირიმის საკითხთან დაკავშირებით კვლავ გამწვავდა. ოსმალები რუსეთთან ომის განახლებას მოელოდნენ. ასეთ პირობებში თურქები არ გამორიცხავდნენ რუსეთსა და ქერიმ ხანს შორის ანტიოსმალური კავშირის შექმნის შესაძლებლობას. ოსმალეთმა კარგად იცოდა, რომ რუსეთი სწრაფად ძლიერდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში და იწყებდა ახალი ციხე-სიმაგრეების მშენებლობას ყუბანის მხარეში. ამის შესახებ სტამბოლი განუწყვეტლივ იღებს ცნობებს ანაპის ფაშის საშუალებით. მოდიოდა სტამბოლში ცნობები იმის შესახებაც, რომ რუსეთი აძლიერებდა თავის ძალებს ყიზლარის მხარეშიც. ეს ყველაფერი ოსმალეთის თვალში კიდევ უფრო რეალურს ხდიდა რუსეთის ახალი ლაშქრობის შესაძ-

²⁷ ლ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 108. ბასრას შემდეგ სპარსელებმა ბაღდადის მიღამოვბსაც მიაღწიეს მაგრამ თურქეთმა ომი ირანს მხოლოდ 1777 წლის 2 მაისს გამოუცხადა (Danişman Zuhuri, Osmanlı İmparatorluğu Tarihi, ტ. XI, İstanbul, 1966, გვ. 71, Danişmend İ. H. დასახ. ნაშრომი, გვ. 59).

ლებლობას ირანში და ქერიმ-ხანთან კავშირს. მაგრამ რუსეთის გზაზე ირანისაკენ ერეკლე II და აზერბაიჯანელი ხანები იდგნენ. იმ პირობებში, რომელშიდაც ქუჩუკ-კაინარჯას ზავის შემდეგ ოსმალები იწყობდნენ მათ არ გააჩნდათ ძალები, რათა სამხედრო მოქმედებანი დაეწყოთ რუსეთისა და რუსეთის მოკავშირეების წინააღმდეგ კავკასიაში. ამიტომ ოსმალეთისათვის ერთადერთი გზა ეს იყო ერეკლესა და აზერბაიჯანელი ხანების გადმობირება, ან უკიდურეს შემთხვევაში მათი დაშინება. გრძნობდნენ რა თავის სისუსტეს, ოსმალებს ძალიან აფიქრებდათ ერეკლეს კავშირი რუსეთთან. ეს შიში მით უფრო ძლიერი იყო, რომ მათი რწენით ერეკლე უკანასკნელ ხანებში ძალიან გაძლიერდა და ამის გამო ოსმალეთისათვის უკვე საშიშ ძალას წარმოადგენდა, რომელსაც შეეძლო ნებისმიერ დროს 20.000 ქართველით გაელაშქრა იქითკენ, საითაც მოისურვებდა²⁸, და რომ ერეკლე II შეუთანხმდა თავის მეზობელ ხანებს ქერიმ-ხანისათვის დახმარების გაწევის შესახებ²⁹. ბუნებრივია, რომ რამდენადაც ასეთი ეჭვები ოსმალებს ჰქონდათ რუსეთის მოკავშირე ერეკლეს მიმართ, ისინი არ შეიძლება, რომ არ დაეჭვებულყვნენ, რომ ასეთ შემთხვევაში რუსეთიც არ დარჩებოდა ირან-თურქეთის ომის პასიურ მკვირვებლად³⁰. საამისო მაგალითი თურქებს უკვე ჰქონდათ. ასე მაგალითად 1732—1736 წლების თურქეთ-ირანის ომის დროს, როდესაც ყირიმელებისა და თურქების გაერთიანებულმა ლაშქარმა შეეცადა საქართველოზე გავლით შეჭრილიყო სპარსეთში, რუსეთმა არა თუ არ გაატარა თათრებისა და თურქების ჯარი ჩრდილოეთ კავკასიაზე, არამედ დიდი ზიანი მიაყენა კიდეც მათ³¹ და ერთდროულად პროტესტით მიმართა ოსმალეთის მთავრობას სტამბოლში³². რუსეთმა ოსმალეთს განუცხადა, რომ ის არასდროს არ დაუშვებს, რომ რომელიმე სხვა სახელმწიფო გარდა სპარსეთისა დამკვიდრდეს კასპიის ზღვის სანაპიროებზე და რომ სწორედ ამიტომ შირვანის ტერიტორია რუსეთმა სპარსეთს დაუბრუნა³³. ყველაფერი ეს,

²⁸ Tarih-i Cevdet p. II. გვ. 74.

²⁹ იქვე.

³⁰ Reşad Ekrem Koşu, Osmanlı Tarihinin Panoraması. İstanbul 1964. გვ. 174.

³¹ Смирнов Н. А. დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

³² П. Буткев, Материалы для истории Кавказа, т. I, СПб, 1869, გვ. 376.

³³ თანახმად 1729 წლის რუსეთ-სპარსეთის ხელშეკრულებისა, შირვანი სპარსეთს უნდა დარჩენოდა. Mufassal Osmanlı Tarihi, т. V. გვ. 2428.

ცხადია, ოსმალებში ამტკიცებდა შიშს რუსეთის მომავალი პოზიციის გამო.

ოსმალეთი თავის მხრივ შეეცადა, რომ აეცდინა თავიდან ერეკლე II კავშირი ქერიმ-ხანთან. ერეკლესთან ერთად აქ იდგა აგრეთვე აზერბაიჯანელი ხანების პოზიციის საკითხიც. ეს ხანები ოსმალეთისათვის მე-18 საუკუნეში ერთიან პრობლემას წარმოადგენდა.

ოსმალეთს განზრახული ჰქონდა ირანზე ერთსა და იმავე დროს რამდენიმე მხრიდან მიეტანა იერიში, მათ შორის ტრადიციული არზრუმ-ყარსის მხრიდანაც. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ერეკლე II და მისი მეზობელი აზერბაიჯანელი ხანების პოზიციას, მითუმეტეს, თუ რუსეთის შესაძლებელ მოქმედებას მივიღებდით მხედველობაში. ამიტომ ამ მხარეში წარმატებით მოქმედებისათვის და რუსეთის ნეიტრალიტეტის შენარჩუნებისათვის ერეკლე II გადამწყვეტი როლი შეიძლება შეესრულებინა. მაგრამ ოსმალეთი არ იყო საბოლოოდ გარკვეული არც ერეკლე II და არც აზერბაიჯანელი ხანების შესაძლებელ პოზიციაში. ამიტომ მდგომარეობის გარკვევის მიზნით სტამბოლიდან, სავეზიროდან ერეკლეს და აზერბაიჯანელ ხანებს წერილები გაუგზავნეს. წერილებთან ერთად ერეკლე II და აზერბაიჯანელ ხანებს მოუვიდათ ყარსში დანიშნული სერასკერის საჩუქრებიც. ამ წერილებში ოსმალეთი იუწყებოდა ქერიმ ხანთან ომის დაწყების მიზეზების შესახებ და მოითხოვდა, რომ ერეკლე II და აზერბაიჯანელ ხანებს გარკვევით ეთქვათ თავისი პოზიციის შესახებ ამ ომში და თავისი პასუხი შეეტყობინებინათ სერასკერ ალი ფაშასათვის³⁴. ოსმალეთის წერილი ერეკლე II, ახალციხის ვალიმ, ვეზირმა სულეიმან ფაშამ გადმოაგზავნა. ამ წერილის მიღებასთან დაკავშირებით ერეკლე II და ახალციხელ სულეიმან ფაშას შორის მოლაპარაკება დაიწყო. ერეკლე II სტამბოლში საპასუხო წერილი გაგზავნა, წერილი დაწერილი იყო სპარსულ ენაზე³⁵. და ის ერეკლემ ელჩის ხელით გაგზავნა³⁶, რომელიც

³⁴ Tarih-i Cevdet, ტ. 2. Ek 24, Revan Hanı Hüseyin Ali Hana tahrir ve cad olunan mektup suretidir, გვ. 410—421.

³⁵ იქვე, გვ. 85.

³⁶ ჩვენთვის ამ ელჩს უწოდებს Mirza Gorgun, რომელიც ერეკლეს მდივანი (მწერალი, კანცელარის უფროსი) ყოფილა (Tarih-i Cevdet ტ. 2. გვ. 85) რუსეთის დიპლომატიურ საბუთებში ეს ელჩი მოხსენებულია როგორც Ачнкбашский уроженец Георгий (АВБР. Ф. сношения России с Турцией, 1776, д. 477, л. 1) წარჩინებული გვარის და იმერეთის მეფის სოლომონის სიძე, რომელსაც ის წაეჩხუბა და გაქცა (АВГРР. Сношения России с Турцией 1776, д. 483, л. 30).

სულიემან ფაშას მიერ მიცემული მოხელის თანხლებით სტამბოლს ჩავიდა, ერეკლე II კარგად ზედავდა, რომ ოსმალეთთან ბრძოლის დრო არ იყო, რომ შექმნილ ვითარებაში საჭირო იყო, ღროებით მაინც ოსმალეთთან მორიგება. ასევე გამართეს მოლაპარაკება ერეკლეს ხანმა ალი ხანმა და ზოის ხანმა აჰმედ ხანმა ყარსის მხარის სერასკერთან ტრაპიზონის ვალისთან ვეზირ ალი ფაშასთან³⁷. როვორც ერეკლეს, ისე მისი მეზობელ აზერბაიჯანელ ხანებს ეშინოდათ, რომ ქეირამ ხანის წინააღმდეგ მიმავალი ოსმალეთის ჯარები გზადაგზა ააწიოკებდნენ საქართველოსაც და აზერბაიჯანის სახანოებსაც. ამიტომ ერეკლე ხანებთან ერთად თხოვდა ოსმალეთის მთავრობას, რომ საქართველოზე და სახანოებზე ქეირამ ხანის წინააღმდეგ გზად მიმავალ ოსმალეთის ჯარს არ მიეყენებინა ამ ქვეყნებისათვის ზიანი³⁸. ერეკლესა და აზერბაიჯანელი ხანების თხოვნის შედეგად სტამბოლიდან სერასკერმა ჯანიკელმა ალი ფაშამ სათანადო წერილობითი მითითება მიიღო³⁹.

ბუნებრივია, რომ ოსმალეთი არ ენდობოდა ერეკლეს და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ერეკლე, რომელიც მკვეთრ ანტიოსმალურ პოლიტიკას ატარებდა მისი მტერია, მაგრამ ამავე დროს ოსმალეთი იძულებულია ერეკლეს ანგარიში გაუწიოს, მისცეს მას დაპირებები და ეცადოს კიდევ შეასრულოს ეს დაპირებები, რომ ამით როგორმე თავიდან აიცილოს ერეკლესა და რუსეთს შორის კავშირის განმტკიცება, რაც შეუქმნიდა რუსეთს შესაძლებლობას საქართველოზე გავლით ქეირამ ხანს დაკავშირებოდა.

მეტად საინტერესოა მთელ ამ ამბებში აზერბაიჯანელი ხანებისა და ახალციხის ვალის სულიემან ფაშის პოზიცია. აზერბაიჯანელი ხანები საერთო ფრონტით გამოდიან. პირდებიან ოსმალეთს, რომ არ გაილაშქრებენ მის წინააღმდეგ და არ მიემხრობიან ქეირამ ხანს. ერევნის ხანი ჰუსეინ ალი ხანი ყარსის სერასკერის ალი ფაშას დახმარებით სტამბოლში გაგზავნილ წერილებში არა მარტო არწმუნებს სტამბოლს, რომ მომავალშიც დარჩება ოსმალეთის ერთგული, არამედ არწმუნებს იმაშიც, რომ აზერბაიჯანელი ხანების პოზიცია საერთოა ერეკლესთან. ამიერკავკასიის ხანები მოითხოვდნენ, რომი ქეირამ ხანის თავდასხმის შემთხვევაში მათთვის დახმარება აღმოეჩინა ყარსის სერასკერს ალი ფაშას. შესატყვისად ერეკლეს

³⁷ Tarih-i Cevdet ტ. 2, გვ. 85.

³⁸ АВПР. ф. Сношения России с Турцией, 1776, д. 483, л. 7.

³⁹ იქვე.

ჩილდირის ვალი უნდა დახმარებოდა⁴⁰. ამავე დროს სულთანმა ერეკლეს საჩუქრად გაუგზავნა 1000 ოქრო, სისამურის ქურქი და შეკაზმული ცხენი. ჰუსეინ ალი ხანს 2000 ოქრო, აჰმედ ხანს 1500 ოქრო და ყოველ მათგანს თითო სისამურის ქურქი. საპასუხო საჩუქრები სტამბოლში ერეკლემაც გააგზავნა: თეთრი ქურქი, პერანგები და შალეული. ერეკლეს ელჩი გიორგი (მირზა გორგუნე) ჩილდირის ვალის დახმარებით რამდენჯერმე ჩადის სტამბოლში. ერეკლეს ელჩმა სტამბოლში, ბუნებრივია, რუსეთის დიპლომატიური მისიის ყურადღება მიიპყრო. ერთ-ერთ ასეთი ჩასვლის დროს, 1776 წლის დეკემბერში, ერეკლეს ელჩს გიორგის თან 7 მხლებელი ჩაჰყვა ელჩი ჩილდირის ვალის ქეთჰუდას სახლში გაჩერებულა. სტამბოლში ჩასვლისთანავე ის შეხვდა რეის ეფენდისა და ბეი-ლბიქჩი ეფენდის⁴¹, ხოლო შემდეგ ის სულთანმაც მიიღო⁴². ერეკლეს ელჩი სტამბოლში ლაპარაკობს არა მარტო ერეკლეს, არამედ აზერბაიჯანელი ხანების სახელითაც⁴³ და კვლავ არწმუნებს ოსმალეთს, რომ ერეკლე და აზერბაიჯანელი ხანები ოსმალეთის ერთგულნი არიან.

ერეკლეს ელჩის სტამბოლში ჩასვლასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს რამდენიმე გარემოება. სტამბოლში ხელისუფლება ცდილობს, რომ ელჩსა და მის თანმხლებლებს გარეშე პირი არავინ შეხვდეს⁴⁴. თურქები არ ახმაურებდნენ საქართველოდან ელჩის ჩამოსვლის ამბავს, რომ არავის არ გაეგოთ თუ ვინ იყო ის და საიდან⁴⁵. ამავე დროს რუსეთის დესპანი ა. სტახიევი არა თუ ინფორმირებული იყო ერეკლეს ელჩის ჩამოსვლის შესახებ, არამედ დაწვრილებით იცოდა ყველაფერი რაც ელჩის შეხვედრებს ეხებოდა ოსმალეთის თანამდებობის პირებთან. ა. სტახიევისათვის ცნობილი გახდა აგრეთვე, რომ საქართველოს ელჩი ოსმალეებმა აუღუნციის დროს ძალიან ცუდად მიიღეს, დიდ ვეზირთან შეხვედრის დროს ის სკამზეც კი არ დასვეს⁴⁶. ისმება კითხვა რა იყო ამის მიზეზი. ამჭერად ხომ ოსმალეთს ძალიან სჭირდებოდა ერეკლე და პოლაპარაკებაც ხომ თურქეთის ინიციატივით დაიწყო. ასეთ პირო-

⁴⁰ Tarih-i Cevdet, ტ. 2, გვ. 87.

⁴¹ იქვე, გვ. 90.

⁴² АВПР, ф. Сношения России с Турцией.

⁴³ Tarih-i Cevdet, ტ. 2, გვ. 89; АВПР, ф. Сношения России с Турцией, 1774, д. 477.

⁴⁴ АВПР, ф. Сношения России с Турцией, 1776, д. 483, л. 29.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ იქვე.

ბებში საქართველოს ელჩის ხაზგასმულად ცუდად მიღებას არავითარი აზრი არ ჰქონდა. შესაძლებელია, ეს ოსმალეთის ზოგიერთი სახელმწიფო მოხელის, კერძოდ დიდი ვეზირის დერვიშ მეჰმედ ფაშას უმეცრებას მივაწეროთ. მაგრამ უფრო შესაძლებელია, რომ რამდენადაც მოლაპარაკება, რომელსაც ოსმალეთი ერეკლესთან აწარმოებდა, ეხებოდა მის პოზიციას არა თურქეთ-რუსეთის არამედ თურქეთ-ირანის ურთიერთობაში. ამდენად საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხებს ამჯერად სტამბოლში არ ეხებოდნენ. ასეთ მოლაპარაკებას ერეკლე ოსმალეთთან არც დაიწყებდა. თურქეთს სურს მიაღწიოს იმას, რომ ერეკლე, ისევე როგორც აზერბაიჯანელი ხანები, ქერიმ ხანს არ მიემხროს. თუ ოსმალეთი მიაღწევს ამ მიზანს, მაშინ თავისთავად გაძნელება რუსეთსა და ქერიმ ხანს შორის კავშირის დადება. ოსმალეთის მიზნის ეს მეორე მხარე საქართველოს ელჩთან მოლაპარაკებაში შენიღბული იყო და ყველაზე უფრო შესაძლებელია, რომ ამის შესახებ საქართველოს ელჩთან საუბარში სიტყვაც არ თქმულა. სწორედ ამიტომ ეშინია ოსმალეთს, რომ არავინ და უპირველეს ყოვლისა რუსეთის დესპანმა არაფერი გაიგოს მოლაპარაკების შესახებ და ხელი არ შეუშალოს ოსმალეთს. ამიტომ, ოსმალეთი საქართველოს ელჩის მიღების დროს არ არღვევს იმ ეთიკეტს, რომელიც არსებობდა ოსმალეთში ქვეშევრდომი ქრისტიანი ქვეყნების ელჩებისა და დესპანების მიღების დროს. მათ კი როგორც ქვეშევრდომებს და თანაც ქრისტიანებს ბრწყინვალედ არასდროს არ იღებდნენ. ერეკლეს ელჩის მიღებაც ხაზგასმული ამპარტავნობით, ისახვდა მიზნათ, რომ ოსმალეთს კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი თავის პრეტენზიებისათვის საქართველოზე და რომ თითქოს ოსმალეთს ამ შემთხვევაში არავითარი განსაკუთრებული მიზნები არა აქვს. ასე უფრო ნაკლებ ყურადღებას მიაქცევდა ა. სტახიევი ერეკლეს ელჩს და რაც მთავარია ოსმალეთის მოლაპარაკება მასთან ნაკლებ ექვემდებარებას გამოიწვევდა.

მოლაპარაკება ერეკლესა და აზერბაიჯანელ ხანებთან თურქეთს სინამდვილეში სჭირებოდა არა იმდენად ქერიმ ხანის, რამდენადაც რუსეთის წინააღმდეგ თავისი პოზიციების განსამტკიცებლად, რამდენადაც თურქეთის ამოცანა იყო არ დაეშვა ერეკლესა და აზერბაიჯანელი ხანების კავშირი ირანთან, ვინაიდან ამ კავშირით გაიდებოდა ზიდი ირანსა და რუსეთს შორის. ამრიგად ოსმალეთი ცდილობს ერეკლე და ხანები ან თავის მხარეზე გადმოიყვანოს, ან და უკიდურეს შემთხვევაში მათ ნეიტრალიტეტს მაინც მიაღწიოს და ამით ხელი შეუშალოს ირანსა და რუსეთს შექმნან ანტიოსმა-

ლური კავშირი. ის თუ რამდენად დიდი იყო ასეთი კავშირის შექმნის შიში კარგად ჩანს თურქეთში განმტკიცებული რწმენით, რომ 1778 წელს, როდესაც ქერიმ ხანს გაუქირდა ბასრასთან ბრძოლების დროს თითქოს დაიღვა ანტიოსმალური კავშირი ურთიერთდასმარების შესახებ ირანსა და რუსეთს შორის⁴⁷, რომლის ძალით რუსეთს თურქეთისათვის უნდა შეეტია ევროპის მხრიდან, ხოლო ქერიმ ხანს ანატოლიიდან და რომ თითქოს ეს ხელშეკრულება სკიარდებოდა რუსეთს, რათა თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა ყირიმის საკითხი და რომ ეს ხელშეკრულება არ ივანხორციელდა მხოლოდ და მხოლოდ ქერიმ ხანის გარდაცვალების გამო⁴⁸.

რამდენადაც მე-18 საუკუნის დასაწყისიდან ოსმალეთი აღმოსავლეთში სრულიად ახალი ვითარების წინაშე აღმოჩნდა და მას ირანთან ერთად რუსეთთანაც აქვს საქმე, ირანი და რუსეთი მისთვის ფაქტიურად ერთი პრობლემაა. თურქეთი იძულებულია მუდამ ჰქონდეს ეს ახლად შექმნილი ვითარება მხედველობაში და მთელი თავისი აღმოსავლური პოლიტიკა ამ ვითარების მიხედვით წარმართოს.

1768—1774 წლების ომმა რუსეთთან კარგად დაანახვა ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეებს, თუ რამდენად ჩამორჩა თურქეთი მაშინდელი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების დონეს. ცხადია თურქებს არ ესმოდათ თურქეთის ჩამორჩენილობის ნამდვილი მიზეზები და არც შექმნილი კრიზისიდან თავის დაღწევის ნამდვილ გზას ხედავდნენ, მაგრამ თურქეთის ხელმძღვანელ წრეებში თანდათანობით მომწიფდა აზრი, რომ საჭირო იყო რეფორმების გატარება. უფრო სწორად გარკვეული სიახლეების შეტანა ოსმალეთის სახელმწიფო ცხოვრებაში. მათვე კარგად ესმოდათ, რომ თურქეთი უნდა მიმსგავსებოდა ევროპას, მაგრამ საკითხი იდგა: რამდენად საფუძვლიანი უნდა ყოფილიყო ეს რეფორმები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების რა სფეროები უნდა მოეცვა მას და რა ცვლილებები უნდა შეეტანა თურქეთს თავის საგარეო პოლიტიკაში. სახელმწიფო მოღვაწეთა უმრავლესობა თანხმდებოდა იმაზე, რომ პირველ რიგში საჭირო იყო ჯარის რეორგანიზაცია, მისი მიმსგავსება ევროპის სახელმწიფოების ჯართან, მაგრამ აქაც ისმებოდა საკითხი რამდენად შორს უნდა წასულიყო თურქეთი ასეთ ცვლილებებში: უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ევროპული.

⁴⁷ Tarih-i Cevdet, ტ. 2, გვ. 154.

⁴⁸ I. H. Uzunçarşılı, დასახ. ნაშრომი, გვ. 402.

ტიპის ყაზარმების აშენებით და ევროპული სამწყობრო მომზადების შემოღებით, თუ უნდა აეგო თავისი ჯარი სრულიად ახალ საწყისებზე, როგორც ეს იყო ევროპაში. ძნელი არ იყო იმის გათვალისწინება, რომ ასეთ ცვლილებებს უნდა მოჰყოლოდა ცვლილებები ოსმალეთის სახელმწიფო სისტემაშიც და აქედან გამომდინარე ოსმალთა აზროვნებაშიც. ის, რომ სახელმწიფოს ჭირდება ცვლილებები, რომლის მაგალითები აღებული იქნება ევროპიდან, კარგად ესმოდათ მე-18 საუკუნის ოსმალეთის ფადიშაჰებს: მუსტაფა III (1757—1774), აბდულჰამიდ I (1174—1789) და სელიმ III (1789—1807). ზოგიერთი მათგანი უფრო მეტად იყო განწყობილი რეფორმების სასარგებლოდ, ზოგი ნაკლებად, მაგრამ ყველა მათგანი ცდილობდა გარკვეული ნაბიჯები გადაედგა ქვეყნის მძიმე მდგომარეობიდან გამოსაყვანად. სულთანები აქ მარტო არ მოქმედებდნენ. შეიქმნა სახელმწიფო მოღვაწეთა გარკვეული ჯგუფი, რომლებიც რეფორმების გატარებას ცდილობდნენ. თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეებს თავის დაღს ასვაბდა თურქეთის იზოლაცია ევროპიდან. ისლამი საიმედო ზღუდედ იდგა ევროპასა და მუსლიმანურ ქვეყნებს შორის. მუსლიმანური სამყარო არ იცნობდა ევროპას, ევროპა შესამჩნევად იცნობდა მუსლიმანურ სამყაროს. თურქები იცნობდნენ ევროპის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც მათ ჰქონდათ დაპყრობილი. მაგრამ ევროპული საზოგადოება ევროპის იმ ნაწილშიც კი რომელიც მათ დაიპყრეს მათთვის უცნობი რჩებოდა. რენესანსის იდეებმა გვერდი აუარეს თურქეთს. ევროპა და ოსმალეთი თითქოს თავისი, დამოუკიდებელი გზებით ვითარდებოდნენ. მდგომარეობამ შეცვალა დაიწყო მხოლოდ მე-17 საუკუნეში. თურქეთში თანდათანობით გაჩნდნენ სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც ევროპელებში მხოლოდ უჩრწუმნოთა ბრბოს კი არ ხედავდნენ, არამედ თავისებურად, მაგრამ მაინც ითვისებდნენ ევროპიდან შემოსულ იდეებსა და პრინციპებს. მე-18 საუკუნის დასასრულისათვის მათ შორის ნაწილს კარგად ესმოდა, რომ რეფორმები უნდა შეხებოდა არა მარტო ჯარის ორგანიზაციას, არამედ ეკონომიკასაც. მათ კარგად ესმოდათ აგრეთვე, რომ თურქეთს არ შესწევს ძალა შექმნილ ვითარებაში გაუწიოს წინააღმდეგობა ევროპასაც და რუსეთსაც, მითუმეტეს, რომ რუსეთმა უკვე შემოარტყა რკალი თურქეთს ჩრდილოეთიდანაც და აღმოსავლეთიდანაც. ამიტომ მათი აზრით საჭირო იყო რეორგანიზაციის დაუყოვნებლივ დაწყება და ცვლილებების შეტანა ოსმალეთის საგადასახადო სისტემაშიც. ამ დროსათვის ოსმალეთში დაინტერესდნენ მერკანტილი-

ზმის იდეებით და მიდიოდნენ იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფომ შეიძლება უარი თქვას იმ ტერიტორიაზე რომელიც იძლევა ზარალს. მაგრამ იყენენ სახელმწიფო მოღვაწეების, რომლებიც თუმცა არ უარპყოფდნენ ზოგიერთი ცვლილებების აუცილებლობას, მაგრამ არ სცილდებოდნენ ჯარის მცირე რეორგანიზაციის საჭიროებას, და ამავე დროს მოითხოვდნენ ოსმალეთის აგრესიული კურსის გაგრძელებას რეფორმებისათვის. საჭირო დროით შეწყვეტის გარეშე. ასეთებს თანამედროვე თურქული ისტორიოგრაფია კონსერვატორებს უწოდებს. ეს მოწინააღმდეგე ჯგუფები ამჟამად გამოიკვეთა თურქეთის პოლიტიკურ სარბიელზე ქუჩუქ კინარჯის ზავის დადების რამდენიმე წლის შემდეგ, განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან. კონსერვატორთა ჯგუფში მთავარი პირები იყვნენ: კარავეზირი მეჰმედ ფაშა და ჯეზაირლი ჰასან ფაშა⁴⁹. იმ ჯგუფის სათავეში კი, რომელიც შედარებით «კონსერვატორებთან» საფუძვლიან რეფორმებს მოითხოვდა და რეფორმების მანძილზე საგარეო ომების წარმოება არ სურდა იდგა ჰალილ ჰამიდ ფაშა აბდულჰამიდ I დიდი ვეზირი 1782 წლის 31 დეკემბრიდან 1785 წლის 31 მარტამდე. როგორც კი ჰალილ ჰამიდ ფაშა დიდი ვეზირი გახდა, მან წინადადება მისცა აბდულჰამიდ I დაუყოვნებლივ დაეწყოს ევროპული ტიპის რეფორმები⁵⁰. აბდულჰამიდი ისეთ დიდი ცვლილებებზე, როგორც უნდოდა ჰალილ ფაშას არ დათანხმდა, მართალია, ჰალილ ფაშამ ბევრი რამდინც გააკეთა: კანონი თიმარიოთების შესახებ, იენიჩარების უცხო ელემენტებიდან გაწმენდა და სხვ. აბდულჰამიდის ძმისშვილი, ტახტის მემკვიდრე სელიმი, რომელმაც იმდროინდელი ოსმალეთის პირობებისათვის ბრწყინვალე განათლება მიიღო და რეფორმების იდეებით გაიჟღინთა თურქ რეფორმატორებისა და მედასავლეთეების იმედად იქცა. ჰალილ ფაშამ და მისმა ჯგუფმა რეფორმების დაჩქარებისა და მოწინააღმდეგე «კონსერვატორთა» ჯგუფის თავიდან მოცილების მიზნით გადაწყვიტეს აბდულჰამიდ I ტახტიდან ჩამოხრება და სელიმის ტახტზე აყვანა. მოვლენები აჩქარებდა შეთქმულებს. ეს იყო თურქეთის საგარეო პოლიტიკისათვის მძიმე წლები. ყირიმი შეუერთდა რუსეთს. იმავე 1783 წელს დადებულ იქნა გეორგიევსკის ტრაქტატი საქართველოსა და რუსეთს შორის და ამით ირანი უშუალოდ უმეზობლდებოდა რუსეთს. ამ

⁴⁹ T. Yılmaz Oztuna. Başlağıcından zamanımıza kadar Türkiye Tarihi. 6. 11, İstanbul, 1967, გვ. 90.

⁵⁰ Mufassal Osmanlı Tarihi 6. 5, გვ. 2649.

ნოვლენებმა ოსმალეთში გააძლიერეს ის ჯგუფები, რომლებიც ყირიმის დაბრუნებას, რუსეთის საქართველოდან განდევნას და კავკასიაში ოსმალეთის ყოფილი ტერიტორიების და შავი ზღვის სანაპიროს მიდამოებში თურქეთის მიერ დაკარგულ ციხე-სიმაგრეების უკან დაბრუნებას მოითხოვდნენ. აბდულჰამიდ I, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც რეფორმების მომხრე იყო უკვე რევანშის სურვილით „კონსერვატორებისავენ“ გადაიხარა. ჰალილ ფაშას კარგად ესმოდა, რომ რუსეთთან ახალი ომი ეს იქნებოდა თურქეთის ახალი დიდი დამარცხებაც, რომ თურქეთს ჯერ უნდა ჩაეტარებინა რეფორმები, შეექმნა ევროპული ტიპის ჯარი და მხოლოდ მერე დაეწყო ომი. რეფორმები და ახალი ტიპის ჯარის შექმნა კი მოითხოვდა დიდ დროს. ომი არა მარტო მოუტანდა გამარჯვებას რუსეთს, არამედ მოსპობდა თურქეთში რეფორმების ჩატარების შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ ჰალილ ფაშა და მისი ჯგუფი თურქეთის ახალ ომში ჩაბმის წინააღმდეგია, ის წინააღმდეგია აგრეთვე, რომ თურქეთი ევროპის სახელმწიფოთა რომელიმე პოლიტიკურ დაჯგუფებას მიემხროს, ვინაიდან ესეც თურქეთს ახალ ომში ჩაითრევდა. ის, რაც უნდა რეფორმატორთა და მედასავლეთეების ამ ჯგუფს, ეს არის თურქეთის სრული ნეიტრალიტეტი მოქიშპე სახელმწიფოთა შორის. მაგრამ ეს არ არის ის ნეიტრალიტეტი, რომელსაც ოსმალები მრავალი წლის განმავლობაში ადგენენ; ქრისტიანული ქვეყნების ურთიერთობაში ჩაურევლობისა და საერთაშორისო ასპარეზზე „მარტოდ ყოფნის“ პრინციპი. ამ შემთხვევაში ლაპარაკია ნეიტრალიტეტზე ისე, როგორც ეს ევროპის ქვეყნებში ესმოდათ.

ჰალილ ფაშას აბდულჰამიდ I წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის გამო 1785 წელს თანამდებობიდან გადააყენეს და ცოტა ხნის შემდეგ თავი მოკვეთეს. 1787 წლის 13 აგვისტოს კი თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. როგორც მოსალოდნელი იყო, და ამაში ბევრს თურქეთში ეჭვიც არ ეპარებოდა, ოსმალეთი კვლავ სასტიკად დამარცხდა. იასის ზავით თურქეთმა ახალი მხიმი ვალდებულებები იკისრა და კიდევ უფრო გაიუარესა თავისი საშინაო და საგარეო მდგომარეობა. ომის დროს, 1789 წელს გარდაიცვალა სულთანი აბდულჰამიდ I და მის ადგილზე ავიდა სელიმ III. ბუნებრივია, რომ სელიმმა, რომელიც არა თუ მომხრე იყო რეფორმების გატარებისა, არამედ რეფორმები აკვიატებულ აზრადაც კი ჰქონდა. ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე გარშემო იკრებს რეფორმების მომხრე პირებს: იმათ ვინც დაზარალდა ჰალილ ფაშას შეთქმულების

გამო და იმ პირებსაც, რომლებზედაც აბღულ ჰამიდ I რეპრესიები არ გავრცელებულა. პირველი, რისი გაცემებაც სურდა სელიმ III გარშემო შემოკრებილ ჯგუფს, ეს იყო რეფორმების სწრაფად დაწყება და რეფორმების პერიოდისათვის ქვეყნისათვის მშვიდობის უზრუნველყოფა. ეს იყო რეფორმების ჩატარების ერთადერთი შესაძლებლობა. ამიტომ იყო, რომ სელიმ III ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ რუსეთთან ახალი ომი არ დაწყებულიყო.

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების დროისათვის პოლიტიკური მდგომარეობა ევროპაში მეტად დაიძაბა. საფრანგეთი ცდილობს გამოიყენოს თურქეთი თავის სასარგებლოდ და ჩაითრიოს ის ომში ავსტრია-რუსეთის წინააღმდეგ, ამავე დროს რუსეთი, რომელიც მთელ თავის საგარეო პოლიტიკას ევროპაში რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე აგებს, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა ოსმალეთი არ მიემხროს საფრანგეთს და შეინარჩუნოს თავისი ნეიტრალიტეტი ევროპის კონფლიქტში. ეს იყო იმ წლებში რუსეთის დიპლომატიის ძირითადი ამოცანა თურქეთში. ამ წნობივ რუსეთის დიპლომატიას მთლიანად აწყობდა სელიმ III და ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეთა იმ ჯგუფის პოლიტიკა, რომლებიც თავის დროზე ჰაღილ ჰამიდ ფაშას გარშემო იჭრიებოდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ სელიმ III და რეფორმების მომხრე პოლიტიკური მოღვაწეები დაწინაურებულნი იყვნენ, რომ ახალი ომი რუსეთთან ოსმალეთს ახალ დამარცხებას მოუტანდა და რეფორმების ცდაც ამაო გამოდგებოდა. ამავე დროს ისინი ძალიან დიდი ყურადღებით და შიშითაც კი ადევნებენ თვალყურს, თუ რა ხდება თურქეთის საზღვრებზე, არა მარტო ევროპაში, არამედ ირანსა და კავკასიაშიც. ამ მხარეს თურქეთი ამიერიდან ისეთსავე მნიშვნელობას აძლევდა, როგორც ევროპის მიმართულებას. ქერომ ხან ზენდის სიკვდილის შემდეგ ირანში დაწყებული ახალი ანარქიის გამო, თურქეთი შიშით ელოდა, თუ რა ახალი ძალა გამოჩნდებოდა იქ და რა დამოკიდებულებაში იქნებოდა ირანთან რუსეთი. არ გამოპარვია ოსმალეთს არც ყაჯართა ბრძოლა ხელისუფლებისათვის. ალა მაჰმად ხანი აღრევე მოხვდა ოსმალეთის მხედველობის არეში. მის შესახებ სტამბოლს ცნობებს აწვდიდნენ ბაღდადის, არზრუმის, ვანისა და ჩილდირის ვალიები. იმის, რომ ალა მაჰმადი ბევრის გაკეთებას მოასწრებდა. თურქეთს მაინცდამაინც არ სჯეროდა, ალა მაჰმადის ხანდაზმული ასაკის გამო. 1795 წლის აგვისტოში რუსეთის მისიის პირველი თარჯიმანი ფონტონი ესაუბრა ოსმალე-

თის ერთ ერთი უმაღლესი რანგის მოხელეს ჩელები მუსტაფა ეფენდის. საუბარში ისინი შეეხნენ სპარსეთის საქმეებსაც. სწორედ ამ საუბრის დროს გამოთქვა ოსმალეთის მთავრობის ექვი ჩელები მუსტაფა ეფენდიმ ალა მაჰმად-ხანის მიმართ მისი ხანდაზმულობის გამო და ამდენად მისი სიტყვით ალა მაჰმადი დიდ სამიწროებას არც თურქეთისათვის და არც რუსეთისათვის არ წარმოადგენდა⁵¹. ამასთანავე ოსმალეთი დარწმუნებული იყო, რომ ალა მაჰმადის სიკვდილის შემდეგ სპარსეთში ისევე გაიმართებოდა ტახტის პრეტენდენტთა ბრძოლა და იქ ანარქია გამეფდებოდა. მაგრამ შიუხენდავად ჩელები მუსტაფა ეფენდის მშვიდი და დარწმუნებული ტონისა, ოსმალეთს მაინც არ შეეძლო ყოფილიყო დამშვიდებული სპარსეთის მიმართ, ვინაიდან რარიგადაც ხანდაზმული არ უნდა ყოფილიყო ალა მაჰმადი, მას შინც შეეძლო მოესწრო წონასწორობის დარღვევა აღმოსავლეთში. თვითონ ალა მაჰმადი თავის მხრივ დიდ იმედებს ამყარებდა თურქეთზე. მას არ სცნობდნენ ირანის შაჰად არც რუსეთი და არც ოსმალეთი. რუსეთი მას უზურპატორად თვლიდა, ასევე უყურებდა მას ოსმალეთიც. ამ შემთხვევაში ოსმალეთის პოზიციაზე დიდ გავლენას ახდენდა რუსეთი. დამახასიათებელია, რომ 1795 წლის აპრილში ე. ი. მაშინ, როდესაც საქართველოზე თავდასხმის გამო რუსეთ-სპარსეთის ურთიერთობა უკიდურესობამდე იყო გამწვავებული, თურქეთი აცხადებს, რომ ის არ აპირებს ალა მაჰმადის ცნობას ირანის შაჰად, რომ ოსმალეთმა შაჰად არ სცნო არც ქერიმ ხანი, რომელიც ისევე, როგორც ალა მაჰმადი მდებიური წარმოშობისა იყო, რომ ასევე არა მეფური წარმოშობის ნადირ შაჰის ცნობა თურქეთის მიერ ირანის შაჰად აიხსნება მხოლოდ იმ დროს შექმნილი ვითარებით⁵². ალა მაჰმადს არ შეეძლო არ მიეღო მხედველობაში, რომ იმ ბრძოლის წარმატება, რომელსაც ის აწარმოებდა ირანის ტახტის ხელში ჩასაგდებად ბევრად იქნებოდა დამოკიდებული საგარეო პოლიტიკურ ფაქტორზეც და პირველ რიგში რუსეთისა და ოსმალეთის პოზიციაზე. ფრანგები, რომლებიც განსაკუთრებით საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ, ცდილობდნენ აქტიური როლი ეთამაშად მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაინც არ იყვნენ საკმაოდ ძლიერნი და ვერ შეასრულებდნენ გადამწყვეტ როლს ალა მაჰმადის ვერც წარმატებაში და ვერც წარუმატებლობაში. ამიტომ ალა მაჰ-

51 АВПР, ф. Сношения России с Турцией, 1795, д. 813, л. 32—33.

52 АВПР, ф. Сношения России с Турцией, 1796, д. 829, л. 80.

მადს უნდა მოეგვარებინა თავისი ურთიერთობა მხოლოდ ორ სახელმწიფოსთან: რუსეთთან და თურქეთთან. მას შეეძლო თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა რუსეთ-თურქეთის ომი, მაგრამ რუსეთის პოლიტიკამ სპარსეთში ასეთი შესაძლებლობა გამოიცილა. თურქეთი რუსეთთან ომის დროს, მართალია დაინტერესებულია იმით თუ რა ხდება სპარსეთში, მაგრამ არა აქვს არც ძალა და არც საშუალება თვითონ ჩაებას ამ ბრძოლაში. რუსეთი კი პოულობს თავის დასაყრდენს ირანში, ეს არის მურთაზა ყული ხანი, რომელმაც რუსეთის მფარველობის ქვეშ ითხოვა შესვლა⁵³. თალიშს შეფარებული მურთაზა ყული ხანი, ცხადია, ბევრად უფრო საიმედო იქნებოდა რუსეთისათვის, ვიდრე ალა მაჰმადი, ამიტომ შეაჩერა თავისი ყურადღება რუსეთმა მურთაზა ყული ხანზე და 1792 წელს კავკასიის ხაზს მიეცა მითითება, რათა აღმოეჩინათ დახმარება მისთვის და მიეცათ მისთვის თავშესაფარი რუსეთის ტერიტორიაზე⁵⁴. ამ დროიდან ალა მაჰმადისათვის ცხადი გახდა, რომ რუსეთმა თავისი არჩევანი გააკეთა მის წინააღმდეგ. რჩებოდა მხოლოდ ერთი რეალური ძალა, რომელსაც ის შეიძლება დაყრდნობოდა, ეს იყო ოსმალეთი. სწორედ ამიტომ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ალა მაჰმადისათვის საბოლოოდ გახდა გარკვეული რუსეთის პოზიცია. მან შესთავაზა კავშირი ოსმალეთს რუსეთის წინააღმდეგ. მ. კუტუბოვი, რომელიც ეკატერინე II ელჩად გააგზავნა თურქეთში იასის ზავის დადების შემდეგ, ატყობინებდა ეკატერინე II 1793 წლის 5 ნოემბრის წერილში, რომ მის მიერ მიღებული ცნობების თანახმად, ალა მაჰმადმა ოსმალეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად გამოვზავნა ვინმე მირზა გალიბი, რომელიც შაღდადის გზით ჩამოვიდა. მირზა გალიბის გარდა ალა მაჰმადმა კიდევ ორი კაცი გააგზავნა ასტრახან — ტაჯანროგის გზით. ყველანი ესენი ვაჭრებად ასაღებდნენ თავს, რათა არავის არ გაეგო მათი მგზავრობის ნამდვილი მიზანი. დესპანები ოსმალეთს კავშირს სთავაზობდნენ ამავე დროს მათ ოსმალეთის მთავრობას გააცნეს ალა მაჰმადის უახლოესი მიზნები, კერძოდ მათ ჩამოიტანეს ამბავი რომ ალა მაჰმადი გაზაფხულზე საქართველოს შეესევ⁵⁵. ალა მაჰმადი ცდილობს მჭიდრო კავშირი დაამყაროს ოსმალეთთან ისეთ ვითარებაში, როდესაც იგი უკვე დაუპირისპირდა რუსეთს. ის ითვალისწინებდა აგრეთვე რუსეთ-

53 ზ. შარაშენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

54 იქვე, გვ. 155.

55 АВПР, ф. Сношения России с Турцией, 1793, д. 777, л. 14—16.

ოსმალეთის ანტიირანული კავშირის შესაძლებლობას, ისეთს, როგორც იქნა დადებული 1722 წელს. ამიტომ ალა მაჰმადისათვის აუცილებელი იყო ოსმალეთის მიმხრობა, თუ მოკავშირედ არა კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტის სახით მაინც.

ამრიგად 1793 წლის გაზაფხულიდან არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენდა, რომ ალა მაჰმადის უახლოესი მიზანი, მას შემდეგ, რაც მან ამ დროისათვის განამტკიცა თავისი ძალაუფლება სპარსეთის ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე, გახდა ამ ტერიტორიის ერთპიროვნული მმართველი და შექმნა მნიშვნელოვანი ბრძოლისუნარიანი არმია⁵⁶, იყო საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობა ყველაზე უფრო მოსახერხებელი გზით ერევანზე გავლით. ალა მაჰმადის გეგმები იცოდნენ საქართველოშიც⁵⁷. ერეკლე ალა მაჰმადის მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ ატყობინებს პეტერბურგს, მაგრამ ერეკლეს, ცხადია, არ ჰქონდა დავიწყებული ოსმალეთის წინადადება, რომელიც მან მიიღო, როდესაც ოსმალეთი ებრძოდა ქერიმ ხან ზენდს და ამ წინადადებასთან დაკავშირებით დაწყებული ელჩების გაცვლა ოსმალეთსა და საქართველოს შორის. ბუნებრივია, რომ ერეკლემ, რომელსაც ოსმალეთი თავის ქვეშევრდომად თვლიდა, მოინდომა ოსმალეთის გამოყენება ალა მაჰმადის წინააღმდეგ, იმ იმედით, რომ ოსმალეთი არ დაანებებდა ალა მაჰმადს საქართველოს ტერიტორიის მიტაცებას. 1795 წელს 5 მაისს სტამბოლში, რეის — ეფენდის⁵⁸ სახელზე მიღებული იქნა ერეკლესა და დავითის წერილები, რომლებითაც ისინი იტყობინებოდნენ, რომ ალა მაჰმადი მათ თავდასხმით და დაპყრობით ემუქრება. და რომ ასაბუთებს ამას იმით, რომ საქართველო ოდითგანვე სპარსეთს ეკუთვნოდა⁵⁹.

i

საქართველოში სალაშქროდ ჯარების შეგროვების ბრძანება ალა მაჰმადმა 1794 წლის დასასრულს გასცა. ბრძანება გაეგზავნა ყველა ხანს, ყველა ტომის ბელადს. მათ ჯარები უნდა ჩამოეყვანათ

⁵⁶ Olivier G. A. დასახ. ნაშრომი, ტ. V, გვ. 248.

⁵⁷ Цагарелин А. А. დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 66, 76—77; შარაშენიძე ზ. დასახ. ნაშრომი, გვ. 152—153.

⁵⁸ რეის-ეფენდის თანამდებობაზე ამ დროს იყო ფირდევსი მეჰმედ ემინ ეფენდი. როგორც წესი საქართველოს შეფეები წერილებს სტამბოლში აგზავნიდნენ რეის-ეფენდის სახელზე.

⁵⁹ АВПР, ф. Сношения России с Турцией, 1795, д. 811, л. 63.

თეირანში არა უგვიანეს ზამთრის მიწურულისა⁶⁰. შეგროვდა 80 ათას მოლაშქარეზე მეტი. ალა მაჰმადი ამ ლაშქარს სათავეში ჩაუდგა აპრილის დასასრულს და ყაზვინისაკენ გაემართა⁶¹. მთელი ამ ხნის განმავლობაში ოსმალეთი ალა მაჰმად ხანის მოქმედების საქმის კურსშია. მას დაწვრილებით მოსდის ამბები ყველა მისი გადადგმული ნაბიჯის შესახებ. ის, თუ რამდენად იყვნენ დაინტერესებულნი თურქეთში ალა მაჰმად ხანითა და საერთოდ სპარსეთის ამბებით, კარგად ჩანს იქიდანაც, რომ სტამბოლის მოსახლეობაში იმ დროს ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული სალაპარაკო თემა ეს იყო ალა მაჰმად ხანი. ამბებს ყველიან ყველა დეტალებით, ბევრი რამ არის მონაგონი, მაქრამ კიდევ უფრო მეტი ზუსტი. სტამბოლის მოსახლეობაში გავრცელებული ხმებით ალა მაჰმადი საქართველოზე სალაშქროდ მიდიოდა 70 ათასიანი ლაშქრით.

ალა მაჰმადი ზედიზედ აგზავნის სტამბოლში ემისრებს. მაგრამ რადგანაც ის ოსმალეთის მიერ არ არის ცნობილი შაჰად, მის ემისრებს ოსმალეები არ ცნობენ არც ელჩებად და არც დესპანებად. 1795 წლის მაისშიც იმყოფებიან სტამბოლში ალა მაჰმადის ემისრები, მაგრამ ოსმალეთი მათ არავითარ პასუხს არ აძლევს. ამავე დროს ქალაქში ვრცელდება ხმები, რომ თითქოს ოსმალეთს გადაწყვეტილი აქვს ევროპაში შექმნილი მდგომარეობის გამო სპარსეთის საქმეებში არ ჩაერიოს. სტამბოლში ჩამოვიდნენ აკრეთე. ოსმალეთის მოკავშირე აღმოსავლეთის ხანების დასპანებიც, რომლებიც ოსმალეთიდან დახმარებას მოითხოვენ ალა მაჰმადის წინააღმდეგ. მათთვის პასუხის იცაქემა ოსმალეთისათვის საკმაოდ ძნელი იყო. ხანები სუნიტ-მუსლიმან მოსახლეობას წარმოადგენდნენ და დახმარებას ითხოვდნენ შიიტების წინააღმდეგ. მათ ოსმალეთი დახმარებაზე ასე ადვილად უარს ვერ ეტყოდა: საქმე ეხებოდა რელიგიურ საკითხს და ოსმალეთის სულთან-ხალიფას მოვალეობას დაეცვა ყველა სუნიტ-მუსლიმანი, რომელთა სასულიერო მეთაურიც ის იყო. 1795 წლის 8 ივლისს სტამბოლში ჩავიდნენ ხოის ხანის დესპანები. ხანი ოსმალეთიდან დახმარებას მოითხოვდა და იტყობინებოდა, რომ გარდა ხოის, ერევნის, შუშის, შემახისა და თბილისისა, სპარსეთს ყველა სხვა პროვინციები უკვე დაემორჩილენ ალა მაჰმად ხანს. ხოის ხანი თხოვდა ოსმალეთს ერჩია მისთვის

⁶⁰ Olivier G. A. დასახ. ნაშრომი, ტ. VI, გვ. 248.

⁶¹ იქვე.

დანებებოდა ნებაყოფლობით ალა მაჰმად ხანს თუ არა⁶². როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ალა მაჰმადის მოქმედების შესახებ ძირითადი ინფორმაცია ოსმალეთს მონაპირე ვილაეთების მმართველებიდან მოსდიოდა. საგარეო პოლიტიკური ინფორმაციის მოწოდება ცენტრალური ხელისუფლებისათვის მონაპირე პროვინციებში მყოფი ფაშების ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობა იყო. მონაპირე ვილაეთების მმართველებს უფლება ჰქონდათ თავისი სახელით გაეგზავნათ უცხოეთის ქვეყნებში ემისრები. ასეთ ემისრებს ისინი ხშირად მეზობელი ქვეყნების მმართველებთანაც კი აგზავნიდნენ. ასე იქცოდნენ ბაღდადის, ვანის, ყარსის, არზრუმის და ჩილდირის ვალიები ალა მაჰმადის მიმართ. იგივე ვალიები ვალდებული იყვნენ უზრუნველყვით უცხოეთის ქვეყნების ემისრების, დესპანებისა და ელჩების უშიშროებას, მათ სტამბოლამდე ჩაასვლამდე და დაბრუნებისას საზღვრამდე თუ კი ისინი საზღვარს მათ ვილაეთში გადმოყვებოდნენ. ამიტომ ზემოაღნიშნული ვალიების დახმარებით სტამბოლში ჩამოდიან, როგორც ალა მაჰმადის ემისრები, ასევე ალა მაჰმადის მოწინააღმდეგე ხანების წარმომადგენლებიც. ემისრების, დესპანებისა და ელჩების მიმოსვლა ხდება აღმოსავლეთში მიღებული დიპლომატიური ეტიკეტის სრული დაცვით. ისინი ხელცარიელნი არასდროს არ მოდიან. საჩუქარი აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი და ხშირად გადამწყვეტი ფაქტორი იყო დიპლომატიური მისიის წარმატებისათვის და შეგროვებული ინფორმაციის ოდენობისა და სიზუსტისათვის. ოსმალეთის ემისრებს ზრდილობის სახით მიჰქონდათ საჩუქრები ალა მაჰმადთანაც. საჩუქრებით ჩავიდნენ მასთან ბაღდადის ვალის სულეიმანის ემისრებიც⁶³. საჩუქრებს უგზავნიდნენ ალა მაჰმადს სხვა ვილაეთების მმართველებიც. 1795 წლის ზაფხულის მიწურულში თუ შემოდგომის დასაწყისში არზრუმის ვალიმ გააგზავნა ალა მაჰმადთან თავისი სელიამალასი საჩუქრებით. მისი მიზანი იყო ვაუგო ალა მაჰმადის მომავალი გეგმები⁶⁴. სტამბოლში მიღებული იქნა ცნობა იმის შესახებაც, რომ ალა მაჰმადს საჩუქრები ერეკლემაც გაუგზავნა⁶⁵.

ხოთს ხანის ემისარზე უფრო ადრე სტამბოლში ამავე მიზნით ჩამოვიდნენ ერევნისა და შუშის ხანების დესპანები. ისინი მიიღო

62 АВПР, ф. Сношения России с Турцией, 1795, д. 812, л. 34.

63 ზ. შარაშენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 160,

64 АВПР, ф. Сношения России с Турцией, 1795, д. 816, л. 14.

65 იქვე დ. 813, л. 22.

დიდმა ვეზირმა, რაც დიდ ყურადღებასა და პატივისცემას წარმოად-
დგენდა, მაგრამ მისი პასუხი დესპანების თხოვნაზე არსებითად უარის
თქმას ნიშნავდა. დიდი ვეზირი არ დაპირდა მათ ოსმალეთის ცენტ-
რალური მთავრობის დახმარებას და თავიდან მოიცილა დაპირებით.
რომ მისწერდა არზრუმის, ყარსის, ჩილდირის და ვანის ვალიებს,
რომ მათ აღმოეჩინათ დახმარება ერევნისა და შუშისათვის⁶⁶ და
რომ ყველაფერ ამის შესახებ ხანები უფრო დაწერილებით ვალიე-
ზისაგან გაიგებენ⁶⁷. როგორც ვხედავთ ოსმალეთი, უწევს რა ანგა-
რიშს თავის მოსახლეობის მუსლიმანურ გრძნობებს, რაც ყოველ-
თვის ოსმალეთის საშინაო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფაქტორი
იყო, პირდაპირ უარს ვერ ეუბნება თავის აღმოსავლელ თანამორ-
წმუნეებს, მაგრამ რაიმე სახით სპარსეთის საქმეებში გარევა აშკა-
რად არ უნდა.

სტამბოლში განუწყვეტლივ მოდიოდა ცნობები ალა მაჰმადის
თბილისისა და ერევნის მიმართულებით წინსვლის შესახებ და ყვე-
ლა იმ ამბების შესახებ, რაც ალა მაჰმადის ბანაკში ხდებოდა.

ალა მაჰმადის საქართველოს მიმართულებით ლაშქრობაჲთან
დაკავშირებით სტამბოლში ყველაზე უფრო აინტერესებთ თუ რა
ხდება საქართველოში. თურქეთმა კარგად იცის, რომ ალა მაჰმადის
ზოძრავობის მიმართულებისა და გეგმების შედეგად რუსეთი ჩაებ-
მება სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და რუსეთის ჯარი ანატო-
ლიის საზღვრებთან აღმოჩნდება. ამის კი მას ყველაზე უფრო ეში-
ნოდა. ამდენად ალა მაჰმადის ლაშქრობა საქართველოზე ეს იყო
ავანტიურა, თავისი შედეგებით, ერთნაირად საშიში, როგორც ალა
მაჰმადისათვის, ისე ოსმალეთის იმპერიისათვის. გენერალ ტოტლე-
ბენის გამოჩენამ ოსმალეთის საზღვრებთან 1768—1774 წლების
რუსეთ-თურქეთის ომის დროს დაარწმუნა ოსმალეთი, რომ საქარ-
თველოზე თავდასხმას შესაძლებელია თავდამსხმელისათვის მეტად
ძვირე შედეგები მოჰყოლოდა.

ალა მაჰმადის ლაშქრობა ერევანსა და თბილისზე ნიშნავდა
მის მიახლოვებას თურქეთის საზღვრებთან. თვითონ ალა მაჰმადი
გამუდმებით არწმუნებს თავისი ემისრების საშუალებით თურქეთს,
რომ მას თურქეთის მიმართ არავითარი მტრული განზრახვა არა
აქვს. მაგრამ სპარსეთთან მონაპირე თურქეთის ვილაიეთების ვალიე-
ზაინც შეშფოთებულნი არიან: მათ ეშინიათ, რომ ალა მაჰმადს შე-
უძლია თურქეთზე თავდასხმა მოაწყოს, მითუმეტეს, რომ ირანსა

⁶⁶ АВПР. ф. Сношения России с Турцией. д. 812, л. 34.

⁶⁷ იქვე.

და თურქეთს შორის იმ დროს სასაზღვრო კონფლიქტებისათვის საკმაოდ მრავალი საბაბი არსებობდა. მონაპირე ვალიები გამუდმებით ეკითხებოდნენ სტამბოლს, თუ როგორ მოქცეულიყვნენ და მოითხოვდნენ, რომ მათ ვილაიეთებში მიღებული ყოფილიყო ალა მაჰმადის საწინააღმდეგო თავდაცვითი ზომები.

თურქეთი ცდილობს, რომ თავი აარიდოს ალა მაჰმადთან კონფლიქტის ყველა შესაძლებლობას. ამიტომ იმ შემთხვევაში, როდესაც ალა მაჰმადის რაიმე მოთხოვნას არ ასრულებს, მას დაპირებებით ამოშმინებს. ასე მაგალითად ალა მაჰმადმა მოითხოვა, რომ ოსმალეთს დაებრუნებინა მისთვის სპარსეთიდან ოსმალეთში ემიგრირებული პირები. ასეთი ლტოლვილები მრავლად იყვნენ თურქეთ-სპარსეთის საზღვრის რაიონში მომთაბარე ტომებში. ოსმალეთმა სპარსეთს არავინ არ დაუბრუნა, მაგრამ დაპირდა, რომ მომავალში სპარსეთიდან ლტოლვილებს აღარ მიიღებდა⁶⁸. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთს არ ჯეროდა ალა მაჰმადის დიდი წარმატებების ის შინა ცეცხლებს თავის საზღვრებს სპარსეთთან⁶⁹. ეს იმ დროს, როდესაც ალა მაჰმადი განუწყვეტლივ უმეორებს ოსმალეთს, რომ ის არ ემუქრება მას⁷⁰ და ამკარად აგრძნობინებს, რომ მისი მოქმედება მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ. ასე ამშვიდებდა მაგალითად ალა მაჰმადი ოსმალეთს ჩილდირის ვალის სელიამ-ალასის საშუალებით, რომელიც ჩილდირის ვალიმ ემისრად გაგზავნა ალა მაჰმადთან. სელიამ-ალასი ალა მაჰმადს ესაუბრა მის ბანაკში⁷¹. უნდა ვიფიქროთ, რომ ალა მაჰმადის რუსეთის საწინააღმდეგო განწყობილებანი იყო ის ძირითადი ფაქტორი, რაც აიძულებდა ოსმალეთს დაეჩქარებინა ანატოლიის აღმოსავლეთის საზღვრების გამაჯრება. ალა მაჰმადი აგრძნობინებდა ოსმალეთის ემისრებს, რომ მისი პოლიტიკა რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული. მაგრამ ამას ის არასდროს არ ამბობდა რუსეთის გასაგონად. რუსეთის გასაგონად იგი აცხადებდა, რომ მისი მიზნები ლოკალურია და არ სცილდება სპარსეთის ფარგლებს, რომ მისი ერთად-ერთი მიზანია დაიმორჩილოს ყველა სპარსელი ხანი და გააჯერცლოს თავისი ძალაუფლება მთელ სპარსეთზე⁷². საქართველოზე ლაშქრობასაც ალა

68 АВПР, ф. Сношения России с Турцией, 1795, д. 816, л. 14.

69 იქვე, 1796, д. 828, л. 4.

70 იქვე, д. 816, л. 64—65.

71 იქვე, д. 828, л. 34.

72 იქვე, л. 38.

მაჰმადი მხოლოდ ამით ამართლებდა. ასეთი პასუხი გასცა მახ წერილობით ბაღდადის ვალის საქართველოზე შემოსევის შემდეგ. მისი სიტყვით მას საქართველოზე ჰქონდა უფლება, როგორც ქვეყანაზე, რომელიც ძველთაგანვე სპარსეთის მონარქებს ეკუთვნოდათ და მან დასაჯა ერეკლე მის მიმართ გამოჩენილი ურჩობისათვის⁷³.

ამრიგად თურქეთმა უარი უთხრა ერეკლესა და აზერბაიჯანელ ხანებს დახმარებაზე ალა მაჰმადის წინააღმდეგ და ამით თავი შეიკავა სპარსეთის საშინაო საქმეებში ჩარევისაგან, მეორეს მხრით შორს დაიჭირა თავი ალა მაჰმადის ყოველგვარი წინადადებისაგან შეეყრა მასთან რაიმე სახის კავშირი. სპარსეთის ემისრები ხშირად ჩადიან თურქეთში, ისევე როგორც თურქეთისა სპარსეთში, ჩაქვთ საჩუქრები, მაგრამ ემისრების სპარსეთსა და თურქეთს შორის წინ და უკან მოძრაობას რაიმე რეალური შედეგი არ მოყოლია. თურქეთი მხოლოდ თავს არიდებს ალა მაჰმადთან ურთიერთობის გამწვავებას. მიუშარებოდა რა საქართველოსაკენ ალა მაჰმადის მრავალრიცხოვანი არმია მოძრაობდა თურქეთის საზღვრების გასწვრივ. ერთად ერთი საშუალება, რითაც ამ რაიონებში შეიქმნებოდა ირანის ლაშქრის ფაშოკვება, იყო სურსათის თურქეთის ტერიტორიიდან მიღება. ალა მაჰმადმა ითხოვა სურსათი თურქეთის სასაზღვრო ვილაეთებიდან და მიიღო კიდევ⁷⁴. კერძოდ ასეთი თხოვნით ალა მაჰმადმა მიმართა არზრუმისა და ყარსის ვილაეთების ვალიებს⁷⁵, ხოლო ვანის ვილაეთის ვალის თხოვა ნებართვა, რომ სპარსეთის ჯარის ნაწილმა ზამთარი გაატაროს თურქეთის ქუროთისტანში⁷⁶. საარქივო მასალიდან არ ჩანს, მიიღო ასეთი უფლება ალა მაჰმადმა თუ არა. თუ ვიმსჯელებთ მაშინდელი მდგომარეობის მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთი შეეცდებოდა ალა მაჰმადს თავისი ჯარების თურქეთის ტერიტორიაზე დაბანაკების უფლება არ მიეღო.

1793 წლიდან დაწყებული თურქეთში მოელოდნენ ალა მაჰმადის საქართველოზე ლაშქრობას. თურქეთს აინტერესებდა არაიმდენად თვით ლაშქრობის ფაქტი, არამედ უმთავრესად ის, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა ამ ლაშქრობას. თურქეთში ძალიან კარგად ხედავდნენ რუსეთის დამოკიდებულებას საქართველოსთან და დარ-

⁷³ АВПР, ф. Сношения России с Турцией, 1796, д. 828, л. 34.

⁷⁴ იქვე, 1795, д. 816, л. 6405—65.

⁷⁵ იქვე, л. 26

⁷⁶ იქვე.

წმუნებულნი იყვნენ, რომ ალა მაჰმადის ლაშქრობას მოჰყვებოდა რუსეთის საბასუზო რეაქცია და შესაძლებელია რუსეთის სპარსეთში შეჭრაც კი. ძნელი არ იყო იმისი გათვალისწინება, რომ თუ რუსეთის ჯარები დაიწყებდნენ სპარსეთის წინააღმდეგ მოქმედებას, საბრძოლო ოპერაციები გაიშლებოდა არა მარტო კასპიის ზღვისპირეთის, არამედ თბილისის მიმართულებითაც და ოსმალეთის ყოველნაირი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევა ირანის საქმეებში ალა მაჰმადის სასარგებლოდ გამოიწვევდა რუსეთის სანქციებს ოსმალეთის წინააღმდეგაც. მაგრამ იყო შესაძლებელი პოლიტიკური სიტუაციის მეორე ვარიანტიც (თურქებს უყვარდათ პოლიტიკური სიტუაციების ვარიანტების წინასწარი გათვლა): ალა მაჰმადი საქართველოს დამორჩილების შემდეგ ისევ სამხრეთისაკენ შეებრუნდება (ალბათ ამ ვარიანტით იგულისხმებოდა, რომ რუსეთი არ მიმართავდა სანქციებს სპარსეთის წინააღმდეგ) და შეეცდება ბასრის ხელში ჩაგდებას. ასეთ ვარიანტს შესაძლებლად თვლიდა ბაღდადის ვალი რაც მან შეატყობინა კიდევ სტამბოლს 1795 წლის მიწურულში⁷⁷. ამ მომენტისათვის თურქეთის აზრით ალა მაჰმადის ლაშქარი უკვე საკმაოდ მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო. რეის ეფენდის⁷⁸ შეხედულებით, რაც მან რუსეთის მიხედვის პირველ თარჯიმანს გაუზიარა ალა მაჰმადს შეეძლო ჰყოლოდა 150.000-ანი ლაშქარი. უკვე სექტემბრის დასაწყისისათვის. ასეთ შემთხვევაში ბრძოლების მთელი სიმძიმე ბაღდადის ვალის დააწვებოდა. ბრძოლები ბასრის რაიონში ალა მაჰმადის მრავალრიცხოვან ძალებთან ოსმალეთს აშკარად გაუძნელდებოდა, მითუმეტეს, რომ შესაძლებელი იყო განმეორებულყოფილი ის ვარიანტი, რომლისაც თურქეთს ყველაზე უფრო ეშინოდა აღმოსავლეთში: რუსეთ-ირანის ანტიოსმალური კავშირი, სტამბოლში არა ერთხელ ვრცელდება ზმები სპარსეთსა და რუსეთს შორის კავშირის შესახებ. ამრიგად კონფლიქტი ალა მაჰმადთან არა ნაკლებად ემუქრება თურქეთს შეტაკებით რუსეთთან, ვიდრე იმ შემთხვევაში თუ რეი ალა მაჰმადის მოკავშირე იქნებოდა. ასეთ პირობებში, ცხადია, თურქეთს, რომელიც ყველა ღონეს ხმარობდა, რათა აეცილებინა ახალი კონფლიქტი რუსეთთან თავი უნდა შეეკავებინა, როგორც სპარსეთთან კავშირიდან, ასევე სპარსეთთან კონფლიქტიდანაც. ზუსტად ასეთივე პოლიტიკის მაგალითს გვაძლევს თურქეთი იმავე

77 АВПР, ф. Сношения России с Турцией, 1795, д. 814, л. 31.

78 რეის-ეფენდის თანამდებობაზე ამ დროს იყო ეზუბეკირ რათიბ ეფენდი.

წლებში ევროპის ასპარეზზე. ევროპის კონფლიქტი, რომელშიდაც მონაწილისტული სახელმწიფოები დაირაზმენ რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ, ყოველ წუთს ომში ჩათრევით ემუქრებოდა თურქეთს. შებრძოლი მხარეები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა ოსმალეთი თავისკენ მიემხროთ. ოსმალეთის ხელმძღვანელ წრეებში არამუსლიმური სახელმწიფოებიდან ყველაზე მეტი სიმპათიებით ტრადიციულად, ჯერ კიდევ პირველი კაპიტულაციის დადების დროიდან (1535 წ.), სარგებლობდა საფრანგეთი. საფრანგეთის რევოლუციის პერიოდშიდაც კი ოსმალეთის სიმპათიები მის ძიმართ არ შესუსტებულა. საფრანგეთი დიდ სამხედრო დახმარებას უწევდა თურქეთს. ეს დახმარება კიდევ უფრო გაძლიერდა რევოლუციის პერიოდში, რაც ხმელთაშუა და შავი ზღვების აუზში საფრანგეთის გეგმებთან იყო დაკავშირებული. საფრანგეთი დახმარების სახით აგზავნიდა თურქეთში ოფიცრებს, ინჟინრებს, კვალიფიციურ მუშებს. დახმარების დიდი ნაწილი ხორციელდებოდა საფრანგეთის მთავრობის ხარჯზე. სტამბოლში გამოდიოდა საფრანგეთის მისიის გამოცემით ფრანგული გაზეთი, თურქებმა ხელი არ შეუშალეს ფრანგებს, (მიუხედავად მონარქისტული სახელმწიფოების ელჩების პროტესტებისა) სტამბოლის უბანში პერაში დაერგათ „თავისუფლების ხე“. საფრანგეთისადმი სიმპათიები არსებობდა თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეთა ყველა წრეში: კონსერვატორებშიც, და მიუხედავად ამისა, თურქეთი უწევდა რა ანგარიშს რუსეთს და არ სურდა რა ჩაბმულიყო მასთან რაიმე სახის ახალ კონფლიქტში აყოვნებდა საფრანგეთის რესპუბლიკის და მისი ემისარის ელჩად ცნობას. ფრანგებმა ბევრი ეცადეს, მავრამ ვერაფრით ვერ დაიყოლიეს თურქეთი, რომ ის რუსეთის წინააღმდეგ გამოსულიყო⁷⁹. ფრანგები ცდილობდნენ ჩაენერგათ თურქებისათვის რუსებზე გამარჯვების რწმენა, იმით რომ ურჩევდნენ მათ დაეწყოთ საყოველთაო სახალხო ომი⁸⁰. 1796 წლის 17 აგვისტოს საფრანგეთის მიმართ კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტის მომხრე ებუ ბექირ რათიბ ეფენდის გადაყენება რეის-ულ-ქუთაბის თანამდებობიდან ნიშნავდა, რომ თურქეთი მტკიცედ დაადგებოდა სრული ნეიტრალიტეტის პოზიციას და უპირველეს ყოვლისა ეცდებოდა რუსეთთან კარგი განწყობილების შენარჩუნებას. ამავე დროს რათიბ-ეფენდის გადაყენება მოასწავებდა თურქეთ-საფრანგეთის ურთიერთო-

79 АВІР, ф. Сношения России с Турцией, 1795, д. 821, л. 45.

80 იქვე.

ბის შესაძლებელ გამწვავებას. რაც მართლაც მოხდა. ამ მოვლენებს კი თავის მხრივ არ შეეძლოთ გავლენა არ მოეხდინათ თურქეთის პოლიტიკაზე აღმოსავლეთში: თურქეთის ნეიტრალიტეტი სპარსეთის საქმეთა მიმართ კიდევ უფრო განმტკიცდებოდა. რათიბ ეფენდი საფრანგეთისადმი ყვეტილგანწყობილი ნეიტრალიტეტის მომხრე რეფორმატორი იყო, მაგრამ უმრავლესობას იმ პერიოდში მაინც სრული ნეიტრალიტეტის მომხრე რეფორმატორები შეადგენდნენ: რაშიდ-ეფენდი, იუსუფ ალა, აბდულა ეფენდი, ნემან ბეი, ქუჩუქ ჰუსეინი და სხვები. ყველანი ესენი დარწმუნებულნი არიან, რომ რეფორმების წარმატებისათვის უპირველეს ყოვლისა ოსმალეთს მშვიდობა სჭირდება, განსაკუთრებით კი რუსეთთან. რუსეთის დესპანი სტამბოლში ყველაფერს ამას კარგად ხედავს. ის დარწმუნებულია, რომ სახელმწიფო მოღვაწეთა უმრავლესობა და განსაკუთრებით იუსუფ ალასა და რაშიდ ეფენდის ჯგუფი რუსეთთან ომის წინააღმდეგია და რომ ასეთივე განწყობილებისაა სულთანიც⁸¹. რუსეთის დესპანს არც ის ჯერა, რომ თურქეთი რუსეთის შიშით გაბედავდა რაიმე მონაწილეობა მიეღო ალა მაჰმად ხანის საქართველოზე. თავდასხმაში⁸². მაგრამ რუსეთის დესპანს გარკვეული ეჭვი აქვს, რომ ბაღდადის ვალი აქეზებდა ალა მაჰმადს გაელაშქრა საქართველოზე.

საქართველოზე თავდასხმის შემდეგ ალა მაჰმადმა კვლავ შესთავაზა კავშირი ოსმალეთს და ბაღდადის ფაშის მეშვეობით ითხოვა დანხარება ზარბაზნების, ყუმბარების და ჯარის სახით, მაგრამ თურქეთმა კვლავ უარით უპასუხა ალა მაჰმადს⁸³.

საქართველოზე თავდასხმის საპასუხოდ რუსეთის ჯარის გალაშქრება ალა მაჰმადის წინააღმდეგ თურქეთისათვის კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი იყო, რომ მისი ინტერესები მოითხოვდნენ რუსეთის მიმართ სამშვიდობო პოლიტიკის გატარებას. რაშიდ ეფენდის, იუსუფ ალასა და სხვათა პოლიტიკა მიმართული რუსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის დასამყარებლად აღმოჩნდა თურქეთის ეროვნული ინტერესებისათვის ერთად-ერთი სწორი პოლიტიკა. მტკიცე ნეიტრალიტეტი, რომელსაც იმ წლებში ევროპაში ატარებდა ოსმალეთის სახელმწიფოს სათავეში მდგომი თურქ-რეფორმატორთა ჯგუფი მათ აზიაშიც დაიცვეს. თურქეთში ბევრი მიესალმე-

81 АВПР, ф. Сношения России с Турцией, 1795, д. 821, л. 46, 74.

82 АВПР, ф. Сношения России с Турцией, 1796, д. 829, л. 81—82.

83 იქვე, ф. 828, л. 102—103.

ბოდა ალა მაჰმადის განზრახვას დაეწყო ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ და დაერბია საქართველო. მაგრამ სახელმწიფოს ხელმძღვანელი წრეები კარგად ხედავდნენ, რომ ინიტრალიტეტის დარღვევა და რაიმე სახით რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმა ეს ავანტიურა იქნებოდა და გამოიწვევდა რეფორმების ჩაშლას. ამიტომ თურქეთი შორს იჭერს თავს ალა მაჰმადიდან და სპარსეთის საქმეებთან დაკავშირებით მტკიცე ნეიტრალიტეტს იცავს.

საფრანგეთი, იპყრობდა რა იტალიას თანდათანობით ტერიტორიულად ოსმალეთის იმპერიის საზღვრებს უახლოვდებოდა, გაჩნდა სიმპტომები, რომ საფრანგეთი თურქეთს ემუქრება. დაიწყო თურქეთ-რუსეთის დაახლოვება, რაც საფრანგეთის ოსმალეთზე თავდასხმის შემდეგ თურქეთ-რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო კავშირში გადაიზარდა.

О. ГИГИНЕИШВИЛИ

АГА-МОХАММЕД-ХАН И ТУРЦИЯ

Ага-Мохаммед-хан еще в период борьбы за Иранский престол устанавливает контакты с правителями Османской империи. Он предложил Турции союз против России и не скрыл, что готовится к карательному походу против Грузии, как территории Персии издревле принадлежащей, но отложившейся от нее. Русская ориентация царя Ираклия и заключенный в 1783 г. в г. Георгиевске союзный договор между Грузией и Россией вызвавший большое беспокойство в турецких правительственных кругах, должен был, как будто, обеспечить турецкую поддержку Ага-Мохаммед-хану. Однако, несмотря на симпатии отдельных государственных деятелей Турции к планам Ага-Мохаммеда-хана, Турция отказалась поддержать Ага-Мохаммеда в его действиях направленных против России или Грузии. Это были годы, когда в Турции проводились реформы, для успеха которых было необходимо сохранить мир, в первую очередь с Россией. Группа турецких государственных деятелей-реформаторов хорошо понимала, что трудности, которые встречались при проведении реформ, в случае войны с Россией не только возрастут но и могут привести к катастрофическим результатам. Поэтому указанная группа делает все необходимое для избежа-

ния каких либо осложнений с Россией. С этой целью она проводит политику нейтралитета в европейском конфликте, ту же политику, по той же причине она проводит и на Востоке, где уже с начала XVIII века она лицом к лицу сталкивается с Россией. Политика турецких государственных деятелей направленная на сохранение мира с Россией подготовила почву для турецко-русского союза заключенного в 1799 году после вторжения Наполеона в Египет. ✓

სარჩევი

გ. ქიპაშვილი, აგრარული გარდაქმნები და მათი სოციალურ-ეკონომიური შედეგები ირანში	3
ე. ბაბალაშვილი, ირანის დემოგრაფიის ზოგიერთი საკითხისათვის	38
ზ. შარაშენიძე, ირანის შინაპოლიტიკური ვითარებისა და რუსეთთან ურთიერთობის საკითხისათვის XVIII საუკუნის დასასრულს .	65
Р. Г. Саакян, Франко-Турецкие дипломатические контакты в 1919—1920 гг.	77
М. Я. Стецкевич, Материалы об отношениях России с османской империей в рукописных фондах государственной публичной библиотеки имени М. Е. Салтыкова-Щедрина	88
ე. ზენაიშვილი, მისიონერთა მოღვაწეობის პერიოდიზაციის საკითხისათვის ირანში	130
ო. გიგინეიშვილი აღი-მაჰმად-ხანი და ოსმალეთი	145

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

•

გამომცემლობის რედაქტორი დ. ლეჟავა
ტექნორედაქტორი ნ. ოკუჯავა
კორექტორი ს. ხანჯალაძე

გადაეცა წარმოებას 14.10.1974; ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.2.1975;
ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆; ქალაქი № 2; ნაბეჭდი თაბახი 11,5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11,2;

უე 07543; ტირაჟი 700; შეკვეთა № 3125
ფასი 1 მან. 5 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკად. სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. № 19
Тип. АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

**ВОПРОСЫ НОВОЙ И НОВЕЙШЕЙ ИСТОРИИ СТРАН
БЛИЖНЕГО ВОСТОКА**
(сборник)